**- თქვენ ხომ ერთხანს მოგიონათ მანდ, თათრის მოედანთან, ვერვინც არ მოგიონათ ზემოთ ცხოვრება. იმ ჰაერს ხომ არ გაიხსენებდით...**

- კი პატონო. მეთანინიდან დედნით შეიღანეს ვსახლობ, საიათნოვას მეზობლად, იეთიმ გურჯის ახლოს, ერთი ქიქა მალრსე

სირაჯხანის ახლოს, ლექსად ავიმადლო, ჩემს თავს ვუთხრა: "გაჩერდი, ნურაფერზე ნალვლობ, კოჭლობით არ მოკვდები,

ქალაქლო ძალო!"  
- ჩინებულია. ახლა იქნებ, ჩვენს დღევანდელ ყოფას დავუბრუნდეთ. წელან ბრძანეთ, მთავარია, ახლა ჩვენ ვივარგოთ.

- დიახ.  
- როცა ადამიანი გადაწყვეტს, რომ ქვეყნარსიტ ფასეულობებს ემემკვიდროს, მერე მოვალეობად ექცევა, რომ ივარგოს. ჩვენც უნდა ვივარგოთ, რომ ასპარეზი შევქმნათ, წარმეული ასპარეზი დავიწყებოთ. ყველა კანონს პატივისცემდა უნდა, როგორც წესი და რგია. კიდევ ბუნებრივი კანონები ხომ არსებობს, ლეითორი კანონები. ჩემი აზრით, საზოგადოებამ უნდა მოითხოვოს ისეთი მმართველები, ვინც ხელისუფლებაში ყოფნას პრივილეგიად და თავმოსანონებელ საქმედ კი არ ჩათვლიან, არამედ გულწრფელად ემსახურებიან თავისი საქმიანობით ხალხს და იმ საზოგადოებას, რომელმაც მხარი დაუჭირათ.

- დიახ.  
- ახლა გაიძახიან, არჩვენების დღე როცა ვდგება, პრეზიდენტი თუ არა, მამ ვინ იქნებაო. მთავარი, ჩემი აზრით, არის ვინ კი არა, რა პრინციპები დაედება საფუფელად საქმეს.  
- საერთოდ, უნდა დავიწყებოთ პიროვნების გაფეტვიშება. რასაკვირველია, პიროვნების როლი დიდა საზოგადოებაში, მაგრამ არც ასეა საქმე. უდიდესი პიროვნებები ყოფილან, აღარ არიან, მაგრამ ქვეყანა არ დატყვეულა. მთავარია, რას ემსახურება პიროვნება, რა მოაქვს მას საზოგადოებისთვის. დროა, მივჩვენოთ, რომ ყველა თანამდებობა უნდა იყოს არჩევითი და გარკვეული დროით.

- სამარცხვინოა, ამდენი პირდაპირილი მამაკაცი რომ იძახდეს, ვაიმე, რა მეშველებო. ეს საზოგადოება ვერ თუ დაბეჩავდა, საერთოდ აღარ იქნება საშველი.  
- დემოკრატია ამერიკელების მოგონილი თუ არა, განხორციელებულია. ევროპაშია მოგონილი და ამერიკაში განხორციელებული. განატყუვალადა, რომ მესიმში, იორი ვადით ირჩვენ პრეზიდენტს. გამოიცხლება მესამე ვადით არჩევა. თუ რალაციით განსაკუთრებულია, მაშინ

მეორე ვადით ირჩევნა. ამიტომაცაა, რომ წინ მიდის ეს ქვეყანა. ცივილური ქვეყანაა და ისე აქვთ მოწყობილი, რომ პროგრესი მათთვის დამახასიათებელია, მათ ხასიათსა და ბუნებაში ზის. ჩვენთან მოვა ვიღაც ხელისუფლებაში და მერე სკამის ვაერმე ვეღარ წარმოუდგენია ცხოვრება. საქმე ის არის, რომ სხვებსაც ვეღარ წარმოუდგენიათ ცხოვრება ამ კაცის ვარმე. ეს არის უბედურება. ეს არის დამღუპველი საზოგადოებისთვის.

- ერთი უბედურება ის არის, რომ შურაცხმყოფელია, საკუთარ თავსაც აყენებ შურაცხყოფას, როცა სულ ერთ კაცს შეჰყურებ, ერთი კაცისთვის გადავიბარებია შენი წუთისყოფილი - მიპატრონე, მიმშობლე, მოხსნე და ა.შ. მეორე - დღეს ხელისუფლებაში ყოფილ ხალხს დიდ ნიხოს ხედავს იმ შეფასების სახით, რომელიც არტისტული საზოგადოებისგან უნდა ნაშრომიდეს. არადა, ეს საზოგადოება უტყუარ შეფასებას იძლევა. ხელისუფალნი ვედასუხნი არიან არტისტული საზოგადოების ერთი ნაწილის მოქრთამვაზე, რომ ქუმძარტი შეფასების სიფათი თავიდან აიცილონ. მერე ეს ნაწილიც აპყვებათ ხოლმე და ხან რიყის იზიგებენ, ხან რესპუბლიკის მოედანს, ხან მამადავითის დაბნელებას.

- ეგ სულ ცრუ დღესასწაულებია.  
- ფსევდოფასეულობებს აპყვებია. სწორედ აქ უნდა ვივარგოთ.

- რასაკვირველია. რალა შორს ნავიდეთ, ჩემს თავზე ვილაპარაკებ. მე ვიყავი ძალზე მოძრავი და ხალხისათვის პიროვნება, დიდი საახალგაიების მოყვარული. მთელი ცხოვრება მოძრაობაში ვავატარებ. ახლა, ხანში რომ შევდი, ცვლილებების თავი აღარა მაქვს. ახლა ვამბობ ხოლმე, ჯანდაბლა, ჩემს ვარმეში იყოს ყველაფერი ასე, როგორც არის, ოლონდ უარესად აღარ იყოს-მეთქი. ეს არის ჩვეულებერი, ასაკობრივი ინდიფერენციზმი. მაგრამ როცა ქვეყნის ხელმძღვანელი ხარ, ასეთი რამ დაუშვებელია. არ შეიძლება, მხოლოდ იმაზე იზრუნო, რომ არაფერი არ შეიცვალოს, ოლონდ შენ მშვიდად იყო და სავარცხელში იჯდე; ქვეყანას კი წინსვლა განხეთარების პოტენცია აქვს. რასაკვირველია, შესაძლოა, მე ბევრი რამ არ მესმოდეს ახალგაზრდების, მაგრამ ეს ჩემი ნაკლია და არა ახალგაზრდებისა. ახალგაზრდები წინსვლისკენ ისწრაფვიან და ეს ბუნებრივია.

**- ახლა თავმდაბლობის გამო ისეთ რამებს იბრძობენ, რაც არ გახასიათებთ.**

- შედარებისთვის ვამბობ. საკუთარ თავსაც ვატყობ, რომ ის აღარა მაქვს, რაც ადრე მქონდა.

**- ახლა რამე რიხიანად ვთქვათ, რომ ამ ხალხს იცოდეს: სანამ ჩვენ ქვეყნად ვიქნებით, და დიდხანს ვიქნებით, ის ადამიანები, ვისთვისაც მნიშვნელოვანია, რაზეც ვლაპარაკობთ, დაბრუნებულ მხნობას აღარ დაკარგავს. ამ ქაობსაც იმის იმედი ნუ ექნება, რომ ტკბილად შეინარჩუნებს მიტყაბულ პრივილეგიას. ხალხს კანონიერ ფულეება წართმეული აქვს და იზრუნებს, ისხალხოს თავისი უფლებებისა და თავისუფლების მოთხოვნა.**

- მე ღრმად მწამს, რომ ასე დიდხანს არ ვაგრძელებდა. ცხოვრებას თავისი ლაგოვა აქვს, თავისი განვითარების ნორმალური გზა. კი პატონო, შეიძლება შეფერხებ, ხან დიქტატორი ვარჩნდეს, ხან ვიღაცამ თავისი ფეოდალური ამბიციები ვერ მოითოო ქოი XXI საუკუნეში და შეიქვიდგობობითა მოინდომოს. მაგალითად, ვერქმენებთ, რამდენადაც ვიცი, ხელმძღვანელად სულთანნი თუ ფაშა ჰყავთ და ახლა შვილს უნდა გადაცეს ქვეყნის მეთაურობა. შო, აღმოჩნდება, მაგრამ დიდხანს მაინც არ გასტანს ეს ამბავი. ხალხი გონს მოვა და ცხოვრება ნორმალური ქალაქობრივად ჩადგება. სხვა დროა, აღარც სტალინის დროა და აღარც ჰიტლერის. ის დრო აღარ დაბრუნდება. თანამდებობისთვის შეუფერხებული ადამიანების დოლი დასრულდენ თანაინათი ინტელექტისა და კულტურის შესაფერის ადგილს. თუ ასე არ მოხდა, საერთოდ აღარ ღირს ცხოვრება ამ ქვეყანაზე.

**- რა თქმა უნდა, ასე მოხდება. მაგისთვის ვარსებულია. მაგისთვისაა გამიზნული ჩვენი მეცადინეობა და საქმიანობა, რომ ეს ვარდაფულეობად იქცეს. ახლა ილიას ერთი სტრიქონი გამახსენდა: "ამ სოციალურ ლიბერალიზმში რაოდენი სიყვარულია". ჩვენს ხელისუფლებას შეუძლია, პირითი თქვას არქიტექტურულ განმარტებებს: "ამ სიყვარულში რაოდენი სიძულელია". არ იციან, რომ ხალხი ხელისუფლებას თავის მსახურად ირჩევს.**

- რასაკვირველია. ჩვენთან ასე დამკვიდრდა, რომ ვინც თანამდებობას იკვლევდა ხელში, იმას ყველა თავისი მსახური ეგონა და ავალდებულებდა კიდევ მსახურობას. ფაქტობრივად, განდევნილი იყო საზოგადოებისგან. მაგრამ ეს დროც წავიდა და ვეღარ განმეორდება.

**ქალაქური პროზა**

*რომანის დასასრული. დასაწყისი ის.*  
"ქობავი" **NN9-10, 2002,**  
„24 საათი“ **N0, 13, 27, 41, 55, 97,**  
**125, 146**

თქვენ ვერ კიდევ არ იცით, მისტერ ზალაბსკი. მთავარი **story** არ იცით, მთელს ამ ამბავში რატომ მოეხვედი<...>  
<...> - დღეს აღარაფერი მოიმოქმედო. ჩადი, დანეჯი და ბევრი თამბაქო მოწიე. მე აი, აქ დავეჯდები და ჩემს ედიტას გავესაუბრები. უქველად მოიფიქრებთ რამეს. ჩიზიკში რუსული ეკლუსიაა. იქ ხომ არ გაივლიდი და ხომ არ მოინანიებდი მთელს ამ ამბავს? თუმცა, ედიტას ამაზე გაეცინებოდა. ჩვენ ხომ კათოლიკეები ვართ, რომის პაპი, მოგახსენება, პოლონელია. საკვირველია, როგორ იცანი ის გოგო. <...>

ს არ ნახვიდე ამ ქალაქიდან ჯორჯ მაკვარლიკ, არ ნახვიდე, სამგზის ლორდ მერო... რამდენი ხანია, ლონდონს მერი არ ჰყოლია და აი, ავერ ახლა აირჩიეს. ესე, ეს მაკვარლიკი კი მაგარი მოვიგონე. ავენიუთი მიუყვები დაბლა, ილინგ ბროდვეიზე ჩავალ, თურქებთან თამბაქოს და ქალაქს ვიყიდი და გამოვეყვები ფეხით სენტ სევიერზის ეკლესიაშიდე. იქ, მეორე მხარეს რაღაცას შევჭამ და მერე მეტროთი, აღმოსავლეთისკენ. შაბათია. ჩემი უბანი აქ არ არის. ჩემი უბანი იქითაა. გადავჯდები და იქო ვარ. ავირბენ იმ კიბეს. არც ავირბენ. აი, ტელეფონი. ეს ტელეფონი ხომ მაინც შემრჩა. პენდი, ასე ვთქვათ. ბიჭებს მოეძებნი. ერთერთს მაინც. დავრეკავ, როგორც ვიცით ხოლმე, ისე. "სადა ხარ?" "შენ თეთონს სადა ხარ?" "არა, ახლა სადა ხარ?" "იესო, ვაითლას წინ ვდგავარ და პენკას ველოდები". "მაიკა, აბა რომელი ხარ?" "ეე... მე ვარ, პენკას პენდი მაქ, პროსტო". აი, ჩვენ. აი, რა მივგარს. ეს მარტო ჩვენ პასპორტში წერია. "შენ სადა ხარ?" "აი, ხუთ ნუთში მანდა ვარ. ვაგონში ვარ, მეტროში".

დაგას. თვალეები ცაში. შენ ისე დრმა ხარ ლონდონის ცაო. ლურჯი მაიკა და მწვანე თილეთი. აი, ვის უყვარს ლონდონის ამინდი ოცდასამდე კემბრონი  
- რა გინდა, რას მიყურებ?  
- არაფერი.  
- ბიჭო, თუ ხართ ამ ქალაქში, ისე ჩაიკვით, ამ ქალაქში რო ავცილია დეკემბერში.  
- არა, მზე კია...  
- სად დაიკარგე? გააფრინე?  
- რაზე, გადავვიდი.  
- ერთი ჯამბულა რო იჩითებოდა აქ...  
- ხო, - აი, სად უნდა ცქვიტო ყურები.  
- ხო, ის უნახია ბერძენს და იმას უთქვამს შენზე, ანისო... ვილაც უბიცა ყავდა სახლშიო.  
- მოდი ერთად გავიციონოთ.  
- რატო გადახვედი, ტო... ამოყედი იმ დღეს და შენი სახლის წინ წერია, **Toilet**.  
- იაფია, იქითი. რაზე, მოტეხილშია. პენკა სად არი?  
- პენკა მოვა, აქ. პორტუგალიელებში შევიდით. ფული გაქ?  
- ქოუქს დაგაღვივინებ.  
- ე, ე... მონევე?  
- სახლში თუ გამატან, ძილის წინ მოგევე.  
- ვა, რა მურტალი ხარ. მისმინე...  
ქრისმასებზე არ ჩაივიცავთ რამე?  
- ქოუქ, ენდ დაბლ ესფერესო, ფლიზ.  
- ე, მეც მინდა ყავა, ტო.  
- შენ რო კოლა-კოლა გიყვარს, **Fორ** მი თუ, მალო, დახლ ექსპრესო, **Fორ** მი თუუ...  
- შენა...  
- ჰა, დავანი, დარდები, სულ დარდები, გოთვერნობები, ჩათლახობები, დავაი. მოყევი ახლა, როგორ და რამე პოლიცია, ის სერქლი ტყუილა არ იტყვია.  
- შენა... მაიკა. თბილისიდან და-მირეკეს.  
- მერე?  
- ერთ გოგოს ვეძებ. ვერ იპოვებს

ძველ ნომრებზე. ახალი არ იცანი.  
- ვინ გოგა?  
- არ ვიცნობ. ბავშვია და დაეკარგათ. ნომერი ქონდათ...  
- რა ქვია, რა გვარია?  
- ნინი... - ვითომ ვიხსენებდი, ისე შევყოვნდი - მაჭვარიანი? ხო... მაჭვარიანი.  
- არ ვიცი, - თავი გაიქნია - არ ვიცი... ნაღდათ.  
- არ იცი ვეგეთი გოგო?  
- სწავლობს?  
- აგე, ორმოცი წლისანი ლამით და რა მსჯელობაში ვართ.  
- არ ვიცი... სწავლობს, ალბათ. აბა, ოცი წლისას რა ენდომება?  
- არ ვიცი... გინდა, გავიკითხავ?  
- ალბათ, მინდა, მარა, ისეთ პონტში... რაღაცა, ოჯახის პონტია, უნდა ვუთხრა, რო სახლში დარეკოს, როგორ იცანი ის გოგო. <...>

**კაკ მორჩილკაძე**

- ქრისთმასია. როგორ ვერ მოვიგებ. სუ ვიგებ.  
- სულ, კი.  
- "მანჩესტერ სიტ" ხო გაგივია?  
- არა.  
- ხო. აი, "მანჩესტერ სიტ", "მანჩესტერ იუნაიტედი" კი არ არი. და-დებ ნაგებზე, ნააგებს. დადებ მოგე-ბაზე, მოიგებს. ჩემი საყვარელი გუნდია. ახლა "იფსვიჩი". ეკ მიყვარს ყველაფერზე უფრო. ნელს შემეყვარდა. დადებ ნაგებზე, ნააგებს. დადებ ნაგებზე, ნააგებს. ახლა...  
- კარგი, ხო. რამდენს მოიგებ?  
- დავთვალათ. მივიდეთ და დავთვალათ...  
ნაღდია. ისევე, როგორც ის, რომ რა დროსაც არ აიხედავ, ილინგის თავზე ორი თეთმფრინავი მაინცაა გამოკიდებული. მართლა მოიგებს.

რა ნორმალური გოგოა. მიცნობს, აბა რას იზამს. დაფუქციე ოჯახი. როგორ მეძებს, ალბათ. მარტო ეგ კი არა, მაგის უკან ლულებს რო აპირალებენ.  
- აზრზე ხარ? ჩემით მოვედი. არ დააფასებს? ჩემით მოვედი. დამთავრდა, აღარ არი მისტერ დასი. ბაბუამისიც აღარ არი, ალბათ, კაი კაცი, კაი კაცი. ყველანი კარგები არიან. მოჩვენებები მომადგნენ, როგორც იმ ბიძიას, იქ რომ ცხოვრობდა. რა ქვია იმ... ნამყოფი ვარ. სულები, სულები და აი, მოვედი. ქრისმასმა კი ჩაიარა უკვე. ქეროლებიც იმდერეს. მაგრათ. დღეს ხომ ბედობაა. აბა, აი, ჩემი არყის ბოთლი მოდის შენკენ შე საწყალო. მე დავსეცე ამ მათხოვრულ მაღაზიაში. მე. რა პატარა ბოთლია არა?  
- სანამ ამომხედავ, მანამდე უნდა

მარტილობაი ვორჯისა მაკვარლიკისა.  
მარტილობა კი არა, მეტანია. მეტანია არ ქვია? ანეც ვასილი ხოა ჩი-ზიკში. ფაზა ვასილიი<...>  
<...> - მე არ ვახსოვარ, ნინი?  
- არ მახსოვხართ...  
- მე... შენ და ბაბუა რომ აქ ჩამოხვედით...  
- მე არანაირი ფიროსმანები არა მაქს. არც მინახავს საერთოდ. ისე ვიცი, მაღალი იყო და თერებოდა.  
- ფიროსმანი...  
- ხო. არ მაქს. საიდან უნდა მქონდეს?  
- ფიროსმანები...  
- ფიროსმანი რა შუაშია? მე...  
- აბა, რა გინდათ?  
- მე... საქმე მაქს. სულ სხვა საქმეა... ისეთი...

ენახოთ, იქ იდგება. ხმა არ ისმის, მაგრამ მაინც უკრავს. მე მგონია, რო რალაც მაგის მსგავსი გამომდის, მაგრამ ეს ყველაფერი, ეს ოხრობა, რაც არის, ეს ასიათასი ტონა შითი... კარგი, ნუ იცინი, შენთვის უნდა მომეყოლა. შენ არც გჭირდება ეს ამბავი, თურმე არ გჭირდება, მე კიდევ ქვიზების ამოსავლებში რო დაგიწავლი. შენ არც გჭირდება ეს ამბავი, არც გინდა ეს ამბავი, შენნაირ გოგოს უნდა უთხრა. ეს კიდევ... ეს სხვა ისტორიაა. ეს რო მოგიყვე, სულ სიცილით მოკვდები. გაგვყრიან ბოლოს ამ ყაფიდან. ეს კიდევ... ჩათვალე, რო ბუნარში ვილადა ჩამოძვრა, არც მაინცდამაინც თეთრი წვერით და აი, ეს დაგიტოვა. აი, ეგრე ჩათვალე...  
- ეს რა არის? ვაუ...  
- ეს? აი, რაც მოგიყევი, და არ მოგიყევი, ყველაფერი აი, ეგ არი.  
- ძვირფასია?  
- ბრილიანტია?  
- ძვირფასია?  
- არ ვიცი. იქ შუაშია რომ აღარ ღირს, ხვდები ალბათ.  
- ვაუ.  
- არავის აჩვენო... ეგ ძალიან, ძალიან დიდია.  
- საიდან?  
- ქაშპირიდან.  
- საიდან?  
- შენია.  
- მე ვერ გამოგართმევთ...  
- შენია. სანდო მეგობრები გყავს. აი, აქ რომ იცანი ყველაფერი.  
- რა ვიცი...  
- ეგ ძალიან ძვირია, ნინი. ბოფრენდი გყავს?  
- ა-არა.  
- ძალიან კარგი.  
- და რატო მამღვეთ? მე ხო არ...  
თქვენ...  
- იცი რამდენ ხანს მოდიოდა შენკენ? მერე მოგიყვები. თუ დამირეკავ, რა თქმა უნდა... დღეს ბედობაა, ხო იცი. იცი, რა არი ბედობა?  
- კი, იცი. როგორ არა.  
- ახლა მე ავდგები და გავალ. შენ ივდები...  
- რატომ?  
- მე ხო უნდა გავქრე.  
- ა, ხო, წელან რო მითხარით.  
- აი, აბა... აბა კარგათ. დამირეკე, თუ ძალიან მოგინდება.  
- მაღლობთ...  
- მოდი, გაკოცო, გაიზარდე დიდი გოგო.  
- უუუ...  
კი გოგოა. ანგელოზივით. <...>  
<...> ტელეფონი აზუსუნდა ვიბემი:  
- გამარჯობათ, შანკარი ვარ.  
- ო, მისტერ შანკარ. როგორა ხართ?  
- არცთუ ცუდად... იმდლ ევანდევ მომინდა შეგახსენოთ. ჩვენ ისტში ვმუშაობთ. ყოფილი საბჭოთა კავშირინან იქ ბევრი კლიენტი გყავს. სულ მეტი და მეტია. რას იტყვით ამბავზე? ზოგჯერ გეჭირდება თქვენი სისათნა კაცი.  
- მისტერ შანკარ, მადლობელი ვარ. მაგრამ მივემზავრები და ალბათ ძალიან დიდხანს არ ვიქნები ლონდონში.  
- მართლა? ალბათ უკეთეს ადგილას მიდიხართ.  
- კი. ინვერნესში.  
- ინვერნესი... ეს მოტლანდიაა, ხომ?  
- დაბს.  
- ცოტა უცნაური კია. პენსიაზე ხომ არ გადხიხართ? ინვერნესში უკეთიქნებით, ვიდრე ლონდონში?  
- აუცილებლად. ალბათ იცით, ინვერნესი ერთადერთი ქალაქია დედამქნაზე, სადაც კიბე მეტია, ვიდრე ქიზა. მგონი, ასეთ ადგილას უფრო იოლია დამღევა. სხვაგვარად გგონიათ, მისტერ შანკარ?  
- არა, არა. რას ბრძანებთ. გმადლობთ... ისე, მაინც შეგებინებთ ერთი თვის შემდეგ.  
- არ მინდა დრო დაკარგოთ, სერ...  
- დრო. გააჩნია დროს. <...>  
**Fin**

# ძირს სიინდის რესპუბლიკა!

მაგრამ იმ საქმის რა ვქნათ?  
- ნამო, ჩვენთან იყავი. გიპოვი იმ გოგოს. გინდა ახლავე დავრეკო? <...>  
<...> თორმეტი იქნებოდა. ალბათ თორმეტი, რომ ამოუზხვიე და ჩვენს აბპერსტს მივადექი. აგე, ჩაუბნელე ბია მისტერ ზალაბსკის. აბა, მე ხომ არ დამელოდებოდა. ლუდის სმას ისა აქეს ცუდი, რომ მეტროში სულ საპირფარეოზე ფიქრობ. აბა, სადარბაზოს კარი გავაღე და ჩემი ბინის კარში გაკვეთებული თეთრი კონვერტი დავინახე. ჰოო. რა თქმა უნდა. ასეა. ვერ დამელოდა.  
"მგონია, რომ პატარა გოგო უნდა მოძებნი.  
- ფსტიად ასე ეწერა. გასარჯობა შენი. აბა, მე რას ვაკეთებ მთელი დღეა?  
ისე, მისის ზალაბსკი რომ არ ყოფილიყო, რა ემეხებოდა მისტერ ზალაბსკს? <...>  
<...> ფუ, მე კორნერშოფების (სიტყვასიტყვით, კუთხის მაღაზიები. ლინდონში მტად გავრცელებული, შედარებით იაფი სავაჭროები, რომლებიც სულ აზიელების და არაბების ხელშია.) კაცი ვარ. ჰაი, ნასირ. ჰაი, აბამდ. ჰაი. აქ კი სუპერმარკეტი თუმცა, ლატაკი სუპერმარკეტები მიყვარს და მომწონს. ილინგ ბროდევიზე ერთი მაღაზიაა, რომელსაც 99 ქვია. ყველაფერი 99 პენსი ღირს. ბევრგან არი ეგ ქსელი. ჰოდა, როცა თბილისი მომენატრება ხოლმე, შევდივარ და დავბოდილობ რიგებს შორის. შუსტად ისეთი სათამაშოებია, წერეთლის ბაზრობაზე რომ დავტოვე ათი წლის წინათ. შუსტად ის ჭურჭელი და შუსტად ის სარეცხი ფხვნილები. ჯავრისებს, ბლოკნოტებს და ფანქრებს აღარ ვახსენებ. აქ კი სუპერმარკეტი. თან რიგები. რიგები შენ ოქსფორდ სტრიტზე უნდა ნახო. საშობაოდ ვერგაყიდული საღამოს კაბები გაიფდა. ყველაფერი გაიფდა, ძმაო. ვისკიე კი. ბეილის ლიკორი გაიფდა, ეგ სამოთხის გვირგვინის გალობა ეგა. მაგრამ სულ რამდენიმე დღით. ამ უბედურ ისტ ლანდონში რა გაიფდა ისეთი, რო ერთმანეთზე გადადიან? დილაა და რა ეტანეთ?

ვთქვა.  
- ვაა, რა ამბავია ამ ბედობა დღეს? ჰიიი!...  
- ვან ნაინთი ნაინ... - უკვე ნათქვამი ჰქონდა და ჰა, ამომხედა. არაფერი. ორფუნტიანი დაფუდე წინ და გავუყვირე.  
- This las lot...  
- Thank. Thank you indeed... - და ჩემს უკან მდგომის კომბოსტოებს გადავხედა.  
- ჰიიი!... ჰიიი!... ჰიიი!...  
ვდავავარ აქეთ და ვუყურებ. არყის ბოთლი ჯიბეში.  
ხო არ შემეშალა?  
რა სისულელია. როგორ შემეშვლებოდა. ვდგავარ და ვუყურებ. აი, თვლები, თვალბერი, როგორც... აი, ტავინი დამბინდული. იქით ტაი მოლარეა, აქეთ შავი. ეს კიდე ის არი. ის არი. რა მოგივიდა სკრუჯ?  
აი, მგონი მოიცალა?  
რამდენ ხანს მოფოფავს ეს ბეზია? You, bldy...  
აი, ჰა, შენი ტილიანი ზეთი. ესეც შენი ტილიანი ყველი. ესეც თვენი, ოხერი დედის...  
ნახე, მგონი გამოხედვა უნდა.  
უნდა, აბა რა.  
იცი ყველაფერი. ყველაფერი იცის. დასი იმან გააგორა, ესენი მე გამაგორებენ. ღირსაც ვიქნები. ბიჭებმა როგორ არ იცანი ეგ ამბავი, თორე... მოიცა. აი. აი.  
- ნინი... ნინი...  
- ნინი... ისე იქით იყურება.  
- ნინი... - გულზე ვიჭერ თითს - ნინი... მე... შენ გეკლოდები... მიყურებს.  
ვინ არიან ეს საზოზლარი ქალები საზოზლარი ურიკებით და ბოსტნეულით?  
- ნინი...  
ნახე, როგორ გავთამამდი? თავს აქნევს.  
არ მოდის პირგავორებზე. წერტილი დამისევს. დიდი ხნის წინათ.  
- ნინი...  
ორ თითს ნეკს ჰაერში და თით-თითს რაღაცას მუზუნება.  
ეს ორი თითი რა ჯანდაბაა? ვიქტორია? ვიქტორია!  
მოვიგეთო, დედა გიტირეთო. წაგებულდი ვარ, მაგრამ ხომ იცი, მთლად მათხოვარიც არა ვარ. მაინც დაგიტოვებს. ორი. ორზე ვამთავრებო. ორზე ვამთავრებო. ეგ კი მანშინა. რაღაცაც მოაყოლა, თქვა, მაგრამ ვერ გავიგე. ორ საათამდე, აი, ამხელა ბრილიანტი ჯიბეში, ამ შუაგულ ტყეში. ტყეა, მა რა არი. რა ქვია ამ უზანს?  
აი, აქ ვიდგები. რომელია? საათი მაინც მქონდეს.

რა საშინელი ქურჩაა. ბედმა გამიღმა, რომ ისტში არ მიცხოვრია. თუმცა... ბენგალია. ბენგალია კი არა, ფიროსმანი. ფიროსმანი. ვაიძე, მაინც უნდა არ უხსენო. ხო.  
- ნინი, გინდა, შევიდეთ, სადმე დავსხვდეთ? ძალიან სერიოზული საქმე მაქვს. ეს ეგება შენს წარსულს, ჩემს წარსულს, ბაბუას, ყველას, ვინც აქ არი, ან სხვაგან არი...  
- აქ სად უნდა დავჯდეთ?  
- ნამო, შამინ, სადმე წავედეთ...  
სალაპარაკო მაქვს...  
აი, როგორ შემომხედა. აი, ჭალარაც მაქვს საფეთქლებთან. შვილად მერგება, თბილისურად რომ შემერთო ცოლი.  
- ჩემთან სულ ვილაცები მოდიან და რაღაცებს მთხოვენ. ვილაც ბიჭები მოდიან. ვეეთი ბედი მაქვს.  
- მე სათხოვნელად არ მოვსულვარ... საქმე მაქვს. არ ვახსოვარ?  
- არა.  
- ერთი თვის წინ, ბეთსოვტრზე არ შევხვდით? თქვენ რომ ჩამოხვედით, ვახსოვს ინდოელი რომ იყო, საბუთებს რომ აგროვებდა.  
- არა. არ მახსოვს...  
- ჰოდა უნდა მოგიყევი... ბაბუა...  
- ბაბუა გარდაიცვალა ორი წლის წინათ...  
- და შენ ისე ნამოხვედი არა?  
- სად ნამოხვედი? ჩვენ აქ ვიყავით. თავშესაფარი მოითხოვა ბაბუამ. მერე სადაღც დავდიოდით. ბაბუა ექსტრემში... იქ არის საფლავი. მითხრა არ ჩამოხვიდე ხოლმეო. თუ ძალიან მოგინდება, მარტო მაშინ ჩამოდიო...  
- ექსტრემში...  
- ჰო. აქ რომ ჩამოვედით, მერე გაირკვა, რომ ბაბუას მამა აქ კარდაიცვალა... აი, ადრე რომ იყვნენ ემიგრანტები. ბაბუას მამა იყო და მერე ექსტრემში ცხოვრობდა. იქ დამარხეს. ბაბუამ იპოვნა და... მე ბრიტანეთის მოქალაქე ვარ. ბაბუას მამა იყო ბრიტანეთის მოქალაქე. იქ მარხია, ექსტრემში. ბაბუაც ოც ნაბიჯში. ბაბუას ეგრე უნდადა. თურმე მაკიტო ნამოხვედით... ნანახი კი არ ყავდა...  
დაუსტყინე, მაკ გარღიე.  
დაუსტყინე.  
- სადმე დავეჯდეთ, რა ნინი. ძალიან მაინტერესებს ეგ ამბები<...>  
<...> ... ოქსფორდ სტრიტზე, უკვე მარტო არჩისკენ, რომელი მაღაზია ისა? ხო, რომელიც არი. ერთერთი ის დიდია, ოლონდ არა ის, აი, ძველი ალყაფი რომ აქვს. ფუ, რა მჭირს? რაც არი. მაგ მაღაზიის წინ ერთ ბებერი რუმინელი დაგას და ვიოლინოზე უკრავს. მაღაზიაშიც ხო ჩართულია მუსიკა და ამის ვიოლინოს ხმა არ ისმის. საერთოდ არ ისმის, ნინი. აი, ახლა რომ გავიდეთ და

მაგრამ იმ საქმის რა ვქნათ?  
- ნამო, ჩვენთან იყავი. გიპოვი იმ გოგოს. გინდა ახლავე დავრეკო? <...>  
<...> თორმეტი იქნებოდა. ალბათ თორმეტი, რომ ამოუზხვიე და ჩვენს აბპერსტს მივადექი. აგე, ჩაუბნელე ბია მისტერ ზალაბსკის. აბა, მე ხომ არ დამელოდებოდა. ლუდის სმას ისა აქეს ცუდი, რომ მეტროში სულ საპირფარეოზე ფიქრობ. აბა, სადარბაზოს კარი გავაღე და ჩემი ბინის კარში გაკვეთებული თეთრი კონვერტი დავინახე. ჰოო. რა თქმა უნდა. ასეა. ვერ დამელოდა.  
"მგონია, რომ პატარა გოგო უნდა მოძებნი.  
- ფსტიად ასე ეწერა. გასარჯობა შენი. აბა, მე რას ვაკეთებ მთელი დღეა?  
ისე, მისის ზალაბსკი რომ არ ყოფილიყო, რა ემეხებოდა მისტერ ზალაბსკს? <...>  
<...> ფუ, მე კორნერშოფების (სიტყვასიტყვით, კუთხის მაღაზიები. ლინდონში მტად გავრცელებული, შედარებით იაფი სავაჭროები, რომლებიც სულ აზიელების და არაბების ხელშია.) კაცი ვარ. ჰაი, ნასირ. ჰაი, აბამდ. ჰაი. აქ კი სუპერმარკეტი თუმცა, ლატაკი სუპერმარკეტები მიყვარს და მომწონს. ილინგ ბროდევიზე ერთი მაღაზიაა, რომელსაც 99 ქვია. ყველაფერი 99 პენსი ღირს. ბევრგან არი ეგ ქსელი. ჰოდა, როცა თბილისი მომენატრება ხოლმე, შევდივარ და დავბოდილობ რიგებს შორის. შუსტად ისეთი სათამაშოებია, წერეთლის ბაზრობაზე რომ დავტოვე ათი წლის წინათ. შუსტად ის ჭურჭელი და შუსტად ის სარეცხი ფხვნილები. ჯავრისებს, ბლოკნოტებს და ფანქრებს აღარ ვახსენებ. აქ კი სუპერმარკეტი. თან რიგები. რიგები შენ ოქსფორდ სტრიტზე უნდა ნახო. საშობაოდ ვერგაყიდული საღამოს კაბები გაიფდა. ყველაფერი გაიფდა, ძმაო. ვისკიე კი. ბეილის ლიკორი გაიფდა, ეგ სამოთხის გვირგვინის გალობა ეგა. მაგრამ სულ რამდენიმე დღით. ამ უბედურ ისტ ლანდონში რა გაიფდა ისეთი, რო ერთმანეთზე გადადიან? დილაა და რა ეტანეთ?



# ფრაგმენტები უცნობი კაცის სიზმრიდან

## ბაბა ნახსოვნილი

I შეხვედრა. ქალი. ღამე. სიგარა. სიტყვები. ისე. სირუმი გამო. ფაფარა. ნაძვი. ნაში. გიტარა. ქალი უკრავს და კედელს საღამო.

სუნთქვა. ნიაჟი, სურვილი სივრცის. აღარ ეძებენ ხელები კედლებს, სურვილი ღამის და შიში ცისკრის, რომელიც მხოლოდ დატოვებს შედეგს.

ქალი. მუსიკა რატომღაც წყდება. ფერება. დაღლა. ცოტა სასმელიც და ამოუხსნელ იბნევა გზებზე შეხვედრა. ქრება ქალის სახელი.

II სიფერმკრთალე, შეიცვალენ პლანეტები გამეტებით, ახელდებენ სინამდვილეს როგორც უხეშ სიმარტივეს და ოცნებით საზრდობას, ჰქვია მაინც მარტოობა, მარტოობა, მარტოობა.

III ბარათი, ხელზე საათი, დრო მიდის ალბათ ტაბათი, ის მიდის უცნობ ქალთან. ლალატი. ქუჩა. ცა დაუხატავთ ლურჯად. უსაქმობით ისე.

ხალხი. ნაბიჯები. მარში. მათხივარი ბავშვი. ხურდა. ქრისტე.

IV ნარინჯისფერი ველი, ინვიმა, წვიმას ელოდა ცხოვრება მთელი, ქალს უხერხულად მოხვია ხელი და მერე წასვლა აღარ იმძიმა.

იგი ეძებდა ცაში სართულებს, იგი ეძებდა დასაწყისს, ბოლოს, და ერთი ღამე გაიგო მხოლოდ, რომ სინამდვილეს არ გაართულებს.

მსუბუქი იყო მიწის სიმძიმე. ის უყურებდა დაფერილ ღრუბლებს. თურმე რაღაცა დამთავრდა უკვე ინვიმა, მაგრამ ისევ ინვიმებს.

და მისი ქალის თითები სველი, სამყაროს კარებს ოდესმე გახსნის, და საიდუმლოს ასეთი ახსნით, აღარ იქნება სიკვდილი ძნელი.

V მირაჟი, დედამინა ყირაზე, შემთხვევით არარსებულს ვემთხვევით, როცა ცხადის უაზრობას ვუმიზნებთ. როცა ნამდვილ სცენად ვაქცევთ კულისებს, როცა მოსაწყენი ხდება სიფხიზლე, როცა თანაზმა ვართ სიკვდილზე, მაშინ ვხდებით სასაცილოდ მარტივნი, მაგრამ ალბათ ამ დროსა ვართ ნამდვილნი.

VI ღმერთო ჩემო, როგორ უნდა ძილი, რომ სამყაროს არ დასწამოს ცილი, როგორ უნდა დაიწყება ვენების და სურნელი გადამხმარი ბუბების. როგორ უნდა, რომ მიაგნოს სარკეს, რადგან მხოლოდ საკუთარ თავს ჰგავდეს. სიფერმკრთალე ფერებს თუკი კენკას, შეიყვარებს ვინმეს, თუგინდ კენტარს. ოღონდ კენტარს ჰქონდეს ქალის თავი, ოღონდ ჩანდეს ალისფერი მთვარე. თუნდაც შორი, თუნდაც ძლიერ მკრთალი, ოღონდ ბნელში დაამჩნიოს კვალი, რომ ზმანება გადაიქცეს ცხადად, როგორ უნდა დაინახოს კარგად, სიფერმკრთალის ერთადერთი ფერი - არაფერი, მაგრამ ყველაფერი.

VII მხადლი მხედარი, საით ნეტავი, მიიღების, როცა მხოლოდ ცა მოსწანს. მინა კი გაქრა და უდროობის დროება დადგა. და სასაცილო შეიქმნა დაღლა, ახლა. მას გული სტკივა, ცხენს კი ჩლიქები, არც ერთს არ სჯერა თავდავიწყების და ბედისწერა თავადვე შექმნეს გადააბრალებს სიმხდალე ღმერთებს, ბევრი ინვალებს. რწმენით სიმთვრალე არ გაიკარეს, თითქოს მოსდევდნენ, ჰყრიდნენ ოცნებებს, სტოვებდნენ გზაში,

ილტვოდნენ ასე უდროო დროში, თითქოს ამ ღტოლვით, იხილდნენ ბოდიშს.

VIII მაინც დაბრუნდა, დრო რომ გახუნდა, ჭერი, კედელზე ძვირფასი ფოტო, მიხვდა არასდროს არ იყო ცოდო.

ფანჯრიდან ისევ ნაცნობი ხედი, ნიგნების თარი. მუსიკა ნელი. ცხოვრება ძველი რომ შეიყვაროს

არ სთქვას: არასდროს მქონია ბედი. სახალის ისევ არ ემონება სურათის მტვერი და მოგონება.

რაფაზე ჯდება. იხსენებს. მოსწევს. ის მარტოობის დატეხვს მოწმეს, მაგრამ არავინ არ არის მტეტი. არ სთქვა არასდროს მქონია ბედი.

IX სადგური. პორტი. ის კი არ მოდის, სულ სხვა ადგილი უნდა ნამდვილი. ანდა მგზავრობა, დაარქვა რასაც ახალგაზრდობა, შესთხოვდა ახსნას მინასაც, ცასაც.

სადგური. პორტი. მოიცდის ცოტას მოლოდინს ლოკავს, მოდის? არ მოდის? უბრალო ხდება ლოდინი როცა კითხვების კრება, სირუმი, ლოცვა, იწყება, წყდება.

სადგური. პორტი. ის იყო ლოთი, ან სულაც ლორდი, ან მანანწალა. ან საკუთარ თავს არ დააცალა ცხოვრება, ძილი, სივრცე გახსნილი, ასე ნამდვილი.

X მიუსაფრები. ზღვაში აფრები არ დაიდევენ სურვილს თუ ნადილს, ქალები, როგორც ღამის ზღაპრები, იცვლიან ნიღაბს, იცვლიან ადგილს.

ქაოსი. ღელვა. დინება ჩქარი. ალბათ ავობებს, ავობებს ასე, ვიდრე მარადი იდგეს ზამთარი. მარტოობით და სითეთრით სავსე.

სადაც ხვედებიან ფერები ფერებს, ერწყმინ. სცვლიან. ჰქმნიან ცვლილებას. მერე და მერე, მერე და მერე დარჩება მხოლოდ თავდავიწყება.

... შენ და შემოდგომის მთვარე, ღამის სამის ნახევარი, ისევ ხეტიალი გარეთ, უძილობა ასე არის.

მერე ბინა, მერე ნივნი, შორს კი მთები, ისევ მთები, გახსენება რაღაც წმინდის, რითაც ცოცხლობ, რითაც თბები.

შენ და შემოდგომის მთვარე, რიურაუს უცდის ფანჯრის მინა, ალბათ ისევ გაგაღ გარეთ, უშენობა მომწყენია.

## ბახუნებული აზიზა

# "დაბუბებული წყალი"



სოლომონ დოდაშვილი

## მარიკა წალაძე

1801 წელს საქართველოში მეფობა გაუქმდა. საქართველო რუსეთის გუბერნიად გადაიქცა. ეს ფაქტი ალბათ არ მოხდებოდა, რომ არა ის საზოგადოებრივი აზრიც, რომელიც საქართველოში მოწინავე საზოგადოებაში არსებობდა. ალექსანდრე ჭავჭავაძე ამის მიზეზს შემდეგნაირად ხსნის: "ალა-მაჰმად ხანის უკანასკნელმა შემოსევამ და ტფილისის აოხრებამ 1795 წელს გადასწყვიტა საქართველოს ბედი. საქართველომ თავილი თვისიმი მიაპყრო ერთმორწმუნე რუსეთს, რომელშიც იგი წინათაც ჰპოვებდა დასაყრდენს". რას ელოდა იგი რუსეთისგან? ალ. ჭავჭავაძემ ეს ლექსში "კავკასია" შემდეგნაირად ახსნა:

"განისხნა გზა და ეშვათ ივერთ სასოებამ, რომე მუნის შემოვიდეს მათ შორის განათლებამ."

განათლება, სიმშვიდე, ნორმა-ლურად ცხოვრების პირობები - აი რას ელოდა ინდროინდელი საზოგადოება. ასეთია პატარა ქვეყნის ბედი, როცა გარშემო ისეთი მეზობლები გაყავს, როგორც საქართველოს ჰყავდა. მუდმივი ომის მიშს, მან დიდი ქვეყნის დახმარებით მოპოვებული სიმშვიდე არჩია. თუმცა კი არ არჩია, აარჩევინეს.

რა მიიღო საქართველომ რეალურად?

ერთი რუსი მოხელის სიტყვებით საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე არსებული ატმოსფერო ასეთი იყო: "ადგილის განურჩევლად მე-

3. შინაური წარმოდგენები ერმოლოვთან.  
4. ფიგლართა გამოსვლები თბილისის კლუბში.  
5. მუსიკალური საღამოები ა.ს. გრიბოედოვთან.  
6. მუსიკალური შეკრებანი პრასკოვია ახვედოვთან.  
7. ბალი თბილისში ა.ს. გრიბოედოვის ქორნილის გამო.  
8. პირველი საჯარო კონცერტი (ქველმოქმედებითი, ღარიბების დასახმარებლად).  
9. ნადიმი ორთაჭალის ბაღში პუშკინის პატივსაცემად. თითქოს, ერთი შეხედვით, ყველაფერი როგზუა. იმართება ქველმოქმედებითი საღამო; შესანიშნავი პოეტის პატივსაცემად იმართება ნადიმი და ა.შ. მაგრამ რუსეთის მხრიდან ყველაფერი ეს კეთდება ქართული საქმის გადასაჯინებლად და განცხრობისათვის მისაცემად. მაგალითისათვის გრიბოედოვის ქორნილის აღწერაც კი კმარა, რომელიც "ტიფლისისკი ვედომოსტი"-ში (1828 წლის №11 იყო გადმოცემული):  
გრიბოედოვმა ნინო ჭავჭავაძეზე 1828 წლის 22 აგვისტოს დაინერა ჯვარი სიონის ეკლესიაში, შემდეგ კი ქალაქის გუბერნატორმა ნ.მ. სიპიაგინმა თავის სახლში გამართა დიდი ბალი: "სიპიაგინის ბინა ბრწყინვალედ განათებული და მორთული იყო, მინებიანი აივანი, საიდანაც სტუმრები შემოდიოდნენ, ამ შემთხვევისათვის საგანგებოდ შემკული მწვანითა და ყვავილებით.


ბუკთა ხმა აუწყებდა სტუმართა მოსვლას. მამაკაცებს თავაზიანად ხედებოდნენ სპეციალურად გამოყოფილი მოხელეები, ხოლო ქალებს ღებულობდა თვით მასპინძელი.

როდესაც სტუმრები მთლიანად შეგროვდნენ, ბალი დაიწყო ბრწყინვალე ფეთქერკით, რომელიც ანთებდნენ, თუმცა კი რუსეთი ძალზე ალექსანდრეს სახელობის მოედანზე (ახლანდელი თავისუფლების მოედანი), რომელიც გაშენებული იყო თბილისის სამოქალაქო გუბერნატორ ნ.მ. სიპიაგინის მიერ.  
ფეთქერკის შემდეგ დაიწყო ცეკვები: ერთმანეთს ცვლიდა: პოლონეზი, ვალსი, კადრილი. ბოლოს ყველაფერი მიწყნარდა და დამსრენთა ყურადღება მიიპყრო კვარტეტმა, რომელსაც ასრულებდნენ ვირტუოზები, ისეთი მაღალი შესრულებით, რომლითაც დატკებოდა ყველაზე უფრო მაკარი მცოდნე და მომთხონი მუსიკისა.

კვარტეტის შესრულების შემდეგ კვლავ გაჩაღდა ცეკვები, სადაც უნატოვსი ქართველი ასულები ნაციონალურ ტანსაცმელში გრძობის ამშველელი მელიდის ქვეშ ასრულებდნენ ქართულ ცეკვას. ღამზამანთა, ნარნარმა და მსუბუქმა რონინმა ქართული ცეკვის შესრულებისას მაყურებელს დააიწყეს სწრაფი მანურკა და კატლიონი. დიდებული ნადიმი დილის სამ საათამდე გაგრძელდა." როგორც ვხედავთ, თავიდან წმინდა ევროპული განცხრობმა, შემდეგ კი იბადება ქართული სულის გა-

მოხატულება, რომელიც თვით რუს მოხელეებსაც კი მოსწონთ - ასე მაგალითად, ბალს ესწრებოდა გრიბოედოვის პირადი მდივანი, რომელმაც მამისადმი გაგზავნილ წერილში პირდაპირ მიუთითა: "მე განსაკუთრებით მომწონდა ქართული ცეკვა." ასე რომ, ქართველები ევროპულის ცოდნასთან ერთად ქართულსაც არ ივიწყებენ. ასეთი იყო უპირველეს ყოვლისა, ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი. ამის დასტურია დარია ხარლამოვას მიწერილი ბარათი ერთერთი მასკარადის შესახებ: "მასსოვს ერთი მასკარადიც. ამ მასკარადზე ნინო ჭავჭავაძე მოვიდა ძველ ქართულ კაბაში გამოწყობილი. კაბა მისი ბუბის, მარიამ ივანეს ასულს შემორჩენოდა. ეს ძველი ქართული კაბა ახალ ყაიდის სამოსელზე ბევრად უფრო ლამაზი იყო და ნინოსაც ისე უხდებოდა, რომ თვალის იმასზე უკეთეს ვერას ნახავდა. არ მასსოვს იყო თუ არა ამ საღამოზე გრიბოედოვი." მართალია ეს იყო მასკარადი, მაგრამ ნაციონალურ ფორმაში მისვლა უკვე ქართულზე, ეროვნულზე განსაცხადი გახლდათ და ეს არ იყო ერთეული შემთხვევა: გრიგოლ ორბელიანი ამჯერად უკვე ალექსანდრე ჭავჭავაძის მეორე ქალიშვილზე - ეკატერინეზე წერდა: "ყოველთვის ახალ სია-მოვნებით ვივინებ დღეს მას, როდესაც ეკატერინე ქუდმჩაკცილი ლეკურს თამაშობდა და იმღეროდა "ბროლის ფიცარი აფიცარი, გულს დაეკეთონ."

ასე რომ, ერის საუკეთესო შვილები ისევ ატარებენ ნაციონალურ მუხტს, თუმცა ამას ფრთხილად გამოხატავდნენ, მაგრამ მაინც გამოხატავდნენ. გრიგოლ ორბელიანი თავის სახლში, რომელიც არცთუ ისე კეთილმოწყობილი იყო, კვირაში ერთხელ თუ ორჯერ აწყობდა ქართული მუსიკის საღამოს: "ვა კინაზი?" - უპასუხია XX საუკუნის დასაწყისში უხუცეს აშუალო პოეტ ოსებ გრიმაშვილისათვის - "ვე-ნაცვალებ ჩვენ იმას! კვირაში ერთხელ თუ ორჯელ კინაზს ბრძანებით მივიღიდით მის სახლში, განსაკუთრებით საიათნოვას ლექსების სამღეროდ, - ჰაა! კინაზი გამოგვეკვებებოდა და გვეტყუოდა თავისუფრი მჭახე ხმით: "ოხ, მოხვედით ჩემო შვილებო!" ჩვენ ვუმღეროდით საიათნოვას საჭიჭიჭო ლექსებს და ოხრად დაგვასაჩუქრებდა! ხოლო ბედნიერ დღეებში (აღდგომასა თუ ახალ წელიწადს) ტანსაცმელს შეაკვირებოდა თავის დერცის და სახსოვრად გვიფექვაშებდა. ეს ის გრიგოლ ორბელიანია, რომელიც რუსეთის სამხედრო სამსახურში იყო გენერალი, რომელმაც შამილი დაამარცხა და მანამდე კი 1832 წლის აჯანყებასთანავე ჰქონდა კავშირი. ადამიანი, რომლისთვისაც ნატურალური სიმდიდრე არაფერს ვიძინებოდა, რასაკვირველია გეოკოდინებათ, სად და რა ალგაბა არის გრიგოლ ორბელიანის სახლი. პოეტის არ უნდოდა სიძველეში შესული სახლის განახლება. სახლის შესავალი ეკლესიის პირდაპირ იყო. კარებზე არც რიგიანი ზარი, არც მოსამსახურე, შე-



გრიგოლ ორბელიანი

დით, პალტო გაიხადეთ, ჩამოკიდეთ კედელზე და შეაღეთ ზალის კარები. არავინ არ არის. ვეგებრეგა ზალა, სკამებით გარშემოშკრივებული, რომელიც არც სავარძელი, არც ტახტი. თუ კარების ხმამ გაავრია ვისმე მოსამსახურეს თქვენი შემოსვლა, ზომ კარგი, თუ არა და გასწიეთ პირდაპირ და შეაღეთ ის დიდი კარები, რომელიც გზაზე დაგიხვედბათ. ამ კარებს შეჰყავხართ თქვენ პოეტის კაბინეტში.

მარჯვენა კედელზე მიკეთებული თაროები საესვა ნიგნებით, რომელთ ტყავის ყდაზე იკითხება წარსულის მომავლის ცხოვრებისათვის, თორემ თვალები, ნიგნის შემკვერელთა ვინაობა; მაგდები მარჯვნივ და მარცხენივ, თვითონ სამუშაო მაგიდა, ფანჯრები და ბუხრის თავი საესვა არეულად დაყრილი ქაღალდებით, გაზეთებით, ნიგნებით, სურათებით.

ბედი ანუხებდა. სწორედ ასეთი ხალხი შემოიკრიბა გარშემო პეტერბურგიდან ახლად დაბრუნებულმა სოლომონ დოდაშვილმა თავის ლიტერატურულ საღამოზე და ალექსანდრე ჩიქოვანს, ვახტანგ ორბელიანს, გრიგოლ ორბელიანს, გიორგი ერისკარგი, თუ არა და გასწიეთ პირდაპირ და შეაღეთ ის დიდი კარები, რომელიც გზაზე დაგიხვედბათ. ამ კარებს შეჰყავხართ თქვენ პოეტის კაბინეტში.

თუმცა დრო იცვლება და იცვლება ვითარებები, მაგრამ არ იცვლება სწრაფვა უკეთესობისკენ. სოლომონ დოდაშვილის სალიტერატურო ნორის შექმნაც და წრის მოღვაწეობაც ამის დასტურია, რადგან მან თითქოს საზოგადოდ მიძინებულ ეროვნულ სულს გამოსაფხიზლებლად გადამწყვეტი დარტყმა მიაყენა - ყველაფერი კი უმტკიცენულოდ, სალონური ცხოვრებით, ლიტერატურული საღამოების გამართვით დაიწყო და სერიოზულ განაცხადში გადაიზარდა. თუმცა ამაზე სხვა დროს.

პერსონაჟი რომანსაში



სიცოცხლის ბოლოს, ვაჟკაცი ქართველი პოეტი კოლაუ ნადირაძე ჰენდელს იხსენებს, როგორც ბავშვობაში ქუთაისის კათოლიკური ტაძრიდან წამოყოლილ ძვირფას შთაბეჭდილებას: "ქუთაისში დედაჩემს კათოლიკურ ტაძარში დავყავდი. დღესაც მახსოვს, მე იქ ჰენდელს ვუსმენდი..."  
 ეს ფოტო ქუთაისში, XIX საუკუნის მიწურულსაა გადაღებული და მასზე აღბეჭდილი პერსონაჟებიდან, რომელიც რალაციტ გრიფი-

ტის კინოს მოგვაგონებენ, მხოლოდ ერთია იდენტიფიცირებული.  
 მამაკაცი, რომელიც დგას და იდაყვებით კონსოლს დაყრდნობია - ფრანც ბეთანელია. სწორედ იგი უკრავდა ქუთაისის კათოლიკურ ეკლესიაში ზაქარია ფალიაშვილის ძმასთან - ივანესთან ერთად ჰენდელს... ბახს...  
 ფოტოზე აღბეჭდილი სიმშვიდე რევოლუციის ღვარცოფით მალე დაიმსხვრევა.

ფრანც ბეთანელის ვაჟს, რომელიც ამ დროს ჯერ სულ ყმანვილია, სხვადასხვა კონტინენტზე მოუწევს ბრძოლა და ხეტიალი, ხოლო სამუდამო განსასვენებელს ოჯახური ლეგენდის მიხედვით სადღაც... სამხრეთ ამერიკაში ჰპოვებს.  
 ქუთაისის ქართული კათოლიკური ტაძრის მესა... ჰენდელი... დარჩა, იქნება უკანასკნელი, ქართველი მადლიერი მსმენელის პოეტ კოლაუ ნადირაძის მოგონებაში.



ერთი სახლის ისტორია

# სამოთხეები - კომუნალური ბინა

მეც კომუნალკაში ვავიზარდე, ვორონცოვზე, იტალიურ ეზოში, მეორე, "ნამდვილ" სართულზე. სამზარეულოს და საპირფარეოს რამდენიმე ოვჯახი ვიყოფდით, სააბაზანო საერთოდ არ არსებობდა, მაგ საქმისთვის სამზარეულოს ვიყენებდით - ჩავეკვავდით კარს და ყველას სწორედ მაშინ უნდებოდა ჩაი და სარეცხის ამოწურვა, ვიღაცა ბანაობას როცა ცდილობდა ხოლმე...

## ანა კორძაია-სამადაგვილი

ცხადია, კომუნალური ბინები მხოლოდ თბილისში არ არსებობს, მაგრამ თბილისურ კომუნალკას სულ სხვა ხიბლი აქვს, თუნდაც მულტიკულტურულობის (და არა ინტერნაციონალიზმის) გამო. რას არ ნახავ, რას არ გაიგონებ! რა დროის გლობალიზაციაა, ძვირფასებო, როცა ამქვეყნად ჯერაც არსებობს თბილისური კომუნალკები!

სანამ იქ ვცხოვრობდი, შესანიშნავი ქურთული ვიცოდი, ცოტა სომხურიც მეყურებოდა: გურგენ პეტროვიჩი შემიყვანდა ხოლმე თავის დიდა და რატომღაც სულ ბნელ ოთახში, სადაც იეზიდების ჭრელი ქორნის ხმა და "აიშა" არ ისმოდა და ყველაფერი, ჭალიდან ჩაის კოვზამდე, ულამაზესი, და, როგორც ახლა ვხვდები, უძვირფასესი იყო - მოხუცი რევოლუციამდე პირველი გილდიის ვაჭარი და სასტუმროების მფლობელი ბრძანდებოდა; ჰოდა, შემეყვანდა იმ უცნაურ ოთახში, დამისხამდა უმაგრეს ჩაის - მაგარს და ქაფქაფას! წყალწყალას და ტკბილს, მისი თქმით, მხოლოდ მდაბიოები სვამდნენ, - და მიხსნიდა: "პაც" არის პური, "ჯურ" - წყალი. ჩემი შესაბრალისი სომხურით რამის თქმას რომ დავაპირებდი ხოლმე, უმაღ მანყვეტინებდა: თურმე ასეთ სომხურსაც მხოლოდ მდაბიოები ლაპარაკობენ, ასეთ სომხურს ქუჩის სუნი ჰქონია. მეც, შემთხვევით მდაბიო რომ არ ვგონებოდი, გამწარებთი ვხერხედი შავ ჩაის და ჩუმად ვისმენდი, თუ როგორი ბრილიანტები ვარგა და როგორი - არა. სამაგიეროდ, ახლა კომპეტენტური სახით ვიმეორებ ხოლმე პაპა გურგენას სიტყვებს, იქნებ ვინმე მაინც გაბრწყინდეს და ეგონოს, რომ სულ ბრილიანტებთან მაქვს საქმე.

გურგენ პეტროვიჩის გარდა მრავალი საინტერესო მეზობელი გვყავდა. ერთ-ერთი განსაკუთრებით ტკბილ მოგონებად მყავს ჩარჩენი-



ლი: უმსუქესი და უავესი არსება, რომელიც "პოლის ჯოხით" ანგრევდა ხოლმე მერცხლის ბუდეებს (ამაოდ - მაინც მოფრინავდნენ), ფრთხილად და ისკინტლებიანო. თავად კი დიდი წარმატებით რეცხავდა ხოლმე ერთადერთ ნიჟარაში ყვითელ ლამის ქოთანს, და იყო სამზარეულოში დიდი ვაი-უშველელები და ნივილ-კივილი, ქართულად, სომხურად, რუსულად, ხანდახან გერმანულად, როცა ქვედა სართულზე მცხოვრებ საბრალო გერმანელს მეზობლებთან ჩაის დაღვევა და აღზრდის პრობლემებზე საუბარი მოუნდებოდა ხოლმე.

ამ ნიჟარას ერთი უჩვეულო თვისება ჰქონდა: შიგ სულ რაღაცა იჭედებოდა, ხან ბლის კურკები და ხან ჩაი, წყალი გადმოდიოდა და ქვემოთ მცხოვრები, თავზე ჩულქჩამოცმული ძია ვინმეს მოსაკლავად მოჰქროდა ხოლმე ჩვენს სართულზე, ძია არც

ისე იყო დათაფლული, თავის შვილიშვილს სულ შემზარავ ხმაზე უძახდა ხოლმე, მოდი, ცემით უნდა მოგკლაო... ერთხელაც, ღამით, როცა ყველამ დაიძინა და ერთ-ერთმა მეზობელმა ფოტოების გამჟღავნება და დაბეჭდვა გადაწყვიტა, ზემოხსენებულ ნიჟარაში ფოტოსურათი ჩაივარდა, რომელიც, ცხადია, დასველდა და წყლის გასასვლელ ნახერცებს მიეკრო. ონკანი ლამის სიჩუმეში ხვევლებას განაგრძობდა, კაცი ნითელ შუქზე ბედნიერად აგრძელებდა თავის საქმეს, სანამ არ აღმოაჩინა, რომ ყველაფერი დამთავრდა, სამზარეულოში ტბორი დადგა და მოვიდა მეზობელი! მაგრამ კომუნალკაში ცხოვრება დიდებული სკოლაა: კაცმა სველი ფეხსაცმლით დერეფანი მეზობლის კარამდე გაიარა, მერე ფეხზე გაიხადა და წინდებისამარა შეიძურნა თავის ოთახში. ამოვარდნილი მეზობელი სველ კვალს გაყვა



და რაც იქ დატრიალდა, მეც კი მახსოვს, მტერს და ავს...

საერთოდ, უწყვეტი სკანდალები რომ არ შეიმჩნიო, რომლებშიც რაც ნაკლებად მონაწილეობ, მით უფრო მეტად ცოფდები (ამიტომ ისევე ყაყანი ჯობს), და არაა რომ ჩააგდოთ აღმაცერი მზერები და ხმაბალა ჩურჩული "ზოგ-ზოგიერთების" ზნეობრივ სახესთან დაკავშირებით, კომუნალკაში ცხოვრების ფასი არაფერია.

სახლი, რომლის შესახებაც ახლა ვსაუბრობ, შესანიშნავი სახლია. დღეს ქალაქის ცენტრში დგას, თუმცა თავის დროზე ალბათ ერთობ უზადრუკ ადგილას იდგა - მე პირადად სულ არ გამიხარდებოდა სასაფლაოსთან ცხოვრება. ახლა ის სასაფლაო არ არსებობს. თუ არსებობდა, არც ვიცოდით, ეს კედლის მეზობელმა გვიამბო, რომელსაც ამ სახლში იმხანადაც უცხოვრია, საერთოდ,

როგორც ჩანს, მათუსალას კბილა იყო - ხელის მონერა შეეძლო და "მამაო ჩვენო" იცოდა, ლათინურად, ოღონდ არ ახსოვდა, რომ ლათინურად იცოდა, მოკლედ, დიდ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი. ეს კეთილი ქალი ოდესღაც ციხეში მჯდარა. თვითონ კი ამბობდა, ტროცკისტული ამაზი იყო, მაგრამ ბოროტი ენები, ანუ მეზობლები, იმტკიცებოდნენ, მეორე ქმრის მკვლელობაზე იჯდაო, დათვრა ის უბედური კაცი, ფანჯარაში გადადგა, - იმ ფანჯრიდან ახლა კატებს უყრიდა გამოხურულ ძვლებს, - სტაცა ამან ფეხებში ხელი და გადააგდო. მანამდე პირველი ქმარი მოკლაო, ბალიშით დაახროო და ახლა მოადგენ ცოდვებიო. ეს უკანასკნელი სიტყვები - ცოდვები შესახებ - დამაფიქრებლად ყლერდა, იმიტომ რომ სათნო მოხუცი ღამ-ღამობით, თვეში ერთხელ მაინც, თავის თორმეტკვადრატულიანის



კედლებს აწყობდა და ჩემთვის გასაგებ რომელიღაც ებრაულ ენაზე გაპყვიროდა ხოლმე, გამიშვიო. მის ძახილს ბანს აძლევდა ცოლის მოყვანის სურვილის ჩასაკლავად დამანყარებლებით გამოშტერებული მოსპანიელო ძაღლის ყმუილი და ჩემი მეგობრის ტირილი, ვაი, დედა, გადავირვიო. სამაგიეროდ, ასეთი ღამის შემდეგ ყველას ეზარებოდა ხოლმე ადგომა და დილით მეზობლის უზომო ქოშების ფლატუნი, "ხათო, ჩაი გაცივდა" და მსგავსები აღარ გველიძებდა, ტკბილად გვეძინა.

მერე მოხუცი გარდაიცვალა და დიდი განწევ-გამონევის შემდეგ მისი ოთახი დეიდა სიმამ შეიერთა. მას, როგორც ჩანს, ეზარებოდა საერთო სამზარეულოში საქმლის კეთება, ამიტომ იმ დღეს, როცა ვაჟი და რძალი უნდა სწვეოდნენ, ნავთქურას ოთახში ანთებდა ხოლმე და იდგა შემოსასვლელში სასწაული სუნი; პირველად ვიფიქრეთ, რომ კატას ხარშავდა, მაგრამ თურმე არა, უბრალოდ ტოლის, ნავთქურას და დერეფანში კასრით დადგმული კომბოსტოს წნილის სურნელები ერთმანეთს დიდად არ უხდებოდა. ასეთ დროს ოთახში გახევის ვნავადი ხოლმე და ყველაფერი ისევე კარგად იყო.

ამ გახევის წვამ დამიღუპა მეგობარი. თან ქერა იყო, რუსნარევი, თან ცისფერთვალა, თან ჩხუბის ემინოდა და ამიტომ ჩუმად დაიძურნებოდა ხოლმე. გარდა ამისა, ეწოდა; ერთხელ ღმერთი გაუნყრა და ღამით საცვლისამარა გავარდა საპირფარეოში. ყველაფერი დამთავრდა: გააღვანდა, რომ ჯადო-მაღია და, რასაკვირველია, უყოფაქცევო. რაც სინამდვილეში სჭირდა - რომ მეზობლის ტაფიდან ჩუმ-ჩუმად კატლებს იპარავდა და ბაბკენას წნილიანი კასრიც ნახევრამდე ჰქონდა დაყვანილი, არავის შეუმჩნევია, ხალხი ბეცია... ცხადია, ამ საწყალს ხმას არ სცემდნენ, სანამ ერთხელაც, ზამთარში, ვაზი, წყალი და შუქი ერთად არ განყდა და საწყალმა გოგომ მეზობლები არ დააკვლიანა, ქუჩის მეორე მხარეს, სკვერთან, მშვენიერი საზოგადოებრივი საპირფარეოაო და ჩაის მე აგიდულუბთ, თუჯის ქვაბიც მაქვს და დეკორატიული ლერწამიც...


იმ დღეებში მივხედი პირველად, რას ნიშნავს კომუნა, რა სიყვარულია ერთობა, რა კარგია, როცა მდიდარი და ღარიბი არ არსებობს... ისე, ნეტავ სულ მდიდრები ყოფილყვნენ, საძაველი იყო ეს მდაბიური, წყალწყალა და ტკბილი ჩაი...

S O S I





კიდევ ერთი რომანი  
თომას მანის "ქართულ თაროზე"



# საყვირი და ტაში

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა 2002

ოქტომბრის დასაწყისში "24 საათის" დანართის, "წიგნების" გამოსვლა სწორედ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის დღეებს დაემთხვა, და ჩვენ ვეცადეთ, მკითხველისთვის ამ ზეიმის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ მოგვეთხრო. 13 ოქტომბერს კი 2002 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა დასრულდა და ჩვენ კვლავ მას ვუბრუნდებით. თუმცა გერმანული პრესა ერთსულოვნად ამტკიცებს, წლევეანდელ ბაზრობას ამ კარად დეკადანსის ნიშნები ეტყობოდა, გამომცემლები და დამთვალეებლები მაინც ძალიან კმაყოფილები დარჩნენ - ფრანკფურტი მაინც ფრანკფურტია...

## ანა კორძია-სამადაშვილი

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის დასრულებას სტუმრებს, ტრადიციულად, ორი რამ ამცნობს: ჯერ საყვირის ხმა ისმის, შემდეგ კი უზარმაზარ დარბაზებში დარჩენილი ხალხი, რომელიც, ძირითადად, ბოლო დღეს უფასოდ დარიგებული წიგნების მოპოვებითაა დაკავებული, ტაშს უკრავს. სიმბოლურად ეს ორი ქმედება შესანიშნავად ეთავსება ერთმანეთს: წლევეანდელი ბაზრობის დამთავრება მომავალი ბაზრობის დასაწყისის ნიშანია.

გერმანელმა ჟურნალისტებმა 2002 წლის ბაზრობის დასაწყისით საყვირს "ეკონომიკური თვალსაზრისით ყმუილი" უწოდეს - მაინც წაკბინეს ევროს: "კრიზისი, რომელშიც წიგნის ბაზარი აღმოჩნდა, ეკონომიკური კრიზისითაა განპირობებული... თუმცა სტატისტიკური მონაცემები თითქოს პოზიტიური იყო, წიგნის კრიზისი აშკარად დაწყებულია, და ამის მიზეზი არამარტო საერთო ეკონომიკური მდგომარეობაა, არამედ საზოგადოებრივი განწყობაც - მაგალითად, 11 სექტემბრის მოვლენების შედეგად მიღებული მოკიც," განაცხადა "შპიგელმა".

სად წიგნი და სად 11 სექტემბერი... მაგრამ, როგორც ჩანს, უბრალოდ ვერაფერი გამოიგია, "შპიგელის" ავტორიტეტი ხომ ნამდვილად არაა ხელნამოსაკრავი.

ფრანკფურტის წლევეანდელ წიგნის ბაზრობაზე ამერიკელი და ევროპელი ლიტერატორები ერთად გლოვობენ 11 სექტემბერს დაღუპულებს. დიდი დრო გავიდა, მაგრამ ეს განწყობა მაინც ყველა დარბაზში მძაფრად იგრძნობა, "ნერს" "შპიგელი" ბაზრობის დასრულების შემდეგ გამოქვეყნებულ ანგარიშში (ციტირებული ქვეთავის სახელწოდებაა "ახალგაზრდა და მუნჯი?" - თურმე ახალგაზრდა ავტორებს პოლიტიკური თემები ნაკლებად აღელვებთ). სტატია ძირითადად ამერიკულ-ევროპული ერთობის ფრიად საორჭოფო საკითხებს ეძღვნება: რამდენად ევროპულია გერმანული გზა, რამდენად დასავლურია ამერიკული? რა აქვთ მათ საერთო? ამ საკითხებზე დაფიქრებას სთავაზობენ გერმანელი ინტელექტუალები ახალგაზრდა მოაზროვნეებს.

11 სექტემბრის თემა გერმანიაში საერთოდ დიდ პრობლემად იქცა. დღეს ის დაახლოებით ისეთივე სიმძაფრისაა, როგორც გონებამორჩეულებსა და ებრაელებთან დაკავშირებით "ეროვნული ცოდვის" განცდა. ეს უკანასკნელი კი უკვე კომიკურ ხასიათს იღებს. თავად განსაჯეთ:

12 ოქტომბერს, ბაზრობაზე,

დარბაზში "დიმენზიონ", გაიმართა საუბარი მარსელ რაიხ-რანიციკისთან, სწორედ იმ ლიტერატურულ კრიტიკოსთან, რომლის "დაჩაგვრის" გამოც მშვიდობის პრემიის ლაურეატი მარტინ ვალზერი ანტისემიტად და ერის შემარცხველად იქნა წოდებული. საუბრის თემა იყო "კანონი - გერმანული ლიტერატურა. რომანები", ანუ "რა უნდა ვიკითხოთ".

თავად "კანონი" შემდეგში მდგომარეობს: სექტემბერში, მას შემდეგ, რაც მარტინ ვალზერის "კრიტიკოსის სიკვდილთან" დაკავშირებული სკანდალი ოდნავ მიწყნარდა, რაიხ-რანიციკი კი ერთიანად პოპულარული გახდა, წიგნის მალაზიებში გაჩნდა "ყველაზე მნიშვნელოვანი გერმანული რომანების" ოცტომეული, გამოცემული მარსელ რაიხ-რანიციკის მიერ. ეს სიამოვნება სულ რაღაც 149,90 ევრო ღირს.

ფრანკფურტში შეკრებილი საზოგადოება ავტორს შემდეგი კითხვებით მიმართავდა: რა კრიტერიუმებით შეარჩიეთ ეს რომანები? რამდენად მისაღებია სადღეისოდ ასეთი ნორმატიული ნუსხის არსებობა? რაიხ-რანიციკი ერთობ მჭერმეტყველია და, ცხადია, მსმენელთა ნაწილის თავის სიმართლეში დარწმუნება შეძლო. ნაწილი კი კვლავ იმ აზრისა დარჩა, რომ გოეთესა და კაფკას გარდა სხვა, არანაკლებ ფასეული ლიტერატურაც არსებობს. მაგალითად, ლიტერატი.

არამარტო გამომცემლები, არამედ "ჩვეულებრივი მოკვადეებიც" აღფრთოვანებით მიყვებოდნენ მსოფლიო წიგნის ბაზარზე ნაკლებად ცნობილი ლიტერატორების შესახებ - ნელს ლიტვა ბაზრობის სტუმარი ქვეყანა იყო და ამიტომ მეტ-ნაკლებად სრულად შეძლო თავისი კულტურის და თანამედროვე ლიტერატურის წარდგენა. ჩემი "ინფორმატორები" კანდიერად ირწმუნებიან, რომ რაიხ-რანიციკის მიერ შემთავაზებული წიგნების გარდა ამ ნაწარმოებების ნაკითხვაც ღირს.

ლიტერატორების შესახებ უმჯობესია თავად იმსჯელოთ. თუმცა, ქართველები თარგმანების სიმრავლეს ვერ დავიკვივებით, ზედაპირული გაცნობისათვის ჟურნალ "არილის" ორი წლის წინანდელ ნომერს შემოგთავაზებდით, სადაც წლევეანდელი ფრანკფურტის ბაზრობის სტუმრების ნაწარმოებებიცაა გამოქვეყნებული. ხოლო რაც ლიტვაში წიგნის საქმის განვითარებას შეეხება, თავად იმსჯელოთ:

პანანინა ლიტვაში, რომლის სახელმწიფო ენაც ლიტურია (ანუ მომხმარებელი მხოლოდ ლიტველი შეიძლება იყოს), წიგნები არნახული რაოდენობით იყიდება. ბესტსელერების ტირა-



მშვიდობის პრემიის წლევეანდელი ლაურეატი ჩინუა აჩეზე.



ფრანკფურტის ბაზრობას 1988 წლის პარიზის მოვლენების ერთ-ერთი მოთავე, ლეგენდარული დანიელ კონ-ბენდიციც სტუმრობდა.

ჟი 12-დან 20 ათასამდე აღწევს. ლიტვაში არსებობს 200-მდე "რეალური" გამომცემლობა (შედარებისთვის: საქართველოში - არაუმეტეს ათისა). მოკლედ, ლიტველებმა ფრანკფურტში დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს. პირად საუბარში ამის შესახებ ქართველმა გამომცემელმა, ბაკურ სულაკაურმა მიაბაზო.

ბაკურის აზრს წლევეანდელი ბაზრობის შესახებ საგნებით ვენდობს: 1996 წლიდან, მას შემდეგ, რაც ფრანკფურტში სოროსის ფონდის დახმარებით პირველი ქართული გამომცემელთა ჯგუფი გაემგზავრა (ირინა აბულაძე, ბაკურ სულაკაური, ოთარ ყარალაშვილი და გიორგი ბაგრატიონი), ის შემდგომში ყოველწლიურად მიემგზავრება ხოლმე ფრანკფურტში, არამარტო იმის გამო, რომ იქ ყოფნა მოსწონს (მაგალითად, ჩემსავით), არამედ იმის გამოც, რომ ბაზრობის მნიშვნელობა ზუსტად გაიგო - აქ საუკეთესო კონტაქტების დამყარების საშუალება არსებობს.

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა ქართული წიგნის განვითარების საქმეში: ჩვენც ვისწავლეთ, ასე თუ ისე,

დენიმე გამომცემელი წელიწადში ათასობით დასახელების წიგნის გამომცემას შეძლებს.

ასე, წელს ქართულ სტენდზე მხოლოდ 100-მდე დასახელების წიგნი იყო გამოფენილი. 12 კვ. მეტრიანი სტენდი საკმაოდ უჩვეულო სანახავი ყოფილა - ორად გაყოფილი. ერთ ნაწილზე წიგნებს "ქართველ გამომცემელთა ასოციაცია" წარმოადგენდა, მეორეზე კი, რომელსაც "საქართველო" ეწერა - "ქართველ წიგნის გამომცემელთა ასოციაცია". ქართველები ხომ ერთობას ვერ ვუძლებთ. იქნებ ამიტომაცაა, რომ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობამ ორი წლის წინათ ჩვენთვის არცთუ ხელსაყრელი გადაწყვეტილება მიიღო: სხვა განვითარებადი ქვეყნებისაგან განსხვავებით, ჩვენ ბაზრობის ხარჯებით არცერთი გამომცემლის გამგზავრება არ შეგვიძლია. რატომ მოხდა ასე, დანამდვილებით ვერ გეტყვით, სამწუხარო კია.

წელს ფრანკფურტში ჩვენგან მხოლოდ სამი გამომცემელი იყო ჩასული - თინათინ დიდებულაძე, ლაშა ბერაია და ბაკურ სულაკაური. გამომცემელთა სიმცირე მათი პასიურობით განპირობებული არ ყოფილა - ზოგს ვიზის აღება გაუჭირდა, ზოგს პასპორტი ერთი მიზეზი კი ყველას, ვინც ფრანკფურტს ბაზრობის დროს არ სწევია, სასაცილოდაც შეიძლება ეჩვენოს: წლების განმავლობაში ქართველ გამომცემელთა "შემკედლებელი", მშვენიერი და იაფიანი პანსონის მფლობელი ქ-ნი მარია-ელიზაბეტ რაინვალდი ავად გაგვიხდა და ლამის გამგზავრების წინა დღეს აღმოჩნდა, რომ ბაზრობის გამო სტუმრებით სავსე ფრანკფურტში სხვა თავშესაფრის შოვნა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო...

მიუხედავად ყველაფრისა, ქართველები კვლავ ვიყავით მსოფლიოს უდიდეს წიგნის ბაზრობაზე და, იმედია, კვლავ წარმატებით. გარდა სხვა გამომცემლებისაგან ამა თუ იმ წიგნზე საავტორო უფლებების მიღებისა, ბაკურ სულაკაური ახლა ჩვენი ავტორების "გაყიდვის" თაობაზეც აწარმოებს მოლაპარაკებებს. ვისზე ან რაზეა საუბარი, არ დაუკონკრეტებია. მე კი ვისურვებდი, რომ ყველაფერი საუკეთესოდ წარიმართოს: ეს მხოლოდ ბაკურის კი არა, ალბათ, მთელი საქართველოს გამომცემლების წარმატება იქნებოდა.

P.S. ცნობისთვის: გერმანული მედიები ერთხმად იძახიან, რომ წელს წიგნის ბაზარი ლიტერატურულმა აგენტებმა საბოლოოდ დაიპყრეს. ამ პროფესიის ხალხი სულ უფრო ძლიერდება და სულ უფრო მეტ ძალაუფლებას იძენს. გამომცემლებს დაუფარავად ეშლებათ ნერვები: ლიტერატურული აგენტების ძირითადი სიხარული ხომ გამომცემლების ერთმანეთზე გადაიყიდებაა. ერთმეორედ, ავტორები ხარობენ - აგენტების წყალობით, ისინი გამომცემლებს ბევრად უფრო ძვირი უჯდებათ. კარგი პროფესიაა. იქნებ საქართველოშიც განვითარებულიყო?!

## წიგნის პირველი მაღაზიები



ლელაშვილი ლაშა

### მერაბ ლაშვილი

... ჩემს წიგნიერ სამყაროში შინაურ და გარეშე, სასკოლო და საზოგადო ბიბლიოთეკების გვერდით თანდათანობით იკვეთება წიგნის მაღაზიები, - უზარმაზარი თაროებით სავსე სივრცეები, საიდანაც ათასი წიგნი შემომყურებს.

წიგნის გამყიდველებიც, ოდნავ დამცინავი ლიმილის მიუხედავად, რატომღაც ბიბლიოთეკარებზე გულისხმიერნი აღმოჩნდებიან, - ალბათ, ბავშვის მიერ წიგნის ყიდვა (- ფულის გამეტება) უფრო სერიოზულ და პატივსაცემ ქმედებად აღიქმება, ვიდრე წიგნის თხოვნა, - და თუ ძალიან არ მოვებზრებ თავს, შესაძლოა, ნებისმიერი წიგნი გამომიღონ და მიჩვენონ. მალე კი მთლად უკეთესი დრო ჩამოვდებოდა, - ქალაქში ისეთი მაღაზიები ჩნდება, სადაც გამყიდველი მხოლოდ გასასვლელში ზის და მეც, რამდენი ხანიც მიინდა, შემიძლია თაროებს შორის ვიტრიალო და ნებისმიერ წიგნს შევავლო ხელი, - უფრო სწორად მანამ, სანამ გულს არ მოვიჯერებ ან გამყიდველი შორიასლო არ დადგება და ორაზროვან შემუშნას არ დაინწყებს. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ჩემს იქ ყოფნას ერგევიან და გამყიდველებთან მრავალწლიანი მეგობრობა იწყება. თუმცა ამ ნაცნობობას ახალი დაბრკოლება მოჰყვება, - ყოველდღე დახლებს შორის ტრიალი და ერთი-დაიმავე წიგნების ფურცელა სასაცილო იქნება (უფრო სწორად, მე ვიქნები სასაცილო), ამიტომ ქუჩაზე ყოველი ჩავლისას გულისფანჯრულით ვუახლოვდები მაღაზიის შუშებს, ვინძლო ერთი-ორი გამოფენილი სიახლე შევნიშნო, რაც შიგნით შესვლის მყარ და სასიხარულო საბაზს მომცემს.

წლების მანძილზე თანამდევნი წიგნის მაღაზიების წყებას შორის ხსოვნაში პირველი ამოტივ-

ტექსტი წარმოადგენს ფრაგმენტს მოგონებთა წიგნიდან "შუქურები ბურუსში"

ტივდება ის, რომელიც დიდი ხანია აღარ არსებობს, - იქ დღეს თბილისის ტელეგრაფი დგას. მისი მონახაზი საკმაოდ ბუნდოვანია, მაგრამ ასე მგონია, რომ ის შემადგენელად ადგილას იყო მოთავსებული ანდა, შესაძლოა, ასე მეგონა, ასე მიმიჩნდა, ასე დამამახსოვრდა, რომ წიგნის მაღაზია ქუჩიდან მალა, ქუჩაზე ამაღლებული უნდა იყოს, სადაც უნდა ახვიდეს და არა შეხვიდეს. და ამ მაღაზიასთან დაკავშირებული უძველესი, მიმკრთალი გახსენება: დახლოვანი დედაჩემის გვერდით ვდგავარ. იგი სარეზინო შერჩეულ წიგნს მიჩვენებს და ჩემთან ერთად ფურცლავს. დანარჩენი დავინყებამი ჩაძირულა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, წიგნი ნამდვილად იყო თავის საზღვრად, მოლივილივე ზღვა და ონავარი ბიჭები. თუ მახსოვრებას მართლაც სწორად შემოვხახავ წიგნის შინაარსი, ის უთუოდ მშვენიერი ყოფილა.

საყმანელო წიგნიერი განცხრომებისათვის ჯერჯერობით სახლის ახლო-მახლო სიარულიც მყოფის, - რუსთაველის პროსპექტი ამისათვის სავსებით საკმარისია, - მარჯვნივ თუ მარცხნივ, აღმა თუ დაღმა ხომ იმდენი წიგნის მაღაზიაა ჩამწკრივებული, შუაგულში ფართო და წიგნმრავალი "საუზვეთი", სადაც შუშის მიღმა, სვეტებზე, მოზრდილი მოზაიკური ძველი მთავრული ასოები ღივებებს, რომელთა მნიშვნელობას მხოლოდ მოგვიანებით გავიგებ. რაც მთავარია, მაღაზიის დირექტორი მამაჩემის მეგობარია, რომელიც თორმეტი წლის მონაფესაც იმგვარივე სიმშვიდითა და უფროსულ-ირონიულ გალიმებათა გარეშე მაძლევს საწყობში გადანახულ ძვირფას და ძნელად მოსაპოვებელ - მხოლოდ პარტიული დიდკაცობისათვის გამიზნულ - წიგნებს, როგორც იქნებ შემდგომ ოცდათორმეტი წლის დოქტრის "ზემელზე" კი, მელიქ კაზარიანის სახლში, მჯოიანის ფოტოატელიეს გვერდით, ყავისფერკარადებიან წიგნის მაღაზიაში, გამყიდველი ერთი ტანდაბა-

ლი, სათვალეანი სომეხი ქალი, რომელიც მამაჩემის მეგობრობას მხოლოდ იბრალებს (გვგონებ, ბავშვობაში მეზობლად ცხოვრობდნენ), ქართულ-რუსულ-სომხურად ლაპარაკობს და ლამის ყოველი მისალმებისას ძნელადგასასაღებელ, არავისთვის საჭირო წიგნებს დაჟინებით მაჩვენებს. ამიტომ, რაკილა იქ შესვლაზე - გაკვეთილების დამთავრების შემდეგ - უარის თქმას ნამდვილად ვერ ვახერხებ, ორ თანამდევ უსიამოვნო განცდასაც უნდა გავუმკლავდე: გამყიდველ ქალს მორიდების გამო წინააღმდეგობას ვერ ვუწვევ, ხოლო შინმოსულმა ის შემოტყუებული წიგნი საგულდაგულოდ უნდა გადავმალო, რადგან უთუოდ სირცხვილია არა მარტო ამგვარი შენაძენის უფროსებისათვის ჩვენება ("რაში გადაყარე ფული!"), არამედ - კიდევ უფრო მეტად - საკუთარი უფროსების აღიარება ("უარის თქმა ვერ შევძელი!").

იმჟამინდელი კულტურის სამინისტროს შესასვლელში კი (დღეს იქ თეატრისა და კინოს ინსტიტუტია), ქუჩაში გამვლელ-გამომვლელთაგან შეუმჩნევლად, პატარა ჯიხურია, სადაც სამინისტროში მომუშავე ბებია თამარს ვახლავარ და სადაც თავისიანი და ლიმილიანი გამყიდველი ქალი ლამაზ და კარგ წიგნებს შორის ზის (ამგვარ წიგნებს ქუჩაზე გამოდგმულ მაღაზიებში შეიძლება ვერც ნაანყდე). მის შემთავაზებას ბებიაჩემი ძირითადად თანხმობით იღებს და ჩემთვის და თავისთვის ახალ-ახალ წიგნებს ირჩევს ხოლმე.

გარეთ გამოსვლისას, იმავე შენობაში, პატარა ოთახში, კიდევ ერთი მაღაზია - თავდაპირველად ჩემთვის არცთუ ადვილად გასაგები სახელით - "აკადემიური წიგნი", სადაც თაროებზე მჭიდროდაა ჩალაგებული ძალიან საუფროსო, ძალიან რთულსათაურებანი და ლამის ერთნაირყდინანი წიგნები, რომელთა ნახევარზე მეტი (განყოფილებები - მათემატიკა და ბიოლოგია, ფიზიკა და ტექნიკა) ჩემს გულს - არც მაშინ და არც დღეს - არაფერს ეუზნება. მაგრამ მათ გვერდით ხომ ასეთი მიმზიდველი და მომნუსხველი წიგნები იყო მეფეებისა და ნმიდანების, მწერლებისა და ფილოსოფოსების შესახებ. ამიტომ როგორც კი წიგნების ყიდვის უფლებას და საყიდელ თანხას მოვიპოვე, ამ "აკადემიურ" თაროებზე ვპოულობ საჩემო წიგნებს, - მაგალითად, ანტონ კათოლიკოსის თეთრყედიან "წყობილსივრცეობას", რომელშიც დიდი და გულთადი მცდელობის მიუხედავად, თორმეტი წლის ყმანვილს არაფერი მესმის.

წლების მოედანზე კი რამდენიმე წიგნის მაღაზიაა, რომელთაგან ერთი განსაკუთრებით მაქვს ამოჩემებული: სანამ შინსაკენ მომავალ ტროლეიბუსში ჩავვდები, იქ - გაჩერების პირდაპირ, "ცეკავირის" ქვეშ - თითქმის ყოველდღე შევდივარ (რადგან გამყიდველი ქალი მაგისთან ზის და დიდ ყურადღებას არ მაქცევს), იქაურ თაროებზე წლების წინ გამოცემულ გაუ-

ყიდავად ჩარჩენილ კარგ წიგნებს შეიძლება გადასხედე; ანდა ერთი ციდა მაღაზია სამხედრო შტაბის გვერდით, სადაც დიდი დიდი ოთხი-ხუთი მყიდველი თუ დაეტევა; ოდნავ მოშორებით კი "სამხედრო წიგნია", სადაც ცუდი და ცუდად გამოცემული წიგნები იყიდება, ცუდი სუნი დგას და სადაც ყველა გამყიდველი რუსი ოფიცრის ცოლი მგონია.

მოედანზე და მოედნის ახლო-მახლო კიდეც სხვა მაღაზიები, რომელთა აღმოჩენა, დაფასება თუ ათვალწუნება ნელ-ნელა მიწვეს, მაგრამ ამჯერად გზას სახლის მიმართულებით მივუყვები, რუსთაველის ძეგლისაკენ, და იქ შეეჩერდები, სადაც ხელმწივრიტი გამოცემების მაღაზიაა, - ჯერ ძველმოღობი, მუქი ხის თაროებით, შემდგომში კი - განახლებული და შემომატებული. იქაურობა, მართალია, მარქს-ენგელსის ლურჯი და ლენინის ნითელი ტომებითაა გადაჭედილი, მაგრამ მათი უგულუბელყოფა ადვილი საქმეა (ასე იქცევა ყველა, ვინც კი მაღაზიაში შემოდის), მათ გვერდით ხომ სხვადასხვა ფერის, სხვადასხვა ციფრით აღნიშნული რამდენი წიგნი აღაგია! რა დაუფარავია ჩემი სიხარული, როცა, ვგონებ, თერთმეტი-თორმეტი წლისას, მთელი ოჯახის ხელმწივრის ქვითრებს მე ვადმომაბარებენ (შემდგომ ბებია თამარიც დამითმობს თავის ზოგიერთ ქვითარს) და რა სიამაყით ვდგები უფროსების რიგში, რათა მორიგი ტომის ნომერი ფანქრით აღმინიშნოს მაგიდასთან მჯდომმა ხმაჩახლეჩილმა, პაპიროსიანმა ქალმა, რომელიც ასაკობრივ - თუ სხვაგვარ - განსხვავებას არც ამჩნევს და არც იმჩნევს. ამ დროს - 70-იანი წლების დასაწყისში - ამ მაღაზიის თაროები ივსება "მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის" ოთხმოცტომეულით ქართულად და ორასტომეულით რუსულად, "ბოლშაია სოვეტსკაია ენციკლოპედია" და ცოტა მოგვიანებით "ქართული საბჭოთა ენციკლოპედია". მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა იდეოლოგიით გაჟღენთილი ეს გამოცემები აღსავსე იყო სიყალბითა და სიცრუით, მიუხედავად იმისა, რომ მათში აშკარად მჟღავნდებოდა ჯანსაღი აზრისათვის მიუღებელი და ხშირად აღმამფოთებელი არჩევანი, პოზიცია, პროპორცია თუ შეფასება, უნდა ვაღიარო, რომ (რაკილა, თითქმის ყველა იმ ყმანვილის მსგავსად, ვისაც გონებრივი ჩამოყალიბება კომუნისტურ ქვეყანაში მოსწევია, ჩემთვისაც მიუწვდომელი და ხელშეუხებელი იყო ბრიტანია თუ ლარუსი) შესაბამისზე ნაკლები გაბრაზებით, ნაკლები აღშფოთებით, ნაკლები გაღიზიანებით ვიხსენებ იმ საბჭოთა ენციკლოპედიებს, გადაჭედის კომუნისტური ყაჩაღების პორტრეტებით და მათი შეთხზული ბიოგრაფიებით, რადგან იქიდან ნამდვილად ბევრი რამ გავიგე, ვისწავლე, დავინახე, თვალსაწიერში მოვიქციე, - თუნდაც სტრიქონებს შორის კითხვის და ტყუილის მიღმა სიმართლის ამოცნობის უნარს დავეუფლე. რაც შეე-

ხება მრავალტომიან "მსოფლიო ლიტერატურას", იქ ნახევარი მაინც კარგ ლიტერატურას წარმოადგენდა, დანარჩენი ნახევრის (რომელიც "პროგრესულბის" ან "ინტერნაციონალური თანასწორობის" პრინციპით სრულიად კონიუნქტურულად და არაგულწრფელად იყო შერჩეული) უყურადღებოდ დატოვება კი ძნელი არ იყო, ისევე როგორც გვერდის აქცევა "იდეოლოგიურად გამართული" მატყუარა, არასაჭირო, მაცდური წინასიტყვაობებისა და ანალიზებისთვის, რომლებითაც ყოველი ტომი იყო შემკობილი. ამ შესავლებიდან მწერლობის სიყვარული და ცოდნას ვერავინ ისწავლიდა! და მინც მჯერა, რომ ყმანვილის გარემო აღსავსე უნდა იყოს ცნობარებით, ლექსიკონებით, ენციკლოპედიებით, მიმოხილვებით, ანთოლოგიებით, მრავალტომიანი თემატური თუ ქრონოლოგიური კრებულებით. ამ ასაკში მოზარდი ახალი და უცნობი სახელებითა და სათაურებით, ცნებებითა და მოვლენებით უნდა იყოს მოცული. გულდასაწყვეტი ისაა, როცა ეს ნებიერი ჩყუმალაობა დილექტანტიზმის გუბურაში მეტად განხგრძლივდება და თანდათანობით ცოდნის ღრმა წყლებში სახიფათო და წარმტაც ცურვად არ გადაიქცევა.

ასაკის მატებასთან და გარე სივრცის გაფართოებასთან ერთად ფართოვდებოდა ქალაქის მისამართების და, მათ შორის, წიგნის მაღაზიების ნუსხა. აღმოჩენები უკვე რუსთაველის პროსპექტის მიღმა მელოდა: ვერაზე, მეტროდან ცოტა მოშორებით, ერთმანეთის გვერდით ორი ბუკინისტური მაღაზია იყო, სადაც შუშის მიღმა ძველი, დამტვერილი, შეღახული წიგნები ელავა. თავდაპირველად თავს ვარიდებდი იქ შესვლას, - შესაძლოა იმიტომაც, რადგან ეს გახუნებულ-ფერდაკარგული წიგნები იმდენად უფროსებად და შორეულებად მეჩვენებოდა, რომ მათთან დამეგობრება შეუძლებლად მიმაჩნდა. მახსოვს მსოფლიო მოკრძალებისა და ხელშეუხებლობის გრძნობა, - მით უმეტეს, რომ გამოფენილი წიგნები მეტწილად ლამაზები და მდიდრული იყო (ქართულ წიგნთაგან ყმანვილისათვის ნამდვილად შთამბეჭდავი იყო ლაფო გრიგოლის გაფორმებული დიდ-დიდი ტომები ან თუნდაც რამდენჯერმე თვალმოკრული "ვეფხისტყაოსანი" ზინის ილუსტრაციებით).

მალე რამდენიმე შენობის იქით კიდევ ერთი მაღაზია გაიხსნა - სუფთა და ახალი "ჩირადანი", რომელშიც, ჰუმანიტარიისადმი ჩემი უკვე დადასტურებული მისწრაფების კვალობაზე, ბევრი სიახლის გადაწყვიტვა და მოპოვება მელოდა. აქვე ჩემთვის პირველად გაფართოვდა თბილისის წიგნის მაღაზიათა ენობრივად ქართულითა და რუსულით შეზღუდული სივრცე და სწორედ აქ მომიწია ლათინური ასოებით დაბეჭდილი პირველი (იმჯერად ინგლისური) წიგნების ყიდვა.

წიგნის მაღაზიები, რა თქმა უნდა, თბილისს გარეთაც იყო და

# ნიგნის პირველი მაღაზიები

მე-3 გვარდიანს

უნდა გამოვტყდე, რომ ჩემი ყმანვილურად შეზღუდულ-გაზვიადებული განსჯით, ზოგიერთი ქალაქი ამ საზომითაც ფასდება (მაგალითად, ასე მგონია, რომ ტალინი იმიტომაც არ მომწონდა, რადგან იქ ნიგნის მაღაზიები ცუდი და ცოტა იყო).

ამჯერად, მასსოვრობაში ჩარჩენილ პირველთა შორის, თვალწინ წარმომიდგება შუშის მოზრდილი ჯიხური კისლოვოდსკი, მდინარის პირას, ხიდთან, სადაც მართლაც ძველი, ძვირფასი, აქამდე იშვიათად ნანახი ნიგნებია გამოფენილი. ჯიხურის წინ დღემი ორჯერ მაინც მინევს ჩავლა და შეჩერება, - ის იმ სახლის გზაზე დგას, სადაც თვენახევრით ბინა გვაქვს დაქირავებული. ერთი ნიგნი კი მაინც განსაკუთრებულად, გამორჩეულად მიზიდავს. დედაჩემს რამდენჯერმე ვთხოვ, გამყიდველმა თაროდან გადმოიღოს და მეც რამდენჯერმე დილხანს, აუჩქარებლად ვშლი მის ფურცლებს, - დედაჩემი კი გვერდით მიდგას და მესმარება, რადგან ნიგნი იმხელაა, ორი ხელითაც ვერ ვერვი. მის თითოეულ გვერდს, ალბეჭდილს მოზრდილი და ლამაზი ასოებით, წნული მთავრულებით, კუთხეებსა და კიდებში ორნამენტული ხლართი გასდევს, ყოველი სამი-ოთხი ფურცლის შემდეგ კი ცალკე გვერდზე მონაცრიფრო-ვერცხლისფერი ილუსტრაციები ბზინავს, ყდა კი მოჩუქურთმებული და შემკულია, - ავტორის პროფილის ამობურცული სილუეტით და ღრმად

ამოტიფრული ფერადი ასოებით. ნიგნი გოეთეს "ფაუსტია", მეცხრამეტე საუკუნის ძველი, ძვირფასი, ძვირფასი ადამიანისთვის სასაჩუქრო გამოცემა. ის, რა თქმა უნდა, იაფი არ ღირს, მაგრამ მამაჩემს მაინც ვუბედავ თხოვნას, ეს საოცნებო ნიგნი მიყიდოს. თავდაპირველად იგი უთუო უარს მეუბნება, მაგრამ, როცა ხედავს, რომ დაჟინებული ვარ და თხოვნას ისევ და ისევ ვუმეორებ, სიტყვას ბანზე მიგდებს და თავის გადაწყვეტილებას რამდენიმე დღით გადამიდებს ხოლმე. მაგრამ დღეები და იმედი ნელ-ნელა იწურება. ხვალ დილაადრიან უკვე გაგრას მივფრინავთ. მამაჩემმა საბოლოოდ მითხრა, რომ ნიგნი ძალიან ძვირი ღვირს, რასაც მისი ჯიბე ახლა ვერ გასწვდება, თუმცა გულს მთლად არ მიტეხს და მაიმედებს, რომ ამ ნიგნს თბილისშიც მოვიძიებთ და მამინ კი აუცილებლად მიყიდის. ახლა სალამოა და ჯიხურის შუშის წინ ვდგავარ, - უკანასკნელად ვუყურებ, შორიდან ვეფერები, ვემშვიდობები ნიგნს, რომელიც მეტი აღარასოდეს მინახავს, მაგრამ ის ისე მყარად, ისე მკვეთრად, ისე ხელშესახებად მახსოვს, რომ დარწმუნებული ვარ, თუკი როდისმე სადმე გადავანყდი, უეჭველად თვალის დახამხამებამი ვიცნობ...

ალბათ, ვისაც იმ წლებში და იმ გარემოში არ უცხოვრია, შესაძლოა, მცდარი შთაბეჭდილება შეექმნას, რომ ჩემი მოგზაურობები ნიგნის მაღაზიებში ტაძრებში რიტუალურ-თეატრალიზებულ შესვლას ჰგავდა, სადაც ბრძენი, გონიერი, გამოცდილი



ქურუმები ხელჩაკიდებული მიმძღვებოდნენ კულტურის საკურთხევისაკენ. უარს არ ვიტიყდი ამ გვიანრომანტიკულ, ფსევდობაიროითულ სცენაში მონაწილეობაზე, მაგრამ სინამდვილე სხვაგვარი იყო, - ნიგნების გამყიდველებს ბევრი არაფერი აკავშირებდათ ნიგნებთან

და უმრავლეს მათგანს წარმოდგენაც არ ჰქონდა, რას ჰყიდა. მიყიდველთა შორისაც თითქმის არასოდეს შევხვედრივარ არავითარ მისტაგოსს. ლეგენდური ილილიური სურათი, სადაც ლიტერატურისა და ცხოვრების შესახებ დინჯად საუბრობენ ნიგნის მიყიდველი და გამყიდველი,

წარმოდგენის სივრცეს არ სცილდებოდა და ჩემი სიყმანვილისას არსად შემინიშნავს. სინამდვილეში ნიგნის მაღაზიებში ეს ხეტილი ტყეში უგზო-უკვლო და ნება-ნება სიარულს ჰგავდა, სადაც ათასში ერთხელ თუ გადავწყდომივარ გზისმცოდნესა და გზისგამკვლევს...

## მხატვრული ლიტერატურა

# ასოციაციების კონტაქსტში

ანდრო ბუაჩიძე

**მაია სარიშვილი. ცხადის გადაფარვა (ლექსები). რედაქტორი შოთა იათაშვილი. თბ. "მერანი", 2002.**



მაია სარიშვილის ლექსები რეალობის მეტად უცნაური აღქმით გამოირჩევა, ვთქვათ, ის წერს: "თვალეები - თონეები, ჩავაკარი ცრემლი ჩვენი არსობისა". ანდა ასეთი სტრიქონები: "დაძველებული პარკეტის სუნი და თვალთან წარინჯისფერი შუ-

შის ნატეხი. მინდა ჩავეჭიდო ფიქრს იმ სივრცეზე, სადაც ირწევიან მსუყე ეტლები და მძინარე ლოკოკინებს წვიმის ხმა ყრუდ ესმით ნიჟარებში... აქ ვეღარ ვსუნთქავ. თითქოს ჟანგბადის ყველა მოლეკულა ქალაქში სათითაოდ შეახვიეს".

ცხადია, რომ საქმე გვაქვს უცნაურ მეტაფორიკასთან, რომელიც ასოციაციურმა აზროვნებამ წარმოშვა. იქნებ, ეს განსაზღვრება მიახლოებითი და პირობითი იყოს, მაგრამ სამყაროს თავისებურ აღქმას და შესაბამის ხელწერას ხომ რაღაც სახელი უნდა დაერქვას. მე მგონი, ამ შემთხვევაში სწორედ ასოციაციურობაა ის ნიშანი, რომელიც თავის ირგვლივ იკრებს ლექსწერის სხვა ნიშნებსაც. ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ასოციაციურობა განაპირობებს სხვა სალექსო კომპონენტების თავისებურ წყობასაც. მაგრამ თავიდანვე უნდა ითქვას ერთი რამ: უცნაური მეტაფორების მეშვეობით ამოთქმული ასოციაციური აზროვნება ყოველთვის მოითხოვს სიცხადეს, გამჭვირვალეობას, სიზუსტეს. სწორედ სიზუსტე უნდა იყოს იმის თავდები, რომ ამა თუ იმ პოეტთან ბუნებრივად იბადება ასოციაციური ხლართი აზროვნებისა. ლექსწერის ეს წესი რთულია, რადგან იმთავითვე გულისხმობს შემოსაზღვრას, საგნობრივ ატრიბუტიკას, გარკვეულ ემპირიკას,

რომელიც კონკრეტულს, აღქმადს, ხელშესახებს გახდის ასოციაციას. თავისთავად ასოციაციური დინება გრძნობებისა და განცდებისა, თითქოს ორგანულად ეთავსება მეტაფორულ აზროვნებას, მაგრამ თუ მეტაფორა არაზუსტია, ე.ი. ღრმა შინაგანი ინტუიციით არ არის ნაკარნახევი, მკითხველის შთაბეჭდილება ფერმკრთალდება. პოეტი სცდება სამიზნეს.

როცა მაია სარიშვილი ამბობს: "დაძველებული პარკეტის სუნი და თვალთან წარინჯისფერი შუშის ნატეხი", ასოციაცია გამჭვირვალეა და ფრაზა ემოციურად ზემოქმედებს მკითხველზე. ასევე მკაფიო ტონალობით და აზრობრივი სინათლითაა ალბეჭდილი სახე: "მძინარე ლოკოკინებს წვიმის ხმა ყრუდ ესმით ნიჟარებში". მაგრამ ამ ფონზე და ამავე კონტექსტში ცოტა გაურკვეველად მეჩვენება მეტაფორა: "მსუყე ეტლები"; იქნებ ეპითეტი "მსუყე" აქ არ არის მთლად ზუსტი? არ ვიცი, შემიძლია მხოლოდ ერთ მომენტზე გავამახვილო ყურადღება: თბრობის ასოციაციური სტილი ყოველთვის ზუსტი ვერ იქნება, მაგრამ რამდენადმე ზუსტი მაინც უნდა იყოს, რათა არ დაირღვეს ლექსის კომპოზიცია, სტრუქტურა, ფარული ფაბულა, რომელიც თითქოს უკუფენილია ტექსტში. მაია სარიშვილის ლექსებიდან მე მო-

ვიყვან ამ თვალსაზრისით სანიშნო ვარიანტს, სადაც სინათლე და სისადავე ბუნებრივად ერწყმის თვითმყოფად ხელწერას: "რა მალა ცხოვრობთ! არ გეშინიათ? ხომ შეიძლება, რომ ღრუბელი შემოვიდეს ღია ფანჯრიდან... ან მზეს თვალეებში ჩაეფერთხოს მტვერი, რომელიც ყოველდღე ჩვართი გაგაქვთ ოთახებიდან... თქვენ ქვემოთ ფრენენ ჩიტები და უფრო დაბლა ფრენენ პეპლები, და მთელ სახლში ფეხისწვერებზე დგანან ნივთები, რომ გაიხედონ ფანჯრიდან და დაინახონ, როგორ ყვავილობს ძირს შადრევანი. ან დაინახონ, როგორ იმსხვრევა ბრჭყყალია მინა პირველ სართულზე... რა მალა ცხოვრობთ! ვერ აღწევენ ჩიტები და ბურთები და შადრევნები თქვენს ფანჯრებამდე და მოწყენილი ფარდები ზოგჯერ გარეთ იპარებიან და ფრიალებენ, როგორც ფრთები ოთახების... რა მალა ცხოვრობთ!..."

ჩემი აზრით, მაია სარიშვილს კარგად აქვს გაცნობიერებული სირთულე არჩეული გზისა, ამიტომაც ყოველთვის ცდილობს თავი დააღწიოს მრავალსიტყვაობას, მოძინების ემოციურად და აზრობრივად კონტექსტის შესაფერი ეპითეტი, ნათლად შემოხაზოს მეტაფორა და, რაც მთავარია, ბოლომდე შეინარჩუნოს ლექსის დასაწყისში განფენილი სინრფელის ხარისხი, ურომლი-

სოდაც წარმოუდგენელია ყოველგვარი შემოქმედება. და თუკი გარკვეულ სალექსო ფრაგმენტებში პოეტის მცდელობა სასურველი შედეგით არ გვირგვინდება, ეს სულაც არ არის საგანგაშო, რადგან აქაც კი ჩანს მაძიებელი სული, მოუსვენარი შთაგონების ნაკვალევი, ალსარების ამომთქმელი ინტონაცია.

მაია სარიშვილის მცირე ფორმის ლექსები განსაკუთრებით კარგად ავლენს პოეტის საკუთარი ხელწერის დაუფლების პროცესში მიღწეულ სასურველ შედეგებს. აქ ისევ ერთადერთი და შეუნაცვლებელი ეპითეტის ძიებაზე, ლირიკული აქცენტების განაწილებაზე, მინიშნებებზე და ლექსის სტრუქტურული სრულყოფილებისაკენ ლტოლვაზეა საუბარი.

"ერთი მაღალი კაცი ხის კენწეროებს კვნიტს კბილებით, ეს გემრიელი გაზაფხული მე მივასწავლე". ანდა, ვთქვათ, ასეთი ლექსი: "ვეფერებოდი ამ ხეთა ნერგებს ოდესღაც. ახლა ცაში ჩაზრდილან ჩემი ხელმონაკიდი კენწეროები..." აქ, ამ მცირე ფორმის განწყობილებისმიერ შტრიხებში უფრო მეტია ნაგულისხმევი, ვიდრე ნათქვამი. აქ იჩენს თავს ფარული სურვილი იმ ნატიფი სიტყვიერი სამოსელის მიგნებისა, რომელიც ზემდინეწით ზუსტად მოერგება სათქმელს.

# კიდევ ერთი რომანი

## ტომას მანის "ქართულ თაროზე"

ლევან ბრეხაძე

ტომას მანი, "დოქტორი ფაუსტუსი" (რომანი). გერმანულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო კარლო ჯორჯანელმა. ნოდარ კაკაბაძის ბოლო სიტყვებით. რედაქტორი ნოდარ კაკაბაძე. მხატვარი სპარტაკ ცინცაძე. "მერანი", თბ., 2002.



ტომას მანს აქვს ერთი უჩვეულო ჟანრის თხზულება, რომლის სახელწოდებაც "დოქტორ ფაუსტუსის" შექმნის ისტორიაა. ერთი რომანის რომანი. მასში მწერალი მოგვითხრობს, როგორ ინერგო და "დოქტორი ფაუსტუსი", მსოფლიო რომანისტიკის შედევრი. და ეს "რომანი რომანზე" არანაკლები ინტერესითა და გატაცებით იკითხება, ვიდრე თვით რომანი.

ამგვარად, ჩვენ ვიცით, როგორ ინერგოდა "დოქტორი ფაუსტუსი".

მაგრამ ნეტა როგორ ითარგმნებოდა იგი ქართულად?

ვინც ამას ნაჩქარევად ჩამოთვლის უქმ შეკითხვად, დიდად შეცდება - ქალბატონმა ნელი ამან-შუკელმა 1985 წელს მეტად საინტერესო თხზულება გამოაქვეყნა იმის შესახებ, თუ როგორ ითარგმნიდა ფრანც კავკას "პროცესს". ქალბატონი დალი ფანჯიკიძეც ხომ, რა ხანია, დიდი წარმატებით მუშაობს ამ ჟანრში - მაგალითად, ნაშრომში "თარგმანი და მკითხველი" (1975 წ.). იგი "ბუდენბროკების" თარგმნის ამბავს მოგვითხრობს. ეს ნაშრომები გარდა იმისა, რომ მომავალ მთარგმნელთა დაოსტატებას უწყობენ ხელს, ამავე დროს აფართოებენ ჩვენს წარმოდგენას შემოქმედებითი პროცესის შესახებ და ამის გამოც ერთობ საყურადღებოა არიან.

ამგვარი ნაშრომი, სამწუხაროდ, ჯერ არ დაუწერია ბატონ კარლო ჯორჯანელს, ლევანმოციხის გერმანიისტიკოსს, მთარგმნელსა და ენათმეცნიერს, რომლის თარგმანები - როგორც დაუვიწყარ გოგი ჯორჯანელთან ერთად, ასევე დამოუკიდებლად ქართულად - ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის კლასიკას განეკუთვნება. მაგრამ ვიცი, რომ ბატონ კარლოს გამოსაცემი დაა აქვს გამზადებული თავისი ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობის პროცესში შედგე-

ნული ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, რომელიც - თუ მზის შუქი იხილა -, დარწმუნებული ვარ, ყველა ლიტერატორის სამაგიდო წიგნი გახდება. (ამ ყაიდის ლექსიკონები ძალზე საჭიროა სწორედ დღეს, როცა სასაუბროცა და სამწერლო ქართულიც ჩვენს თვალწინ ასე დამტყვევდა და გაღარიბდა).

ტომას მანი ამბობდა, ყოველი ახალი რომანის დანერგვით გერმანული ენის შესაძლებლობების გენერალური დათვალიერება არისო. შესაბამისად, მისი რომანების ქართული თარგმანები ქართული ენის შესაძლებლობების გენერალური დათვალიერება უნდა იყოს. ვიდრე გავარკვევდით, ასეთია თუ არა სარეცენზიო თარგმანი, მანამდე ერთ ადგილს მოვიტან იქიდან, იმას, სადაც დახასიათებულია კარგი მთარგმნელი - იქნებ იდეალურიც კი. ეს გახლავთ რიუდვიგ შილდკნაპი, მთავარი გმირის, კომპოზიტორ ადრიან ლევერკიუნის ოპერათა ლიბრეტოების ავტორი. მთხრობელის სიტყვით, შილდკნაპს ინგლისური ტექსტები გერმანულ ენაზე "უალრესად კეთილსინდისიერად გადმოჰქონდა, სტილის ფაქიზი შეგრძნებითა და გემოვნებით. თავგადასული იღვწოდა თარგმანის სიზუსტისათვის, ისეთი ენობრივი საშუალებების გამოძებნისათვის, რომლებიც დედნის ენობრივ საშუალებაზე შესაბამისი იქნებოდნენ".

ეს დახასიათება თამამად შეგვიძლია გავიმეოროთ "დოქტორ ფაუსტუსის" ქართულად მთარგმნელის მიმართაც.

როცა Krippenreiter-ის გადმოსაქართულებლად (სიტყვისა, რომელიც არ არის "დუდენში") "ქელეხუტას" (გვ. 217) მიაგნებ (სიტყვას, რომელიც არ არის ქეგელ-ში და მუქტ პურმარილებს დაჩვეულ ადამიანს ნიშნავს), როცა იშვიათად ხმარებულ rodomontierende-ს სანაცვლოდ თარგმანში ასევე იშვიათ სიტყვას "პეიტრულს" დასავი გავრცელებული "მეტიორულის" ნაცვლად ("გამსჭვალული იყო გარდასული ეპოქის გმირობით და პეიტრული ეტიკეტით" - გვ. 209), როცა Winzig-ს აღწერითი ფორმით კი არ გადმოიტან - "ძალიან მკირეს" ან "ძალიან პატარას" კი არ დანერგის სანაცვლოდ, არამედ უმართებულად მივიწყებულ კოლორიტულ სიტყვას "ჟიჟმატს" შეუფარდებ ("მჭიდროდ ნანერი, ჟიჟმატი ჩამატებებითა და შესწორებებით აჭრელებული [ბარათი]" - გვ. 163), როცა prezioes-ის სათარგმნელად, რაც მანერულს ნიშნავს, ძალზე გამომსახველ "მეტიკვიტას" გააცოცხლებ, რომელსაც ვაჟა-ფშაველაც იყენებდა ("...აკადემოსის ჭალის მეტიკვიტა შეთქმულთა წინაშე..." - გვ. 279), როცა Fluesterdienst-ს "ჭორბიურს" მიუხადავებ (გვ. 437), ხოლო allzu delehrig-ს - "ჭკუისკოლოფას" (გვ. 623), როცა თარგმანში თამამად შემოუშვებ სასაუბრო მეტყველებიდან ნაცნობ ისეთ სიტყვებსა და გამოთქმებს, როგორიცაა "მოახობ-

მარიკა" ("ნატურალური სიდიდის ნახატის მოახობმარიკა" - გვ. 426), "გამობზაკუნებული" ("ხალხიდან გამოსულსა და ძველბიურგერულ ყაიდაზე გამობზაკუნებულ ქალს..." - გვ. 426), "ჩიხმახი" ("სააბაზანო ოთახი არ გაგვანჩნია, არც ვატერკლოზეტი, მათ ნაცვლად სოფლური ჩიხომახობი გვაქვს სახლის გარეთ" - გვ. 328), "აზიზ-მაზიზი" ("აზიზ-მაზიზი, მელანქოლიური და თავიდანვე ცხოვრების მოშიში" - გვ. 370), "ნაყე-ნაყედ" ("ნაყე-ნაყედ იცოდა ლაპარაკი" - გვ. 254; დედანში "...in sanft schleppender Sprache..."), "გაპენენიკებული" ("სულ გაპენენიკებული რალაცები გამოვიყავთ, თუ მაგის გემოვნებას მისდით" - გვ. 262; "გაპენენიკებულ რალაცებს" ორიგინალში Artigkeiten შეესაბამება), ან როცა ამგვარ სიტყვათმარშობას მიმართავ - "ვისაც საძრახისად მიაჩნია თავი მოიკარგვაცოს..." (გვ. 308) - ეს უკვე უმაღლესი მთარგმნელობითი პილოტაჟია.

რომანში რამდენიმეგზის შემოდის აქტიურად არქაიზებული ენობრივი პლასტი. ჯერ იგი პროფესორ კუმპფის მეტყველებაში იჩენს თავს, რომელსაც "დალოცვილ ძველგერმანულ ყაიდაზე" უყვარდა ლაპარაკი. შემდეგ მისი მეტყველების პაროდირებას ახდენს ადრიან ლევერკიუნი მთხრობელისადმი - თავისი სიყრმის მეგობრისადმი - ლაიფციგიდან მიწერილ ბარათში, რომლის ტექსტის მთარგმნელს შესაბამისად "დალოცვილ ძველქართულ ყაიდაზე" გადმოაქვს: "ფრიად პატივცემულო, ღრმად განათლებულო, უსაყვარლესო და უმოწყალესო უფალო მაგისტრო და ბალისტიკუსო! გულითად მადლობას გწირავთ, რომ მზრუნველობას იჩენთ და უსტარო გამომიგზავნეთ...".

ენის არქაიზება "დოქტორ ფაუსტუსში" რამდენიმე მხატვრული ფუნქციას ასრულებს. "ერთი მხრივ, ეს არის ხალხური წიგნის ენა, რათა ამით აღდგენილ იქნეს ძველი მაგიკოსის და ალქიმიკოსის ეპოქის კოლორიტი... მეორე მხრივ, ვთქვათ, შუასაუკუნეების სტილის პაროდირება ადრიანის მიერ მეგობრისადმი მიწერილ ბარათში ნართაულად მიუთითებს ადრიანის არსებობისთვის დამახასიათებელ, მისთვის ორგანულ ელემენტებს... ლევერკიუნი ამ თავისი არქაიზული ენითაც ემიჯნება თანადროულ ადამიანებს, სინამდვილეს და ცხოვრებას. და ბოლოს ოდნავ არქაიზებული ენა ქმნის შუა საუკუნეების ატმოსფეროსა და კოლორიტს, რაც შეესაბამება ნაციონალურ გერმანიის გადარჩევას შუასაუკუნეობრივინკვიზიტორულ ბარბაროსობაში" (ნ. კაკაბაძე).

არქაიზების კიდევ ერთი მიზანდასახულობა მეგობრისადმი მიწერილ ბარათში სწორად ამოიცნო ადრესატმა - ამით ადრიანმა გაიიღო იმ სათაკილო თავგადასავლის ჩემთვის მობა, რომელიც უცხო ქალაქში გადახდენია თავსო (იგულისხმება საროსკიპოს ეპიზოდი). ამგვარად, არქაიზაცია აქ სათქმელის ეფემიზა-

ციასაც ემსახურება. მაგრამ არქაიზების სტილისტიკურ ხერხს ამ ეპიზოდში უფრო შორსგამიზნული ფუნქციაც ეკისრება - იგი წინასწარ გვაშადებს ბოლო და უმნიშვნელოვანესი თავისათვის, როცა აღსასრულის წინ ადრიანამ მის მიერვე დაძახებულ საზოგადოებას აღსარება უნდა გაანდოს და ეშმაკთან ხელშეკრულების დადებით ჩადენილ (ცოდა მოინანიოს. ამ სულისწამედეგი ამბის თხრობასაც სტილის არქაიზებით იიოლებს:

"ასე რომ, უწყოდეთ, - განაგრძობდა მაგიდასთან მჯდომი, - გულკეთილემო და სათნოო, რომელიც თქვენი ზომიერი ცოდვილანობით ღმრთის (ისევე გაასწორა და თქვა "ღმერთის", მაგრამ მერე კვლავ პირველ ფორმას დაუბრუნდა) - ღმრთის მადლითა და წყალობის იმედითა ხართ, უწყოდეთ, რაც დიდი ხანია გულში მაქვს დამარხული და ახლა კი აღარ მინდა დაგიმალეთ, სახელდობრ ის, რომ ოცდაერთი წლისა სატანას შეეფუძლად".

სათქმელის შინაარსზე არანაკლებ სათქმელის გამოხატვის ფორმა აცხვენებთ აქ მსმენელთა ვერ გაურკვევიათ, ხუმრობად მიიღონ ეს ყოველივე თუ სერიოზულად.

ადრიანის მიერ საკუთარი პატივმოყვარეობისა და ქედმაღლობის დაგობა, სიკეთისა და სიყვარულის ქადაგება, მხატვრული ტექსტისთვის შეუფერებელ პროპაგანდისტულ მონოდებად გამორჩევა, რომ არა ეს არქაულ-სტილიზებული ფორმა, რის გამოც ძნელია დაბეჯითებით ითქვას, ირონიულ-პაროდულ ტექსტთან გვაქვს საქმე თუ ეს გულწრფელი სინანულია:

"თუ ვინმე ეშმაკს სტუმრად მოუხმობს, რათა მისი მეოხებით წინ გაიჭრას, სულს ცოდვით იმძიმებს, ეპოქის დანაშაულს თავად კისრულობს და შეჩვენების ღირსია. რამეთუ ნათქვამია: იფიზილეთ და თვალი არ მოხუჭოთ! მაგრამ ეს ზოგს როდენ ეპრიანება. ნაცვლად იმისა, რომ ჭკვიანურად ზრუნავდეს ქვეყნის სასიკეთოდ, რათა ამ დედამიწაზე ადამიანმა უკეთ იცხოვროს, რათა ადამიანთა შორის ისეთი წესრიგი დამყარდეს, რომელიც მათ მშვენიერ ქმნილებებს კვლავ მყარ საფუძველს დააყენებს და პატიოსნად დამკვიდრების საშუალებას მისცემს, ზოგი სწორი გზიდან უხვევს და ჯოჯოხეთურ ზარხობს ეძლევა, სულს იწყემებს და სანაგვეზე ხვდება, ვითარცა მძორი და ლეში".

არაფერი ისე უცხო არ არის თომას მანისთვის, ამ "გამოუსწორებელი" დიალექტიკოსისა და დიდი ხელოვანისთვის, როგორც სიკეთისაკენ სწორხაზოვანი მონოდება და ბოროტების სწორხაზოვანი გმობა. მაგრამ ამ რომანს ხომ იგი მეორე მსოფლიო ომის დროს და მის მომდევნო წლებში წერდა, ემიგრაციაში მყოფი, სამშობლოდან მისთვის ესოდენ საძულველ ნაციზმს გამორიდებულ იმ დროს მას, ამერიკის შეერთებულ შტატებს თავშეფარებულს, ომით დაქანცული და გაჩა-

ნაგებული მსოფლიო დაძაბული უღებდა ყურს და იმედთან სიტყვას ელოდა მისგან... ამ ეპიზოდში იგი თავისი და თავისი პერსონაჟის მთავარი სათქმელის პროპაგანდისტულ პათოსს გამოხატვის მანერით მნიშვნელოვნად ანიცრალეხს.

არ მაგონდება სხვა ნაწარმოები, სადაც არქაულ სტილურ ელემენტს მსგავსი ფუნქცია ჰქონდეს დაკისრებული.

ახლა კი, მოდით, იმ ძირითადი სტილური პლასტის ნიმუშიც ვნახოთ, რომლის ფონზე უნდა წარმოჩნდეს არქაიზებულ პასაჟთა ზემოთ აღნიშნული ნიუანსები. ის ეპიზოდი შევარჩიე, სადაც სტუდენტური ექსკურსივით აღწერილი იგი ყურადღებას იქცევს თომას მანისთვის დამახასიათებელი (დავწერე ეს სიტყვა და გამახსენდა ფრაზა ამავე რომანიდან: "ჩვენ ხომ მუდამ გვახალისებს ის, რაც დამახასიათებელია"), დიახ, ეს ეპიზოდი ყურადღებას იქცევს მოვლენის თომას მანისთვის დამახასიათებელი სკრუპულოზური ანალიზით, მისი "მისწრაფებით კრიტიკული სიზუსტისადმი" (დალი ფანჯიკიძე), რაც ამ შემოქმედის თავისებური და განთქმული ირონიის საფუძველია:

"...ზურგჩანთააკედებულნი... მთელი დღე დაჯახებულობით მომთაბარე ქარგლებით, საჭმელს სოფლის ფუნდუკებში შევექცეოდით, ხშირად კი პირდაპირ მიწაზე ვვლიდით სუფრას, სადმე ჭალის პირას, ღამე კი არაერთელ გაკეთსენი ვისიმე საბჭელში... ქალაქელთა და გონებრივ მუშაუთა ასეთ ნამიერ ზიარებას პრიმიტიულ სოფლურ ცხოვრებასთან, დედამიწასთან, როდესაც იცი, რომ, რაც უნდა იყოს, სულ მალე ისევე დაუბრუნდები შენთვის ჩვეულ "ბუნებრივ" ნებურ ბიურგერულ ყოფას, ასეთ ნებაყოფლობით უკან დახევასა და სისადავეს მუდამ მეტ-ნაკლებად აზის ხელოვნურობის, ბატონკაცურობის, დილექტანტიზმისა და კომიზმის დალი, რასაც ჩვენ დიახაც ვგრძნობდით და რაზედაც მიუთითებდა ალბათ ის გულკეთილი, მაგრამ დამცინავი ღიმილი, რომლითაც შეგვათვალა ირება ხოლმე ზოგიერთი გლეხი, როდესაც ქვეშაგებად ჩალას ვთხოვდით".

ვნახოთ აგრეთვე რამდენიმე ჩინებულ ფრაზა, ჩინებულადვე თარგმნილი, რომელნიც კონტექსტს მოწყვეტილი ნარმატივით აგრძელებენ ღირსეულ არსებობას, ვითარცა აფორიზმები ან პარადოქსული თქმანი:

"ჩემი აზრით, თეოლოგია საერთოდ არასოდეს არ შეიძლება ახალი დროის იყოს, რაც მას დიდ უპირატესობად უნდა ჩაუთვალოს";

"პიკანტირაც კი ნაკლებად პოპულარული ხდება, როდესაც ერთობ დახვეწილია";

"განდგომილება რელიგიური აქტია, ყოველივე ღმერთში არსებობს და ღმერთშივე ხდება, განსაკუთრებით კი მისგან განდგომა";

ბაბრძილა D6 გავრდუა

# კიდევ ერთი რომანი თომას მანის "ქართულ თაროზე"

მან-5 გვირგვინი

"თავისუფლებას მუდამ აქვს საკუთარი თავის წინააღმდეგობად გადაქცევის დიალექტიკური მიდრეკილება";

"ჭეშმარიტი ვნება მარტო ორაზროვან ამბებში არსებობს და ისიც, როგორც ირონია";

"საზღვრების გავლება უკვე მათ გადალახვას ნიშნავს".

ნებისმიერი თარგმანის დახვეწა დაუსრულებლად შეიძლება და სარეცენზიო თარგმანში მეც ჩავასწორებდი ზოგ რამეს.

505-ე გვერდზე, იქ სადაც ადრიანთან გამომცემლის ვიზიტზეა საუბარი, ვკითხულობთ: "...ლევერკოუნს სთხოვა: - იქნებ გამანდოთ, ამჟამად რაზე მუშაობთო, - ადრიანმაც ორატორია დაუსახელა. - პირველად? ეჭვი მეპარება! - დასძინა სტუმარმა და აღარ მოემკვა, ვიდრე..."

"პირველად? ეჭვი მეპარება!" - ეს სტუმრის სიტყვები არ არის, ისინი მთხრობელს ეკუთვნის და გულისხმობს: ეჭვი მეპარება, რომ ამ ორატორიის შესახებ სტუმარს პირველად ახლა, ავტორისაგან შეეცყო. წინა ფრაზაც - "ადრიანმაც ორატორია დაუსახელა" - შესაბამისად ასე უნდა გადაკეთდეს: "და ორატორიის ამბავი მოისმინა" (იგულისხმება, რომ ადრიანისგან მოისმინა).

ერთგან რიუდიგერ შილდენაპზე ნათქვამია: "წამდაუნწმ იცოდა ხოლმე თქმა: - კაი იქნებოდარო. ეს გამოთქმა ფორმულასავით ჰქონდა..." (გვ. 216).


ეს "ფორმულასავით" გამოთქმა დედანში, ცხადია, ყოველთვის უცვლელად მეორდება (man sollte), თარგმანში კი, 243-ე გვერდზე, მისი ახალი ვარიანტია: "ურიგო არ იქნებოდა". საჭიროა ამათი უნიფიცირება, მით უფრო, რომ იქვე ვკითხულობთ: "- სულ შილდენაპივით დავიწყე ლაპარაკი, ურიგო არ იქნებოდა-მეთქი! ვინ იცის, რამდენი რამე არ იქნებოდა ურიგო!" (ეს ადრიან ლევერკოუნის სიტყვებია).

ასევე აუცილებელია შილდენაპის მიერვე ამოჩემებული მეორე ფრაზის - Besichtigen Sie jenes - უნიფიცირებაც, რომელიც თარგმანის 215-ე, 257-ე და 276-ე გვერდებზე სხვადასხვა ვარიანტით გვხვდება.

ერთგან ვკითხულობთ: "განსაკუთრებით სოლომონ "ბრძენზე" იყო ამხედრებული და ისე განიწმამებოდა ესხმოდა თავს, რომ..." (გვ. 364). ადვილად შესამჩნევი უხერხულობა რომ თავიდან ავიცილოთ, უმჯობესია ასე დაინეროს: "...სოლომონ "ბრძენის" წინააღმდეგ იყო ამხედრებული..."

ორ ადგილას უმართებულად არის ნახმარი ზმნა "გახლავთ": "...უპასუხა: ასეთ ქალბატონს არ ვიცნობო, მაგრამ თავის მხრივ აღარ შეჰკითხვია, ვინ გახლავთო" (გვ. 505) და - "აი ის ბატონი, მაგიდას რომ უზის, ვინ გახლავთო" (გვ. 640). ორივე შემთხვევაში "ვინ გახლავთო"-ს ნაცვლად უნდა იყოს "ვინ არისო".

მსგავსი წვრილმანი ლაფსუსები და კორექტურული შეცდომები კიდევ შევნიშნე ამ დიდებულ ნაღვანში, მაგრამ მათზე საუბრით თავს აღარ შეგანწყენთ და იმასლა შეგახსენებთ, რომ "დოქტორი ფაუსტუსი" რიგით მეხუთეა თომას მანის ქართულად გამოცემულ რომანთაგან. მას წინ უსწრებდა დალი ფანჯიკიძის თარგმნილი "ბუდენბროკები", "ჯადოსნური მთა", "ფელიქს კრული" და შალვა პაპუაშვილის მიერ გადმოქართულიებული "ლოტე ვაიმარში"; მეექვსე - "იოსები და მისი ძმები" - ახლა იბეჭდება ჟურნალ "საგურამოში" (ნანა გოგოლაშვილისა და ირაკლი სურგულაძის თარგმანი). რამდენჯერმე გამოვიდა ქართულად თომას მანის მოთხრობების და ახლანახან ესეების კრებულიც (თარგმნა რუსუდან ლვინფაძემ). ასე რომ, დიდი გერმანელი მწერლის გამოცემათა "ქართული თარო" უკვე საკმაოდ შთაბეჭდავად გამოიყურება.



თომას მანი

## "ახალი დროების" მეორე ჩქამის ჰიპერტამაშები და სურნალებანი



შოთა იათაშვილი

"ახალი დროების", 2. მთავარი რედაქტორი გია ჭუმბურიძე, გარეკანის გაფორმება შალვა ლეჟავასი. თბ. "აზრი", 2002.

ახალი დროების ყველაზე თვალსაჩინო მახასიათებელი

ხომ ძველ დროებასთან შედარებით მისი თავბრუდახვევამდე აჩქარებული რიტმია (ჩარლის "ახალი დროება" გავიხსენოთ თუნდაც), ჰოდა, 1994 წელს აღმანახი "ახალი დროება" რომ გამოვიდა ნუმერაციის ელექტრონული ვერსიით: 00:01, რაც სასტარტო პირველ წამს აღნიშნავდა, ოპტიმისტნი, მორწმუნენი და ნეტარნი ელოდნენ ალბათ, რომ მართლა სეკუნდებით წაენწყობოდა აღმანახის ახალ-ახალი ნუმერები და ეგ კი არა, "რომელი საათიაო" - იკითხავდნენ სულ მალე აღმანახის ფურცლებიდან დავით და ზურაბ, გია და ზაზა, მაგრამ, "ვაჰ, დრონი, დრონი", პერვერსიულ ნიშანთვისებათა მქონე ჩვენბური "ახალი დროების" გაუგონარი სიზანტე იმაში გამოიხატა, რომ მისი ელექტრონული მეორე წამი (00:02) მხოლოდ რვა წლის შემდეგ დადგა - კალენდარული თვალსაზრისით უკვე ნამდვი-

ლად ახალ ეპოქაში, ახალ მილენიუმში - ახალი დროების 02-ში... "შეჩერდი წამო, მშვენიერი ხარ!" - ეს მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთი უპოპულარულესი ფრაზა ამ აღმანახშიცაა მოხვედრილი (გვ. 13. თფუ, თფუ, ჯვარი აქაურობასა!) და ვფიქრობ, მისტიური ღრმა კანონზომიერება ძვეს ამაში, ვინაიდან 00:02-ის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პერსონაჟის, ეკაპბსონას პირით ნათქვამი ეს სიტყვები გულზე უნდა ამოვიჭრათ ჩვენც და შევუდგეთ "ახალი დროების" მეორე შეჩერებული წამის გაანალიზებას. ამ საქმეს კი ყველაზე უკეთ მისტერ ზაზა თვარაძესთან ერთად მოვახერხებთ, ვინაიდან მას ამ ფრაზის საკუთარი ბრწყინვალე ვარიანტი გააჩნია და პორიზონტის ხაზზე გამოჩენილ ნაცნობ-მეგობრებს ასე შესძახებს ხოლმე: "შეჩერდი, წამო, ხინკალი ვჭამოთ!" 00:02-ის ერთ-ერთმა ავტორმა,

ბატონმა კურიეროვმა ეს პერიფრაზი მშვენივრად უწყის და წვერის ქიციინითა და განუმეორებელი იუმორით გაზავეებული კულტუროლოგიური სხაპასუპით მუდამ მზადაა დროის ამგვარ შეჩერებაზე; რა თქმა უნდა, არც სულით რაბლეზიანელი და მოდერნიზმის ერთგულებით ვერდაქანცული მაგისტრი იქნება წინააღმდეგი ჩაღლიოს მკითხველთან ერთად ღვინო მუქი ან თუნდაც ღია (ფონდ სოროსივით) და ისე იმასლაათოს "ახალი დროების" ავ-კარგზე; ერთი სკოტლანდიური ვისკი და საფეხბურთო გუნდი და ალა-მორჩილ-ხანიც ჩვენთან გაჩნდება, მერე davzur-საც აღარ მოუთმენს გული, მოსწყდება Rotmail-ს და შემოგვიერთდება. მოკლედ, შევიკრიბებით და მისტერ ზაზა თვარაძე თავის ცნობილ ფუნაგორიებსაც იტყვის აუცილებლად.

"თუ გინდა გქონდეს ბოდრი იერი, უნდა იკითხო ბოდრიიარი". ან ამას: "თუ არ იცი დერიდა, ვერ ამოხვალ მძღნერიდან". ეს ფუნაგორები პირდაპირ მიმართებაშია "ახალ დროებასთან", ვინაიდან ქართული თარგმანების პრობლემაზე დარდობს ეს აღმანახი, თანამედროვე ლიტერატურისადმი არასტერეოტიპულ მიდგომებს ავითარებს, აქვეყნებს კიდევ ბოლო-ბოლო ნათარგმნ ტექსტებს... და პრინციპში, იმას ამბობს, რომ ჩვენს ქვეყანას "ბოდრი იერი" ვერ ექნება და "მძღნერიდან" ვერ ამოვა, თუ კულტუროლოგიური ენა და თარგმნის ხელობა ვერ ისწავლა კარგად. ხელოვნება კი არა, ხელობა, მაგრამ ისეთი, "დასაოსტატებლად 10 წელი მაინც რომაა საჭირო" (გია ჭუმბურიძე, 00:02-ის მთ. რედაქტორი). სხვათა შორის, ალბათ ამ კონცეპცი-

მაგალითად, ამას:

ამ განაპირობა, რომ 00:01-სგან განსხვავებით, 00:02-ში ნათარგმნი ტექსტები ანონიმურად, მთარგმნელთა მითითების გარეშეა დაბეჭდილი. რაღა ხელობაა, ხელოსანი რაღა აღსანიშნავიაო - ეტყობა დაასკვნა გ.ჭ. & Co-მ. ვითომ სწორი პოზიციაა? იმას თუ ვჩივით, კარგი ხელოსნები სანთლით საქებარნი არიანო, იმ ერთ-ორ კარგს რაღა ვუმაღლათ საზოგადოებას?

ჩალღიეთ, ჩალღიეთ მთარგმნელობით პროცესზე მჭმუნვარენო, მოამზადეთ კონტრარგუმენტები, მე კი მანამდე, იცით, რასა ვიქმ? თქვენი "ახალი დროების" პირველი სეკუნდს მორცხე შევადრი. თანაც არ მივკიბ-მოვკიბავ და პირდაპირ ვიტყვი: პირველი ჩემთვის გაცვლიებით საინტერესო გამოდგა. იგი უფრო მრავალფეროვანია, დინამიურია და, რაც მთავარია, უფრო მეტად პრობლემატურია! პირველში დაბეჭდილი დავით ზურაბიშვილის წერილი "ჯეიმს ბონდის რეაბილიტაცია ანუ პოლიტიკური შენიშვნები თვითრეკლამის ელემენტებით" ჩემი აზრით ბოლო პერიოდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წერილია ქართულ ლიტერატურულ სინამდვილეში, ვინაიდან იგი ცდილობს სრულად სხვა კუთხით დაანახოს ნინას-ნარ ქედმაღლურად განწყობილ ქართველ მკითხველს და რაც მთავარია, მთარგმნელთა კორპუსს, მასკულტურა და ის დადებითი შედეგები, რაც მასკულტურის ხარისხიან ერთგვარს შეიძლება მოჰყვეს. ერთი საეტკობო, პროგრამული ხასიათის წერილი 00:02-ში არ მოიძიება. გარდა ამისა, პირველ აღმანახში იყო მრგვალი მაგიდა თემაზე "მარგინალური საზოგადოება და ლიტერატურული პროცესი", სადაც მწერლობისადმი დამოკიდებულების გადაფასების მტკიცებულ პროცესზე ცოცხლად და საქმიანად ბჭობდნენ ქვეყნი ლიტერატორები. ამ მრგვალი მაგიდის შემდეგ რვა წელი გავიდა, მაჩანჩალობის მიუხედავად, მაინც ბევრი რამ შეიცვალა ლიტ.სა-ქართველოში და ვფიქრობ, პრობლემატურობის გრადაციის შესანარჩუნებლად და ვინ იცის, ასამაღლებლადაც კი, რედაქციას არ უნდა დაზარებოდა ქვეყანი ლიტერატორების კიდევ ერთხელ შეკრება და ამჭევრმეტყველება ამ მომენტისათვის ყველაზე აქტუალურ თემებზე.

"ახალი დროების" 300-ზე ოდნავ მეტი გვერდიდან 200 გასული საუკუნის 80-იანი წლების შედეგისა და დღემდე ბესტსელერის - პატრიკ ზიუსკინდის "ნელსურნელებითა" გაჟღერითლი. ამ რომანს თავის დროზე "Иностранка"-თი გაცეცანი, ისევე როგორც ალბათ ბევრი სხვა, ამიტომაც ამჟამად თავიდან ბოლომდე აღარ გადამიბულებულებია, მხოლოდ ალაგ-ალაგ მიმოვიკითხე, გავიხსენე XVIII საუკუნის გენიალური ურჩხულის, ჟან-ბატისტ ვრენუის ისტორია და ისიც ვიგრძენი, რომ თარგმანს აშკარად კარგი სუნი უდოდა. ასე რომ, ერთი შეხედვით, რაა საპრეტენზიო? ბრწყინვალე ნაწარმოები, კარგი თარგმანი... ეჰ! როგორც წერილის დასაწყისში წარმოვიდგინეთ, ამ აღმანახის ახალ-ახალი ნუმრები მინეობილად რომ გამოდიოდეს, ვთქვათ, იმავე "Иностранка"-სავით, მაგაზე უკეთესი რა იქნებოდა, მაგრამ როცა პირველ და მეორე

ნამს შორის 8 წელია?.. გამართლებულია ვითომ მაშინ, აღმანახის ორი მესამედი ერთ ნაწარმოებს დაეთმოს?.. ამ შემთხვევაში ძალიან ხომ არ "ჭამს" იგი "ახალი დროების"?.. თანაც, "ნელსურნელებ" ადრე გაგრძელებით "ახალ 7 დღეში" იბეჭდებოდა (ვერ დავიჩემებ, რომ ზუსტად ეს თარგმანია, რადგან მთარგმნელი არ წერია, თუმცა მეფეყვაბა დღეს საქართველოში ამ რომანის ორი თარგმანი არსებობდეს). ასე რომ, პირველი, საგაზეთო პუბლიკაცია უკვე არსებობდა, გამომცემლობა "დიოგენეს" საავტორო უფლება ამ ნაწარმოებზე აღებული აქვს და საფიქრალია, რომ არცთუ ტყუილბრალოდ, - ანუ რომანის წიგნად გამოცემა, ფაქტობრივად უკვე გარდუვალია, - ჰოდა, ამ მიზეზთა გამო, ვფიქრობ, აღარ ღირდა თარგმანის კიდევ ერთი საშუალოდო პუბლიკაცია, - აჯობებდა მის ხარჯზე მასალათა სხვა სპექტრით გამდიდრება აღმანახისა.

შევხედოთ ახლა, "ნელსურნელების" გარდა რაა დაბეჭდილი 00:02-ში.

ყველაზე პრობლემატური კვლავაც დავით ზურაბიშვილის მასალა აღმოჩნდა - ავტორისეული წინათქმითა და ბოლოთქმით შეკრული ეპისტოლარული კოლაჟი, შედგენილი 4 რეალური პერსონაჟის ინტერნეტ-მიმონერდინად. ამ ოთხიდან ერთი 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის მსხვერპლია, ცნობილი ამერიკელი გამომცემელი და ლიტერატურის კრიტიკოსი ედვარდ გოლდმან უმცროსი, "ახალი დროების" პირველი ჩქამის სტუმარი რომ იყო და მერე იმიერის საშუალებით რომ ემუსაიფებოდა ხოლმე თავის ქართველ მეგობრებს საგამომცემლო და საერთოდ, ლიტერატურულ საკითხებზე. დავით ზურაბიშვილმა ედვარდ გოლდმან უმცროსის ტრაგიკულ აღსასრულს ერთგვარი სიმბოლური დატვირთვა მიანიჭა და "ახალი დროების" მეორე ჩქამი გადანყვიტა ამ მიმოწერის საშუალებით შეეჯერებინა მიმოწერის მოქმედი გმირები. გარდა გოლდმანისა და ზურაბიშვილისა, არიან ამერიკაში მცხოვრები "პოეტი-ავანგარდისტი, ლიტერატურის კრიტიკოსი, ესეისტი და ბიზნესმენი" ზაზა კაკაბაძე და ავსტრიაში მცხოვრები "მწერალი, მთარგმნელი და ესეისტი" ზვიად შამანაური (ეს განსაზღვრებები მასალების სქოლიოდანაა ამოღებული).

მიმოწერა შეუხელებელი ინტერესით იკითხება. ამას ნამოჭრილი საკითხების პრობლემატურობის გარდა ისიც განაპირობებს, რომ მოკამათენი პრინციპულად განსხვავებულ პოზიციებზე დგანან და ამ პოზიციებიდან გამომდინარე, ერთმანეთს კიდევ "ამოკობენ" შესატყვისი ტერმინებით. მაგალითად, გოლდმანის აზრით ზაზა კაკაბაძე (იგივე კაკაბონა) მემარცხენე ინტელექტუალია, ზვიად შამანაური (იგივე ზვიადაური) კი მემარჯვენე ტრადიციონალისტი. სამაგიეროდ ზვიადაური გოლდმანს კოსმოპოლიტ ფიდომასონს უწოდებს, თუმცა ისეთს, რაღაც რაღაცებში 100 პროცენტით მართალი რომაა. დავით (იგივე დევიდ) ზურაბიშვილი პოზიციით ყველაზე ახლოს კოსმოპოლიტ ფიდომასონთან დგას და, ალბათ, ამიტომაც არაა სხვა მოქმედ

პირთა მიერ სახელდებული, თუმცა მე უმაგისობას მაინც ვერ მოვიტომენ და "ჯეიმს ბონდის რეაბილიტაციისა" და ამ კოლაჟის შემდგომ "მასკულტურის ადვოკატს" ვუნოდებ თქვენის ნებართვით მას.

ერთი სიტყვით, კაი გიჟმაჟი კვარტეტია (სამწუხაროდ, დღეს უკვე ტრიოდ ქცეული) და გირჩევთ, მათ "საბაჩკიან" დისკურსს delete არავითარ შემთხვევაში არ უთხრათ.

ზაზა შათირიშვილი, რომელსაც საკუთარი გვარიც კი აქვს ნათარგმანები და შინაურულ-სახუმარო სიტუაციებში კურიეროვად ინოდების (შათირი [არაბ.] (ძვ.) - იგივეა, რაც შიკრიკი; კურიერი - [ფრ. courrier] - დაწესებულების შიკრიკი), აღმანახში კულტუროლოგიურ ნერილს "თარგმანების ხელოვნებას" გვათავაზობს, ოლონდაც ამ წერილში იგი მხატვრული ტექსტის თარგმანებაზე კი - არ საუბრობს, არამედ მხატვრულ ტექსტად თარგმანებაზე ისეთი ტექსტისა, რომელსაც ქალაქი, ამ შემთხვევაში კი თბილისი (ტფილისი) ეწოდება. თბილისის მთარგმნელთა შორის განიხილებიან და მოიხსენიებიან ზურაბ ქარუმიძე, აკა მორჩილაძე, ვასილ ბარნოვი, ივეტ გრიშაშვილი, სერგო ფარაჯანოვი...

თუმცა, ავტორი მხოლოდ თბილისით არ იფარგლება და კავკასიურ (თუ ამიერკავკასიურ?) დისკურსზე გადადის. საქართველოს და სომხეთის განიხილავს (ახერბაიჯანზე კონტაქტს კი არ ძრავს. რატომ?) და ასევე წინ, რომ კავკასიურ დისკურსს ორი ძირითადი მეტაფორა გააჩნია - საზღვრის და სამოთხის.

წერილი მოცულობით პატარაა და თან, ამავე დროს, საკმაოდ ბევრი მნიშვნელოვანი თემა მასში მონიშნული. ამიტომაცაა, რომ იგი ესკიზის, მონახაზის შთაბეჭდილებას ტოვებს. თითქოს ავტორმა თავისთვის დააფიქსირა ის თემატიკა და ის ძირითადი კონცეპციები, რომლებზეც სამომავლოდ უფრო დეტალურად და თანმიმდევრულად აპირებს მუშაობას. ალბათ ამიტომაცაა, რომ აუცილებელი ყველა სივრცე ჯერ არაა შესწავლილი (იგივე აზერბაიჯანი) და არაა "ნათარგმანები", ყველა მოსახრება არაა არგუმენტირებული. ერთი სიტყვით, ბატონი კურიერიისაგან ამ მიმართულებით წესით სერიოზულ ნაშრომს უნდა ველოდოთ, ბოლომდე წესიერი და სერიოზული ადამიანი რომ იყოს იგი.

ახლა ორიგინალურ მხატვრულ ტექსტებზეც გადავიდეთ. 00:02-ში ასეთი ორია. ორივე ფრაგმენტი. ერთია აკა მორჩილაძის "ჯერეთ გამოუქვეყნებელი რომანიდან" "ძირს სიმინდის რესპუბლიკა" და მეორე ზურაბ ქარუმიძის "დიდი სონატადან" "თხა და გიგო" (სხვათა შორის, აღმანახის უკანა ყდაზე ავტორთა ფოტოებია და ისინი იქ ერთ ფოტოზე, ტანდემში არიან გამოსახულნი).

"ძირს სიმინდის რესპუბლიკა" ჯერ იყო და "ქომაგში" იბეჭდებოდა, მერე "24 საათში" გაგრძელდა მისი პუბლიკაცია, ახლა კიდევ "ახალი დროებშიც" რომ ვნახე ფრაგმენტები, სიმინდის მარცვლებით დამეფანტა თავში ყველაფერი. ასე რომ, ნება მიბოძეთ, ერთ წიგნად (სიმინდის ერთ ტაროდ) გაერთიანებამდე

ანალიზს მოვერიდო, თუმცა ზოგად შთაბეჭდილებას მაინც გაგიმხელთ, შეკონინებული ჩემი დაკუნული შთაბეჭდილებებისაგან: მეჩვენება, რომ მას ის შთაბეჭდილობა აკლია, რაც ამ ავტორის ტექსტების დიდ ნაწილს აქვს (ღმერთმა ქნას, ვცდებოდე!).

ზურაბ ქარუმიძის მკითხველს რომ გაგოობაში გადავარდნის დიდ მაწნი აქვს, ამას თავად ზურაბ ქარუმიძეც კარგად აცნობიერებს, ამიტომაცაა ალბათ მისთვის "თხა და გიგო"-ს თემა ასე აქტუალური. მეტიც, ავტორი მაქსიმალურად ცდილობს, გიგოდ აქციოს მკითხველი, ამის შესაძლებლობა კი თითქმის 100-პროცენტითაა, თუკი მას საკუთარი სიბრყვეისა გამო აქამდე შევიცარული "გლასპერლენის" გემო არ გაუსინჯავს, ანუ, უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ჰერმან ჰესეს "თამაში რისომ მარგალიტებით" ("Игра в бирсер") არ ნაუკითხავს.

გამოქვეყნებული ტექსტის ძირითადი კორპუსი "ჰიპერშილის" აღწერას ეთმობა. კასტილური უნივერსალური თამაში ქარუმიძესთან რთველის სახეს იღებს, ოლონდ მისი გლობალ-სოფლელები ორლან-კომპიუტერი-სანსახელში ნამდვილი კი არა, ვირტუალური ყურძნის "რიომ მარგალიტებს" წურავენ. ციფრულ-დიგიტალური მარცვლები რომ იწურება, ორლანი გუგუნებს და ტექსტებს გამოსცემს, ჩემი აზრით, არც მაინცდამაინც გამოიწვებიან მხატვრული თვალსაზრისით, ოლონდ ამას ავტორი შეგნებულად აკეთებს თუ ძალაუნებურად გამოუდის, უკვე ვეღარ ვხვდები. იმიტომ, რომ ეს უკვე პაროდია კი არა, პირდაპირი გამეორებაა იმ კიჩური ესთეტიკის, იმ ვითომ თანამედროვე პოეზიისა, უახლესი ტერმინოლოგიით რომაა გამოტენილი და მხოლოდ ამის ხარჯზე ცდილობს კონტექსტუალობის მოპოვებას. რომ მიხვდეთ, რაზეა ლაპარაკი, რამდენიმე სტრიქონი აქაც მოვიყვანოთ: "**და on-line ერთობა ჩვენი ამ კვარკთაგან წარმოშობს / ულტრა მაღალი სიხშირის ელექტრო-საკრამენტულ ტალღებს / Info-Pleroma-დან რომ მოემართებოდნენ, რომლის თაობაზეც სალოფიკურ-მატხოვნებელი message / დავიკოვებს: სეთმა (მესამე ძემან ადამისამან), სოტერ-იესომ და / ქადაგამა მანიმ (მანიპულატორმა)!**"

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თავისთავად, თუნდაც ტრანსკრიფციის ისეთი ფორმების გამოყენება, როგორცაა: მიემართებოდნენ, საკრამენტული, Souperვა და ა.შ. დიდი ვერაფერი მიგნებაა, ისევე როგორც "ენათა აღრევის ბაბილონის გოდოლი-სეული ტრადიციისადმი პატივისცემის ნიშნად" სხვადასხვა ეტიმოლოგიისა და გენეზისის მქონე სახელ-გვარების ბაგმუერი ჰიბრიდიზაციით თავის გართობა. თუ ჰესეს ზემოხსენებული რომანი ნაკითხული გაქვთ, აქ ბევრ პერსონაჟს იპოვით იმ რომანის პერსონაჟებზე დამყნილ: ნაომი ტეგულარიუსს, დიროლ ციხენგალს, ტაისონ კნეხტს, ბრიუს ფონ დე ტრევეს, თუ არადა პუპსი ნაბოკოვით, ჰომეროს სიმფსონ ეკოთი, კონფუციუს სპილბერგით, ბორხეს მერდოკით, პლეიბოი ჰოიზინგათი შეიქცევთ თავს და შეიძლება, საკუ-

თარი თავიც სცადოთ ამ ოლო ვარჯიშობაში: ერთმა თქვას გარინჩა პავიჩი, მეორემ მარკიზ დე გალაკტიონი, მესამემ გოგოლ დიდი მოგოლი, მეოთხემ კასპაროვ თავგრი, მეხუთემ ჯეოსელ დანტე და ა.შ. და ასეთი ბრწყინვალე შედეგების მიღწევის გამო ყველამ ლიტერატორად წარმოიდგინოს თავი.

მოკლედ, არ ვიცი, მაგისტრ ქარუმიძეს გულში რა ედო (იქნებ ჰიპერშილში ჩვენი რამენიარად ჩართვა და აი, ახლა, გარინჩა პავიჩი რომ გვათქმევიან, უზომოდ კმაყოფილია და ხელებს იფშენტს), მაგრამ მისი დიდი ნიჭისა და ცოდნის ასეთ რაღაცებზე დახურდავება, ვფიქრობ, რომ მაინც არ ღირს. ჰესეს თამაში კია ორიგინალურად გათამაშებული ქართულ ყაიდაზე, მაგრამ მთლიანობაში "თხა და გიგო" მაინც ვერ მივა მის "ღვინომუქ ზღვამდე". ცხადია, ეს დასკვნა მართებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ტექსტი წერაკითხვის მცოდნე მკითხველივით სწორად მიჭირავს ხელში და არა გიგოსავით.

"ჰესეც ჰესეე!" როგორც იტყოდა თავად ზურაბი და ბარულამ დავასრულეთ რეფლექსია მის ამ დიდ სონატაზე, რომელსაც მე, ჩემი ნება რომ იყოს, დიდ სონატს კი არა, დიდ ჰესეს (ჰესეისტიკას) ვუნოდებდი.

კიდევ რა დაგვრჩა სახსენებელი? სამი თარგმანი. აქედან ერთი თარგმანის პრობლემებს ეხება (უმბერტო ეკო), მეორე რელიგიის საკითხებს (ფრანსის ბეკონი), მესამე კი ართურ კონან დოილის მოთხრობაა, სახელად "კარამაზოვების საქმე". ცხვირი არ აიბზუოთ, აღარ გვიწდა ისევე შერლოკ ჰოლმსი და უოტსონი (თუ გსურთ, ეჭვი გამოთქვით, რომ ეს მოთხრობა მათი ფანის, აკა მორჩილაძის გაშანსულია). თავიდან მეც თქვენსავით ცხვირი ავნიე, აკა მორჩილაძის მიმართაც იგივე ეჭვები გამიჩნდა (სინამდვილეში ახლაც არ ვიცი, რაიმე ხელი ურევია თუ არა ამ საქმეში მას), მაგრამ იმის ინტერესით, თუ რა შუაში იყო აქ დიდი რუსის დიდი რომანი, თვალის მაინც გამეპარა მოთხრობისაკენ... და მოულოდნელად ისეთი რამ დამხვდა, რასაც ვერანაირად ვერ წარმოვიდგენდი, მიუხედავად ართურ კონან დოილისადმი ჩემი ღრმა პატივისცემისა.

მეტს აღარაფერს გეტყვით, გარდა იმისა, რომ ეს მოთხრობა ყველა დოსტოევსკისტმა და დოსტოევსკოლოგმა უნდა ნაიკითხოს.

მთლიანობაში კი, როგორც ხედავთ, ისე გამოდის, რომ აღმანახ "ახალი დროების" მეორე წამი ხელიდან არ უნდა გაუშვათ. ხამუშ-ხამუშ კი ვაკრიტიკე იგი, სასტარტო აღმანახთან პარალელური ანალიზისას ნაკლებად პრობლემატურობაც დავწამე, მაგრამ საბოლოო ჯამში, როგორც ქართველი იტყვიან ხოლმე, "დონე არის!"... არ არის მხოლოდ ახალი დროებისათვის შესაფერი რეგულარულობა, ის პულსაცია (ფულსაცია), აუცილებელ დინამიკას რომ გააჩენს ამ აღმანახშიც და მთლიანად, ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაშიც...

# სასმელი მათთვის, ვინც უნოდ დარჩა

წიგნზე რეცენზიის წერა უკვე დაწყებული მქონდა, როცა "გარდიანის" საიტზე შესული სრულიად მოულოდნელად შემდეგი შინაარსის news-ს წავაწყდი: გაზეთის პარიზელი კორესპონდენტი იუწყებოდა, რომ პასკალ კინიარმა ფრანგულენოვანი სამყაროს ყველაზე პრესტიჟული, "გონკურების" ლიტერატურული პრემია მიიღო და სიმბოლური ათი ევროც "ჩაიჯიბა". კინიარი თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ხელწერის მქონე პროზაიკოსია, დახვეწილი სტილისტი და უცნაური მთხრობელი, მწერალი, რომელიც ყოველგვარი იდეოლოგიური "სამკაულეებისგან" იცავს თავის კალამს და რომელიც უკანასკნელ ხანს ქართველმა მკითხველმაც შეიყვარა წიგნით "ყოველი დილა ქვეყანაზე".

## მალხაზ ხარბაძია

**პასკალ კინიარი. ყოველი დილა ქვეყანაზე. ფრანგულიდან თარგმნა დავით წერეთიანმა, რედაქტორი მზია ბაქრაძე. თბ. "სანი", 2002.**



წიგნის ნაკითხვამდე ალენ კორნოს ფილმი მქონდა ნანახი, ყერარ დეპარდიეი და ჟან-პიერ მარიელი მთავარ როლებში. პირველი, რამაც მომხუსხა, მუსიკა იყო, ჩემთვის აქამდე უცნობი სენტ-კოლომბისა და მარინ მარეს ვიოლასთვის დაწერილი მუსიკა. მეორე დღესვე შევუდექი ჩანანერების ძიებას, მაშინ Audiogalaxy-ს სახელი ვერ კიდევ ვეხსოვო ინტერნეტში, ჰოდა მეც ადვილად, სულ რაღაც საათნახევარში გადამოვწერე ამ ორი მუსიკოსის ყველა ნაწარმოები, რომელიც კი მოიძებნებოდა მსოფლიო აბლაბუ-დაში. იმავე დღეს დავაზუსტე, რომ სენტ-კოლომბის ხელნაწერი (ფრანგულად ასე ვიკვია თურმე: 67 pieces a deux violes esgales) 1966 წელს აღმოუჩენია ალფრედ კორტოს და იგი 1973 წელს გამოუციათ გერმანელს. ერთი სიტყვით, გაფუტე, გამიტაცა ვიოლამ და იმასაც მოვკარი ყური, რომ სენტ-კოლომბს მეშვიდე სი-მი მოუმატებია ამ ინსტრუმენტისთვის, თანაც საფრანგეთში პირველი ყოფილა, ვისაც მოვერცხილი სიმებზე დაუკრავს. სენტ-კოლომბს გასული საუკუნის 60-იან წლებამდე მისივე მოსწავლეების, ჟან რუსოსა და მარინ მარეს რამდენიმე მიძღვნილი და ორიოდე ანეკდოტით იცნობდნენ, მისი ცხოვრებიდან ზოგიერთი ფაქტი ყერარ ტიტონ დუ ტილეს "ფრანგულ პარანასშიც" (1732) ყოფილა დამონებული.

პასკალ კინიარმა სენტ-კოლომბის მუსიკა პირველად 1976 წელს აღმოაჩინა, როცა ხორდი სავალის მიერ შესრულებული ჩანანერები მოისმინა, 1991 წელს უკვე რომანი გამოვიდა და იმავე წელსვე გადაიდეს ფილმი, სადაც, როგორც მოსალოდნელი იყო, ხორდი სავალისვე დაკრული მუსიკა აჟღერდა.

აი, ამ მნიერი ცნობების ამარა დარჩენილი დავებები 1997 წლის "ინოსტრანკაში" დაბეჭდილი რომანის რუსულ თარგმანს და წელს, სრულიად მოულოდნელად "ყოველი დილა ქვეყანაზე" ქართულადაც გამოიცა.

დავით წერეთიანის მიერ ბრწყინვალედ გადმოქართულებული ნიგნმა არათუ ზემოთჩამოთვლილი ფაქტები დამაინყა (რომელიც ამ დღეებში რის ვაი ვაგლახით აღვადგინე), არამედ თავად ფილმსაც გადაუსვა ხაზი. ნამდვილი ლიტერატურა ხომ ყოველთვის აქარნყლებს ე.წ. "რეალობის ეფექტს" და ერთი შეხედვით (უფრო სწორად ერთი ნაკითხვით, ან ერთი ამოსუნთქვით) სინამდვილის ყველა ნიშანს ართმევს ოდესღაც რეალურად გამძვინვარებულ თუ ცრემლდანიტხულ მოკვდავ-პროტოტიპებს. ნამდვილი ლიტერატურა ამ მოკვდავებს "დიდ დროში" ათავსებს და იქ უკვე ფაქტები და რეალიები ძალს კარგავენ.

არადა ამ რომანში თითქოს საკმაოდაა რეალობის ეფექტის გამომწვევი დეტალები. უპირველეს ყოვლისა ეს წიგნის ყდის დამამშვენებელ ნახატზე ითქმის (ლიუბენ ბოჟენის "ნატურმორტი გოფრეტებით"), იგი ზედმინე-ნით ზუსტადაა ნაწარმოებში აღწერილი და მაინც, ეს სიზუსტე მალევე კარგავს აზრს, რადგან ერთ-ერთი პერსონაჟი (სენტ-კოლომბი) თვალებს ხუჭავს, მხოლოდ "ყურს უგდებს ხატვას" და მეორეს ეუბნება (მარინ მარეს): "უსმინეთ, რა ხმას გამოსცემს ბატონი ბოჟენის ფუნჯი... ასე ისწავლება ხემის ტექნიკა"-ო. რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენთვის ეს ნახატიც ისეთივე მოუხელთებელი რჩება, როგორც მაშინდელი მუსიკა და ნათელი ხდება, ავტორის სინამდვილე როდი იტაცებს, არამედ ის, რასაც თვალთ გაიგონებ და ყურით დაინახავ. მთელი რომანიც სწორედ ამ ხილულ ხმოვანებაზე აგებული და ყველაზე ცხადად მასში უხილავი და იდუმალი მოჩანს (თუ მოისმის).

წიგნში მოთხრობილი სევედიანი ისტორიის ფონზე განუწყვეტლივ რაღაც ხმიანობს, ავტორს არც ერთი ხმოვანი დეტალი არ ეპარება და ეს ე.წ. აუდიო-ეფექტები გარკვეულ საზრისადაც კი ყალიბდება. მეუღლის გარდაცვალებიდან ხუთი წლის მერეც, სენტ-კოლომბს მუდამ ყურში ჩაესმის ქალის ჩურჩული, დაკვრისას კი ცდილობს ზუსტად გაიმეოროს ადამიანური ხმის ყველა "მიმოხრა": "ყმანვილი ქალის ოხვირიდან ბერიკაცის ქვითინამდე, მეფე ანრი ნავარელის საბრძოლო დამახილიდან ბავშვის უნაზეს ფშვინვამდე, ოდნავ რომ მოთრთის და მოისახება, ნეტარების სუნთქვარეული ხრილიდან ხმაგარინდებამდე, სულ ორიოდე აკორდით, ორიოდე მიმოსმით, ლამის მუნჯ გარინდებამდე ლოცვაში

წასული კაცისა." აქვე გაიგონებთ ხოჭოებისა და ღრატების სკდომის ხმას, სენ-ჟერმენ-ლ'ოქსერუას ზარების რისხვას, ცხელი შარდის ხმას, თოვლს რომ ხვრეტს და კრისტალთა დნობის ხმაში თანაზომიერად რომ ირევა (ამას პერსონაჟები ქრომატიულ დაღმასვლას უწოდებენ), ისმის კართა ხატუხუთიკი.

რომანში რამდენიმე ამბავი გადაიკვეთება და ერწყმის ერთმანეთს. ერთი მხრივ ესაა მეუღლის გარდაცვალებით მწარედ შეძრული სენტ-კოლომბის ისტორია, სანუხარის გამო კიდევ უფრო მეღანქოლიური რომ გახდა თავისი ინსტრუმენტის ჟღერადობა. ნაწარმოებში მთელ მის ცხოვრებას ერთი თარიღი განსაზღვრავს, 1650 წლის გაზაფხული, როცა მისი მეუღლე გარდაიცვალა. ამ დროიდან მოყოლებული იგი დღეში თხუთმეტ-თხუთმეტ საათს ვარჯიშობდა ვიოლაზე და ამის გამო შეუდარებელ მევიოლედ იქცა. ამ დროიდანვე მოყოლებული შეიჯავრა მან პარიზი, "ქვაფენილებზე საბოების პაკაპუკი, დეზების ჟღარუნი, ეტლების ღერძია ჭრიალი, ფურგონების რკინათა რახრახი" და ფიცრულში განმარტოვდა, თავისი მუსიკასა და მეუღლის სახელწოდებით აჩრდილის დაბალ ხმას უსმენდა, გოფრეტებით უმასპინძლებოდა აჩრდილს... მეორე მხრივ კი რომანში მოთხრობილია ყმანვილი მარინ მარეს ამბავი, ვინც ექვსი წლისა ხმის გამო გაუნვევიათ მეფის უწყებაში, შემდეგ საეკლესიო გუნდშიც გაუმნესებიათ, მაგრამ ხმა გაებზარა თუ არა, გაუძვევებიათ. ეს მოვლენა მის მეხსიერებაში სა-მუდამოდ ჩაბეჭდილიყო, სენტ-კოლომბივით მასაც ჰქონდა თავისი ზღურბლი, 1672 წლის 22 სექტემბერი, როცა "თავი ისე მარტო იგრძნო, როგორც აყმუვლებულმა ნადირმა, როგორც გასიებულმა და დაფანჩულმა ასომ, ლაჯვებუა დაკიდებულმა" და გადაწყვიტა შური ეღია საკუთარ ხმაზე და ვიოლაზე დაკვრის ხელოვნების დასა-უფლებლად სენტ-კოლომბთან მივიდა: "როგორღაც ასე ხდება ხოლმე, ყმანვილი, რომელიც პირის გაღებასაც ვერ ბედავს,

**მაინცა და მაინც სულ უნო კაცს უნდა გადაწყვედს".**

ანუ რომანში მოწაფე-მასწავლებლის კლასიკური წყვილი ჩნდება, მოდელი, რომელიც პლატონის "გამოქვაბულის ანალოგიიდან" მოყოლებული მართავს კულტურას და რომელიც კინიართანაც რისხვითა და ერთ-ერთი იცხება. თუკი თანატოს სენტ-კოლომბი განასახიერებს (მისი ყველა ნაწარმოები სიკვდილის თემაზეა შექმნილი: "მოთქმანი", "ჯოჯობენი", "ენეასის აჩრდილი", "ქარონის ნავი"), ეროსი მის ქალიშვილებს, მადლენსა და ტუანეტს უკავშირდება. თავდაპირველად მადლენი, უფროსი და შეუყვარდება მარეს, მონაფეს (მადლენი მალე "გაილევა", თავს ჩამოიხრჩობს), და რომც მის ხელს თბოვს გოგონას რამა, ალმოჩნდება, რომ ისიც, სენტ-კოლომბიც შეყვარებულს ცხოვრებით ცხოვრობს და ეს ყველაფერი მისთვის ხელოვნებას აღემატება, "მეტია, ვიდრე თითები, მეტია, ვიდრე ყურები, მეტია, ვიდრე წარმოსახვა". სწორედ ამ დროს ნამოსცდება სენტ-კოლომბს რომანის ალბათ ცენტრალური ფრაზა: "ბატონო ჩემო, თქვენ ხილული მეფის სმენას ეაღვრებოდა, მე არ შემიძლია სმენას ვეალერსო. ჩემი ხელი უხილავის გამოსმობას ცდილობს" და, აქედან მოყოლებული, მონაფე და მასწავლებელი იმ დასკვნითი დიალოგისკენ მიისწრაფიან, სადაც მუსიკა უკვე აპოფატეკურად ხსიათდება, ყველა მისი ატრიბუტისა და აღნიშვნის უარყოფით.

სიტყვა "ხასიათდება" ძალზე პირობითად გადმოსცემს ვითარებას, რომლითაც ნაწარმოები სრულდება. ეს დიალოგი ერთ-გვარი სქოლასტიკური თამაშით იწყება (აბელარისა და პიპინუსის ყაიდაზე), პოეზიით მთავრდება და სწორედ ამ ბოლო ეპიზოდის ნაკითხვის შემდეგ ვაცნობიერებთ ამ რომანის თარგმანსთან დაკავშირებულ სირთულესა და მთარგმნელის, დავით წერეთიანის დამსახურებასა თუ გამბედაობას, რომელმაც ჩვენი ენისთვის აბსოლუტურად უცხო სიტყვიერი რეალობა გადმოქართული (ალბათ, იგივე შეიძლება ითქვას ვიოლის წერეთიანისეულ თარგმანზეც):

"ძნელია ეს ხელობა, ჩემო ბატონო. მუსიკა მხოლოდ იმის გამოსათქმელად არსებობს, რაც ერთ უთქმელია. ამ მხრივ მთლად ადამიანურსაც ვერ უწოდებ. მიხვდით ბოლოსა და ბოლოს, რომ იგი მეფისთვის არ ყოფილა?"

- მივხვდი, ღმერთისთვის ყოფილა.
- ცუდად მიმხედარხართ, ჩემო ბატონო, რადგან ღმერთი მეტყველებს.
- მაშ რისთვის არის, ყურისთვის?
- ის, რაც ვერ გამოვითქვამს, მეუძღლებელია ყურისთვის იყოს.
- ოქრო?
- არა, ოქრო ყურამდეც ვერ აღწევს.
- სახელი?
- არა. სახელი, ეგ მხოლოდ ხშირ-ხშირი ხსენებაა კაცისა.
- დუმილი?
- არა. დუმილი განწყვიტილი ლაპარაკია.
- მეტოქე მუსიკოსები?
- არა.
- სიყვარული?
- არა.
- სიყვარულის გამო სინანული?
- არა.
- განმორება?
- არადა არა.
- გამოდის გოფრეტებისთვის ყოფილა, რომელსაც უხილავს ვანვდით.
- არც ეგ. რა არის გოფრეტი? ხედვ, გემოს უსინჯავ, ჭამ. იგი არაფრისაგან არაფერია.
- მეტი აღარ ვიცი, ჩემო ბატონო. მე ისა მნამს, რომ მიცვალებულს ჭიქა უნდა დაუდგა...
- თქვენც ცვეხლი გდებიათ.
- მცირე რამ სასმელი მინადო იმათ, ვინც უნოდ დარჩა. ბავშვების აჩრდილებს, სახარაზო ჩაქუჩების დაგადუგს, იმას, რაც ბავშვობას წინ უსწრებდა, როცა სუნთქვა გიჭირდა, როცა სინათლეს ვერ ხედავდი.
- ამის შემდეგ ისინი დუეტში დასაკრავად წავიდნენ, მონული ბოცურით, ჭიქებითა და გოფრეტების თეფშით. სენტ-კოლომბი მთელი ღამე საბრალო მადლენის ვიოლაზე უკრავდა თურმე, ალბათ თავისი, განსხავებული ხერხით ეჭირა შვილის ვიოლაც, მუხლებზე და წვივზე მიუყრდნობდა.



პასკალ კინიარს (მარცხენი) "გონკურების პრემიას" ულოცავენ.



# ბიჭობრი ყოფნაში

## სოსო ტახუცაძე

**აგოტა კრისტოფი. საერთო რვეული. თარგმანი მედეა ზუბალაშვილისა. ყდის დიზაინი სოფიო კინწურაშვილისა. თბ. "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა", 2001.**



საქართველოში ლიტერატურის ფართო მკითხველისათვის აგოტა კრისტოფი უცნობი სახელია. გასული საუკუნის ოთხმოციან წლებამდე უცნობი იყო იგი ევროპელი მკითხველისთვისაც, ვიდრე 1986 წელს, უნგრული წარმოშობის შვეიცარიელი მწერალი ფრანგულ ენაზე გამოაქვეყნებდა რომანს, რომელიც კრიტიკოსებმა მეოცე სასწლეულის "ყველაზე ულამობელ წიგნად" მონათლეს და რომელსაც, ფრანგ კრიტიკოსთა მონაშობით, ლიტერატურაში აფეთქების ეფექტი ჰქონდა.

ამ კალამბურული გვარ-სახელის მქონე მწერლის თხზულება "Le Grand Cahier" - "სქელი" თუ "საერთო რვეული" (ქართული თარგმანის ავტორმა, ქალბატონმა მედეა ზუბალაშვილმა ეს უკანასკნელი ვერსია არჩია) - თხუთმეტი წლის შემდეგ ჩვენშიაც გამოქვეყნდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც ვიცო, დიდი რეზონანსი არ მოჰყოლია. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენი პრობლემაა და არა მწერლის ან გამომცემლის, მით უფრო რომ სოფიო კინწურაშვილის მიერ შესრულებული ყდის დიზაინიც ძალზე მიმზიდველად ამისა, როგორც შეიძლება "საერთო რვეულს", რომლის ავტორის გვარ-სახელიც ყველას ფსევდონიმი ჰგონია. თუ მაინც ფრანგ კრიტიკოსთა მიერ ხაზგასმულ "ულამობლობას" გაეცხენებ, მაშინ იმის თქმაც შეიძლება, რომ იგი არა მხოლოდ გვარ-სახელის კალამბურულობით, არამედ "ულამობლობითაც" მიაგავს თავშესაქცევი დეტექტივების ვირტუოზულ მთხზველ ლედის - აგატა კრისტის, რომელმაც მწერლური მოღვაწეობა ჰოსპიტალის აფთიაქში მუშაობისას, წამლების ჩამორიგების შემდეგ მორჩენილ თავისუფალ დროს გასართობი სიუჟეტების წერით დაიწყო. აგოტა კრისტოფმა კი სადაგი ყოფის გარდათქმა "ტექსტთან ახლო" არჩია და შეუჩვენელი რეალობა და "შიშველი სიმართლე" ასახა. ასეა დაწინაურებული რომანის გმირების მიერ ის სამყარო, რომელსაც მწერალი პერსონაჟების თვალთახედვით აღწერს. აღწერის ქარგა კი ასეთია: ომი დასასრულს უახლოვდება, დედაქალაქიდან პატარა საზღვრისპირა

ქალაქში დედას ტყუპი ვაჟიშვილი ჩამოჰყავს. დიდ ქალაქს ბომბავენ, შიმშილობაა. აქ კი ბებია ცხოვრობს, რომელსაც ყველა "კუდიანს" ეძახის, რადგან, როგორც ამბობენ, საკუთარი ქმარი მოუწამლავს. ამ ამბის შემდეგ ქალიშვილი აქ აღარ გამოჩენილა. ვერ იტანს დედას, მაგრამ გაჭირვებამ კვლავ მასთან მიიყვანა. ათი წლის შემდეგ დედასა და ქალიშვილს შორის გამართულ დიალოგს ფანჯარასთან ჩაცუცქეული ბიჭებიც ისმენენ და მათთვის უკვე ნათელი ხდება, თუ სად მოხვდნენ. ბებია იტოვებს შვილიშვილებს იმ პირობით, რომ ბიჭებს თავის ყოველდღიურ მიმე საქმიანობაში მოიხმარს და ამუშავებს: "დამაცადეთ, გაგაგებინებთ, რომ სიმწრის ფასად მოიპოვება ეს ყველაფერი". ბებიას ამ მუქარაზე ბიჭების რეაქციაც შესაბამისია: "ჩვენ ბებიას ენას ვუყოფთ. ის ... ხმამალა ხითხითებს, თან თქმებზე ხელებს იტყაპუნებს". დედა გაბრუნდება, ხოლო ბებია-შვილიშვილების ასეთი "სიამტკბილობით" დაწყებული ურთიერთობა ამავე ნოტაზე გაგრძელდება ქვეყნიერების ამ ყურბში, სადაც ომის ჯერ მხოლოდ ექო აღწევს...

ტყუპების შემდგომი ყოფა არის ერთგვარი შესავალი ტანჯვის ანესთეზიაში ანუ რაღაცნაირი მზადება უფრო მიმე და აუტანელი ცხოვრებისათვის. ამიტომ, შემთხვევით არ მიწოდება მათთვის გმირები, რადგან ისინი მართლა ასეთები არიან: ითმენენ, უძლებენ, წინააღმდეგობებს გადალახავენ და ამ გულგრილ და თანაგრძობისგან განძარცვულ გარემოს თავის კოლმალურ ნებისყოფას უპირისპირებენ:

"ბებია ხშირად გვცემს - ხელით იქნება, ცოცხითა თუ სველი ტილოთი. ყურბითა და თმებითაც ხშირად გვითრევს. ვერ გავვიგია, რატომ, მაგრამ სხვებზე არ გვაკლებენ ცემა-ტყუპასა და პანაღებს". ამ ყველაფერს ხომ გაძლება უნდა და ბიჭებიც გამძლეობაში იწყებენ ვარჯიშს. ეს კი ასე გამოიყურება: "გადანწყვიტეთ სხეული ისე გავიკაფოთ, რომ ტკივილი უტრემლოდ გადავიტანოთ."

თავდაპირველად ერთმანეთს ვცემთ და ვუყუავთ.

შიშველი ვართ და ერთმანეთს ქამრით კარგად ვახურებთ.

ხელი ცეცხლზე გვიჭირავს, დანით ბარძაყს, ხელსა და მკერდს ვისერავთ და ზედ არაყს ვისხამთ, თან ერთთავად ვიმეორებთ:

- არა მტკივა!

მაღე მართლაც დაკვარავთ ტკივილის შერგანებას."

ასე მოუღლეილი სიბეჯითით აგრძელებენ ბიჭები ვარჯიშებს "შიშშილში", "მათხორვობაში", "სისასტიკეში", "ლანძღვა-გინების ატანაში", "გრძნობათა წრთობაში" და ყველა იმ მოსალოდნელ უბედურებაში, რასაც მათ სასტიკი ცხოვრება უმზადებს.

"უბედურება" ვახსენეთ და ეს მხოლოდ ჩვენეული შეფასებაა, ხოლო მათთვის ყველაფერი უკვე რიგით მოვლენად აღიქმება. და, საერთოდ, ამ რომანში შეფასებათა და რაიმეგვარ მორალიურ რეფლექსიათა ნატამალიც არ არის. აქ ყველაფერი ისეა აღბეჭდილი, როგორც ხდება ანუ როგორც ბიჭები ხედავენ და იწერენ საერთო რვეულში. "კარგი" და "ცუდი", "სიკეთე" და "უკეთურობა" და სხვა რაი-

მე გრამატიკული, ომონიმური ფორმები თუ ცხოვრებისეული ოპოზიციები სრულიად ზედმეტია აგოტა კრისტოფის ენისათვის. აქ წამლად ვერ იპოვით ეპითეტს, მეტაფორას ან ფრაზეოლოგიურ კონსტრუქციას; მოვლენებთან რაიმეგვარ ემოციურ მიმართებაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. ამიტომ აგოტას შემოქმედებას (ყოველ შემთხვევაში, "საერთო რვეულის" მიხედვით, რომელიც ტრილოგიის პირველი ნაწილია) მე ვუწოდებდი "უნაშთო პროზას", რადგან აქ სიტყვა და ქმედება ერთმანეთს ფარავს, ერთმანეთს უდრის და ერთიერთზეა. ენა თავისი რესურსის მინიმუმს ავლენს და მხოლოდ მამულის ფუნქცია აკისრია. ეს ფუნქცია კი შეურეწელი სიმართლის ასახვას გულისხმობს და მწერლისა და მისი გმირების (ისინი ხომ ერთდროულად წერენ!) შემოქმედებითი მეთოდიც ეს არის. აი, რა წერია ტყუპების რვეულში: "თხზულება უნდა იყოს მართალი, უნდა აღწეროთ რა ხდება, რას ვხედავთ, რა გვესმის და რას ვაკეთებთ."

მაგალითად, არ შეიძლება დაგწეროთ "ბებია კუდიანს ჰგავს", მაგრამ შეიძლება დაგწეროთ ასე: "ხალხი ბებიას კუდიანს ეძახის".

არ შეიძლება დაგწეროთ "პატარა ქალაქი ძალიან ლამაზია"; ხომ შეიძლება პატარა ქალაქი ჩვენ გველამაზებოდეს და სხვას არ მოსწონდეს".

მონონება გრძნობის გამოყვანებაა და იგი სრულიად ზედმეტი მარაგია თავისი ბუნდოვანებისა და გაურკვევლობის გამო. მონონება მიჯაჭვულობასაც ნიშნავს, ისევე, როგორც სიზუსტესა და ობიექტურობას მოკლებული სიტყვა "სიყვარული" და ამიტომ ერიდებიან ბიჭები გრძნობათა აღმნიშვნელ სიტყვებს: "ყოველთვის ვობს მოერიდო მას და უბრალოდ აღწერო საგნები, მოვლენები, ადამიანები და საკუთარი თავი - სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიჰყვები ფაქტების მოუკერძოებელ გადმოცემას". ეს არის ძმების კრედო და მწერლის პოზიცია. მოკლედ რომ ვთქვათ, აგოტა კრისტოფმა შექმნა ერთი გაბმული მეტატექსტი, რომლის კითხვის დაწყება თუ შედეგით, დასრულება უკვე თქვენზე აღარ იქნება დამოკიდებული, რადგან მწერალი ისეთ მოვლენებში გაგხვევთ, რომ ტექსტის თამაშის პირობებს ბოლომდე ვერ დააღწევთ თავს.

დაწყებით კი, როგორც უკვე ვთქვით, "წიგნიც" და "რვეულიც" ამ პატარა ქალაქში ჩამოსვლით იწყება: "მთელი ღამე ვმგზავრობდით. დედას თვალები დასწითლდებოდა. მას ვეება ყუთი მოაქვს, ჩვენ კი, ორ ბიჭს პატარ-პატარა ჩემოდნები... მოგვაქვს, აგრეთვე, მამისეული სქელი ლექსიკონი. ხელები მაღ-მაღე გველდება და ლექსიკონიც რიგრიგობით მოგვაქვს". შემდეგ ამ ლექსიკონს ბებიათა სახლის სხვენზე ნაპოვნი ბიბლიაც ემატება და ბიჭების სწავლა-განათლების სტრატეგიაიც ამ წიგნებს უკავშირდება: "ლექსიკონი გვჭირდება მართლწერისათვის, სიტყვათა მნიშვნელობის შესასწავლად და კიდევ იმისათვის, რომ შევისწავლოთ ახალი სიტყვები, სინონიმები და ანტონიმები.

ბიბლიას ვიყენებთ ხმამაღალი კითხვის გაკვეთილებისათვის, კარნახისა და ტექსტების დაზეპი-

რებისათვის". ბიჭებისთვის წმინდა წიგნებს სხვა ფუნქცია არა აქვთ. მათ მხოლოდ პრაქტიკული მხარე აინტერესებთ. ის, რაც ყოველდღიურობაში გამოადგებათ და "საერთო რვეულის" შევსებაში დაეხმარებათ. სხვა დანარჩენი ფარისელოზად ესახებათ. მღვდლის შეკითხვაზე, - კითხვა თუ მაინც იცითო, - ბიჭები ცქვიტად უპასუხებენ: "ჩვენ ყველაფერი ეს ვიცით, ბატონო. ბიბლია გვაქვს, და ძველი ალთქმაც და ახალი ალთქმაც უკვე წავიკითხეთ... ზოგიერთი თავი ზეპირადაც ვიცით.

- თქვენ, აბა, ათი მცნებაც გეცოდინებათ. იცავთ კი მას?

- არა, ბატონო, არ ვიცავთ. და არც არავინ იცავს. ნათქვამია, "არა კაც კლაო", მაგრამ ყველა მარტო იმას ცდილობს, რომ მოკლას". განიარაღებული მღვდელი ვერაფერს უპასუხებს და "- რას იზამ, ომიაო" - ჩაილაპარაკებს; მაგრამ ბიჭებს კიდევ უფრო "პრაქტიკული", ისტორიასა და გეოგრაფიაზე დაწერილი წიგნები აინტერესებთ. "- მოგონილ კი არა, ნამდვილ ამბებზე დაწერილი წიგნებიო", - აზუსტებენ თავის ინტერესებს და მღვდელს თავისი ბიბლიოთეკიდან ამგვარი წიგნების შერჩევას ამბობავოლდ პირდება. ტყუპი ძმის ამგვარ პრაქტიკულ ზრახვათა შორის განსაკუთრებული ადგილი საერთო რვეულის ჩანაწერებს ეთმობა, რადგან სწამთ, რომ, - ადამიანი იმისთვის იბადება, რათა წიგნი დაწეროს... არა აქვს მნიშვნელობა, გენიალური თუ საშუალო; მაგრამ ვინც არაფერს დაწერს - დაკარგული ადამიანია; მან მხოლოდ განვლო დედამიწაზე და კვალი არ დატოვა. ბიჭებიც სწორედ ამ კვალისათვის იღვწიან რუდუნებით და ავსებენ და ავსებენ საერთო რვეულს და ამავე ტელეგრაფული სტილით იწერება აგოტას წიგნიც. იგი ცდილობს სიმართლის მოთხრობას არა იმდენად ომსა და საბჭოთა ოკუპაციაზე, რამდენადაც ადამიანის შინაგანი სამყაროს იმ ძვრებზე, რომელსაც ეს ისტორიული რეალიები მხოლოდ ფონად ევლინება. ამიტომ, სულაც არაა შემთხვევითი, რომ რომანში ვერ აღმოაჩენთ ვერც ერთ გეოგრაფიულ პუნქტსა და დასახელებს. უნგრეთის დედაქალაქი მხოლოდ "დიდი ქალაქია", ხოლო ავსტრიის საზღვარზე მდებარე ქალაქი, სადაც ბიჭები ჩამოიყვანეს - "პატარა ქალაქი"; "უცხოელი ოფიცერი" - გერმანელია, ხოლო "ახალი უცხოელები" - რუსები.

მოვლენათა კალეიდოსკოპურ ცვალებადობაში ტყუპები სრულიად თავისებურ ზნეობრივ ნორმებს გამოიმუშავებენ. სკაუტების მსგავსად, ვარჯიშთა მათ მიერ შექმნილი კომპლექსები ისეთ იმუნურ უნარებს უყალიბებთ, რომ ძნელად თუ რამე გამოიყვანს მათ ნონასწორობიდან: ყველაზე დიდი შოკი კურდღლისტუჩასა და მათი ძაღლის "სესუსალურ თამაშს" უნდა გამოეწვიოთ, მაგრამ კრისტოფის გმირები არამინიმალური სიმშვიდით შეჰყურებენ რომანის ამ ყველაზე უჩვეულო და ამიტომაც შთამბეჭდავ სცენას; ეგ კი არა, იქით ახსენებენ "უსიყვარულობით გატანჯულ" უსიყვარულობის ვუყვარვარ" კურდღლისტუჩას: - ჩვენ არასოდეს არავის არაფერს ვუყვებით. შეგიძლია გვენდო. უფროსი ბავშვები პატარებს ჩაგრავენ. ადგილობრივებს დედე-

ბი ჰყავთ ქომაგად. ტყუპებს გამოსარჩლებელი არა ჰყავთ: "ჩვენც ვიარაღდებით: ქვებს ისე ვამტყვრევთ, რომ ბასრი პირი ჰქონდეს, წინდას ვტყენით სილითა და წერილი კენჭებით. გვაქვს სამართებელიც - იგი სხვენში კომოდში, ბიბლიის გვერდით ვიპოვებთ. საკმარისია, სამართებელი ამოვილოთ, რომ დიდი ბიჭებიც გარბიან". ბიჭებს სამართებელი არ აუმოქმედებიათ, მაგრამ მათი "სისასტიკის ვარჯიშების" მცოდნე მკითხველმა უკვე იცის, რომ იარაღი, თუკი საქმემ მოითხოვა, საიმედო ხელს უჭყრია.

- გოჭის ან ქათმის დაკვლა როცა მოგიხდება, გვითხარით, ჩვენ დაგიკლავთ ხოლმეო, - ემუდარებთან ბიჭები ბებიას.

"- რაო, ეს საქმე მოგწონთ თუ რა?

- არა, ბები, სწორედ იმიტომ, რომ არ მოგწონს, გვინდა შევეჩვიოთ". და ბიჭებიც ეჩვენებიან. იწყებენ თევზების თავის გაჩეჩვით, გადადიან "საქმელად განდევნილ ცხოველებზე" - ქათმებზე, კურდღლებზე, იხებზე. მერე ისეთი ცხოველების ხოცვას იწყებენ, "რომელთა დახოცვასაც აზრი არა აქვს. ვიჭერთ ბაყაყებს, ვაჭედებთ ფიცრის ნატყხზე და ვუფატრავთ მუცელს, ვიჭერთ პელებს და ქინძისათვის მუყაოზე ვაბნევთ.

ერთხელაც ჩვენს წითურ კატას ვკიდებთ ხეზე. ჰკიდა, ჰკიდა და ნელ-ნელა ისე გაიწვია, რომ უზომოდ დაგრძელდა. კატა იკრუნჩხება და იგრისება. მოძრაობას რომ წყევტს, თოკს ვჭყრით. კატა ბალახებზე გაჭიმული უგრძობლად წევს, მაგრამ მერე უცნობად ნამოხტება და გაიქცევა".

კრისტოფის გმირები არც სამრეველო ეკლესიის მღვდლის შანტაჟს ერიდებიან, რათა ცოტაოდენი ფული ნასცინცქლონ და გაჭირვებულ კურდღლისტუჩასა და ლოგინად ჩავარდნილ დედამის შეეწონონ. საჭიროების შემთხვევაში აპურებენ მათ, მაგრამ იმავე "საჭიროებისას" სიკვდილს მონატრულ კურდღლისტუჩას დედას (თვით კურდღლისტუჩას საბჭოთა ჯარისკაცებთან ორგინისას ამოხდა სული) ყელს გამოჭრიან და ტვირთად ქვეული სიცოცხლისაგან ათავისუფლებენ: "ჩვენ მას სამართებელით ყელს ვჭყრით, მერე არმიის სატვირთო მანქანიდან ბენზინს ვიღებთ, ვასხამთ მკვდარსაც და სახლის კედლებსაც, ცეცხლს ვუკიდებთ და შინ მივიღვართ". ასე გულგრილად მოქმედებენ კრისტოფის გმირები და ისინი არასოდეს განიცდიან სიბრაღეულის მსგავს რაიმე განცდას; სინდისის ქენჯნაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. და მაინც საოცარი რამ ხდება: ტყუპ ძმებს ვერ შეიძლება მოხდეს... ან უფრო სწორი იქნება, თუ ისევე "სულერთად" ნაიკითხავ წიგნს, როგორც კრისტოფის გმირები ცხოვრობენ.

დაბოლოს, ჩემ მიერ არცთუ მწყობრად განსჯილი აგოტა კრისტოფის "საერთო რვეულის" პასაჟები თამაზად და მღერად მოგჩვენებთ იმასთან შედარებით, რასაც ტყუპები რომანის ბოლოს სწავლიან.

ამაზე კი შეგნებულად არ ვამახვილებ ყურადღებას... "ყველაზე ულამობელი წიგნიო" - კრიტიკოსებმა. მგონი, არ უნდა ცდებოდნენ.

# (ფუტკრების) ცხოვრების ქებათა ქება

ზაზა კვიციანი

**მორის მეტერლინი. "ფუტკრების ცხოვრება". ფრანგულიდან თარგმნა დავით აკრიანმა, გამომცემლობა "ნექტარი", ყდის ფოტო ანდრო როგავასი. თბ. 2002.**



"ფუტკრების ცხოვრების" ჟანრი, მიუხედავად საკითხის მოჩვენებითი სიმარტივისა, საკმაოდ ძნელი განსასაზღვრია. ერთი შეხედვით, ჩვენს წინაშეა ნაშრომი, რომელიც გულმოდგინედ და თანმიმდევრულად, მეცნიერულ ობიექტურობაზე უაღრესად საფუძვლიანი პრეტენზიით, აღწერს მწერების ერთ სახეობას. ასე რომ, თითქოს, ბუნებრივი ჩანს შევიტანოთ იგი ბიოლოგიური ნიგნების კლასში, სახელდობრ, მის ენტომოლოგიურ ქვეგანყოფილებაში. და ამ დასკვნაში ხელს ვერ შეგვიშლიდა ფაქტი, რომ "ფუტკრების ცხოვრება", არა ბიოლოგის, არამედ გენიალური მწერლის შექმნილია. თუმცა, ასეთ კლასიფიცირებას გადაულახავ წინააღმდეგობებს, მორის მეტერლინის პიროვნება კი არა, თვით ნაწარმოების ტექსტი უქმნის: მწერების ცხოვრების ნებისმიერი ენტომოლოგისთვის შესაშური დაწვრილებითი აღწერა აქ, თითქმის ყოველთვის, უფართოეს განზოგადებათა მხოლოდ ნაწილია (თანაც, ზოგჯერ, არცთუ ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი), რომელიც ორგანულ საფუძველს ქმნის არსებობის საზღვრისზე მსჯელობისათვის. ასე რომ, ნიგნი გამუდმებით "ცდილობს" ფილოსოფიური ლიტერატურის კატეგორიაში გადაბარებას. ხოლო თუკი, ამის შემდეგ, ამოვალთ არა იქიდან, რას მოგვითხრობს ტექსტი, არამედ - თუ როგორ არის იგი დაწერილი, ვნახავთ, რომ "ფუტკრების ცხოვრების" მნიშვნელოვანი ნაწილი, არსებითად, მაღალი პოეზიაა - ღრმავარდნი და დახვეწილი ლექსები პროზად.

ამიტომ, ნიგნის რაობის გარკვევაში, შესაძლოა, ანალოგიის მეთოდი დაგვეხმაროს. თუ "ფუტკრების ცხოვრების" უახლოესი მონათესავეს მოძებნავს დავაპირებდით, მას ვერ ვიპოვით ვერც ფილოსოფიურ და ვერც ზოოლოგიურ ლიტერატურაში (ალბათ, "ნობელით" პრემი-

რებული ბიოლოგისა და დიდი მწერლის კონრად ლორენცის ძალღებისადმი მიძღვნილი ნიგნის გარდა - "ადამიანი პოულობს მეგობარს". თუმცა, ეს განსაკუთრებული შემთხვევაა: სამეცნიერო-პოპულარული შრომის კარგად მორგებულ ნილაბქვეშ აქ ნამდვილი და დიდი პროზაა შეფარული). ვფიქრობ, "ფუტკრების ცხოვრებასთან" ყველაზე ახლოს მაინც თომას მანის იდილია "პატრონი და ძაღლი" დგას: მრავალგვერდიანი დაწვრილებითი აღწერა ერთი გერმანული ქალაქის გარეუბნის ნახევრად ველური ბუნებისა და ავტორის ძაღლის ქცევა-ჩვევებისა - მომნუსხველი პროზა, რომლის მონაკვეთები ალაგ-ალაგ თავისთავად ლაგდება ჰეგ ზამეტრის რიტმით.

სხვათა შორის, სწორედ თომას მანთან დაკავშირებით აღუნიშნავთ, რომ მის სოლიდურ პიროვნებასა და ხელოვნებას ისევე კარგად ესადაგება დამჯერი ძაღლი, როგორც მისი სულიერი მოძმისა და ანტიპოდის, სოლიდურობას ერთიანად მოკლებული ჰერმან ჰესეს მწერლურ სილუეტს - თავნება კატა. რაზე მიგვანიშნებს, ამ თვალსაზრისით, მ. მეტერლინის სიყვარული საზოგადოებრივი მწერებისადმი, რომელმაც შვა: "ფუტკრების ცხოვრება" (1901), "ტერმიტების ცხოვრება" (1926), "ჭიანჭველების ცხოვრება" (1930)? - შესაძლოა, ამ სოციალიზმისკენ მიდრეკილი მისტიკოსის მისწრაფებაზე, ადამიანთა სიმრავლეში, სოციალურ მასაში მთლიანად გაეთქვიფა თავისი მეტისმეტად მკაფიო ინდივიდუალობა და მთელი კაცობრიობის ბედნიერი მომავლის საშენ მასალად, სხვათაგან განურჩეველ ერთ უზრალო აგურად თუ სასაძირკვლევად ექცია იგი. მეტერლინის შემოქმედების ერთიანად გახსენებისას პირველი (თუმცა, იქნებ, ზედაპირული) შთაბეჭდილება ისეთია, რომ კურთხეული ზაფხულის ტრფიალი ამ მრავალჟანრიანი (დრამა, ლირიკა, ესე) პოეტისთვის ყველაზე მახლობელი მაინც ფუტკრები უნდა ყოფილიყვნენ, რომლებშიც თითქოსდა თავად ზაფხულის ოქროცურვილი დღეები, მისი კამკამა ნათელი, მისი ათასფერობა და ათასარომანტიანობა არის ხორცშესხმული. სამწუხაროა მხოლოდ, რომ მეტერლინი სასწაულებისგან დაცლილ რაციონალიზმის ეპოქაში ცხოვრობდა და არა, თუნდაც, ერთიანად ღმერთებთან და ღმერთკაცების დასახლებულ ანტიკურ სამყაროში, რათა აპოლონის ბრძანებით გრძნეულ ფუტკრებს, - მზის ამ უბინო ასულებს, - მორის მეტერლინისთვისაც, ყრმა პლატონის მსგავსად, პირდაპირ ხახაში აეშენებინათ ფიჭა და თავლით აევსოთ პირი.

(მცირე გადახვევა: საინტერესოა, რა ვითარებაა "ანიმალისტური ჰერალდიკის" თვალსაზრისით ქართულ მწერლობა-

ში. ბიოგრაფს და, ალბათ, ფსიქონალიტიკოსსაც საინტერესო მასალას მისცემს ალექსანდრე ყაზბეგის "მეგობრობა" მაიმუნ "ჟაკოსთან", რომლის შესახებ გრიგოლ რობაქიძე ამბობდა, რომ აქ "არის პოეტის გახელება მელანქოლიის არეში". აი, ტექსტებში ასახული კი ბევრი არაფერი მაგონდება გალაკტიონის ერთი შენიშვნის გარდა: "ორი მერანია: მერანი ავთანდილის, მერანი ბარათაშვილის, ისინი სხვადასხვანი არიან. საქირო იყო მათი შეერთება. და ეს მოვახერხე მე. ჩემი მერანი შეთავსებაა ამ ორი სხვადასხვაობის". მართალია, ეს შენიშვნა უწინარეს ყოვლისა ლექსის ტექნიკას შეეხება - "რუსთაველის რითმის დაცვა ბარათაშვილის რიტმის გამოყენება" - და, შესაძლოა, არც იყოს ბოლომდე დამაჯერებელი, მაგრამ თუ აქ მაინც სწორედ "ჰერალდიკას" დავინახავთ, უნდა ითქვას, რომ ეს ქრონოლოგიური თანმიმდევრობა ალბეჭდილია საემბლემო ცხოველის რეალურ-ზოოლოგიური ნიშნების თანდათანობითი გაქრობით: ავთანდილის ტაიჭი სავესებით რეალური ცხენია და, ტარიელის მზერი-სუსწრაფესი რაშისგან განსხვავებით, ზებუნებრიობისა და ზღაპრულობის მეტისმეტად ჭარბმინიშნებითაც კი არ არის ალბეჭდილი ბარათაშვილის მერანი, - მიუხედავად იმისა, რომ

ის დაწერილია შამილის მიერ ილია ორბელიანის დატყვევების შთაბეჭდილებით, რომელსაც ამ დროს ლექსმა ოთხი სავსებით ჩვეულებრივი ცხენი წაართვეს, - უკვე ნამდვილ ცხენს აღარ ჰგავს და ბედისწერის სიმბოლოდ უფრო გვევლინება. აი, გალაკტიონის ლურჯა ცხენებს კი ზოოლოგიური არსების ნიშანიც კი ალარა აქვთ შერჩენილი, ეს არის ცხენები, ასე ვთქვათ, ცხენობისგან განძარცული სახით.)


\*\*\*

რატომ უჩნდება დიდების მწვერვალზე მყოფ მწერალს სურვილი, მოკიდოს ხელი ზოოლოგიურ თემას, რომელიც ვერც ელიტარულ მკითხველთა აღფრთოვანებულ ღრინცელს შემატებს და ვერც მნიშვნელოვნად გაუზრდის თავყანისმცემელთა მასას? რა სულიერი მოთხოვნებიდან არის ამოზრდილი "ფუტკრების ცხოვრება" ან "პატრონი და ძაღლი"?

თომას მანის თქმით, "აპოლიტიკოსის ჩანაწერებზე" მუშაობისას აბსტრაქციის სფეროში ხანგრძლივმა გადასახლებამ მას გაუჩინა დაუძლეველი მისწრაფება წარუვალის, ურღვევის, ზეისტორიულის, წმიდათა წმიდასადმი, რაც გადმოიღვარა იდილიად ბუნებასა და ძაღლზე. არადა, ერთი შეხედვით, ამის საპირისპიროდ უნდა ყოფილიყო საქმე და სწორედ უზოგადესი

საკითხებისადმი მიძღვნილ "ჩანაწერებს" უნდა დაეკმაყოფილებინა აპოლიტიკოსი ავტორისთვის ზეისტორიულისა და მარადიულის წყურვილი; ხოლო, მეორე მხრივ, თითქოს, რა შეიძლება იყოს არსებობის ფუნდამენტურ პრინციპებზე და საკრალურზე მოფიქრალი კაცისთვის უფრო შემთხვევითი, უმნიშვნელო, მსწრაფლცვალებადი და წარმავალი, ვიდრე რომელიმე ერთი ცხოველის, თუნდაც მისი საყვარელი ძაღლის, ქცევა და ცხოვრება?

"ფუტკრების ცხოვრებაზე" მუშაობა რომ დაიწყო, მ. მეტერლინი საკუთარი ცხოვრების მეოთხე ათწლეულს ასრულებდა. მას უკვე შექმნილი ჰქონდა ლექსები, რომლებმაც დიდი პოეტის სახელი დაუმკვიდრა; ესეები, რომელთა უცნაურ სტილურ სინატიფეს, ძნელია, ანალოგი მოეძებნოს მსოფლიო ლიტერატურაში (იქნებ, უაილდის საუკეთესო ფურცლების გარდა); დრამები, რომლებმაც მსოფლიო სახელი მოუხვეჭა (საგულისხმოა, რომ ამ ავტორს XX საუკუნის დასაწყისის საქართველოშიც იცნობდნენ და აფასებდნენ - "სცენის მეფედ" მოიხსენიებდნენ და მისი პიესები იმდროინდელ საშინლად არქაულ ქართულ თეატრშიც იდგმებოდა). მორის მეტერლინი ლიტერატურული დიდების მწვერვალზე და შემოქმე-



მორის მეტერლინი

დებითი ძალების ზესავსობის ხანაში იმყოფებოდა.

გარდა ამისა, ნიგნს საფუძველი დაუდო უძლიერესმა იმპულსმა - ოცნლიანმა (ცალმხრივმა?) მიჯნურობამ ფუტკრებისადმი, თავლისმკეთებელი ამ მარადი ცალმხრივობისადმი.

დაიხ, მეტერლინკს მამინ უკვე მეფუტკრის ოცნლიანი გამოცდილება ჰქონდა. ამ ხნის მანძილზე მან მოასწრო ამომწურავად შეესწავლა ფუტკრების შესახებ არსებული მთელი ბიოლოგიური ლიტერატურა და პარიზში თავის კაბინეტში მინისკედლებიანი სკაც კი დადგა, რათა მათ იდუმალებით მოცულ სამყაროს განუწყვეტილ დაკვირვებოდა. მას დაუგროვდა ჩანანერები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ნიგნის შექმნისას არც კი გამოიყენა, მათი სპეციფიკურ-სამეფუტკრეო ხასიათის გამო. იგი ატარებდა ექსპერიმენტებს, რომლებსაც, მართალია, დაკვირვების არასაკმარისად ზუსტი მეთოდები ხელს უშლის წმინდა სამეცნიერო მნიშვნელობამდე "ამაღლდნენ"; მაგრამ, მეორე მხრივ, როცა ცდილობს საყვარელი არსების ყველა თვისება თუ შტრისი შეიცნო და შეიტკობო, ალბათ, მაინც დაამარცხდა.

არ გაღებულა "მეცნიერული ლირებულება" აქვს თუ არა შენს ცოდნას...

"ფუტკრების ცხოვრება" შვა დიდმა ცოდნამ, მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანი როლი მანინც დიდმა სიყვარულმა შეასრულა... და არა მხოლოდ ზაფხულისა და სიცოცხლის ამ ბიოლოგიურ-ფილოსოფიური ოდის შექმნაში, არამედ მ. მეტერლინკის დიდი სულიერი მემკვიდრის, კარლ ფრიშის ცხოვრებაშიც - მხოლოდ თავგანწირულ სიყვარულს შეეძლო მიეცა ძალა XX საუკუნის ამ უთვალსაჩინოესი ბიოლოგისთვის, რათა მთელი თავისი განსაცვიფრებლად ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრების განმავლობაში უკიდურესი მეცნიერული პედანტურობითა და შესაშური ფანტაზიით, მოეხსნა ფუტკრებთან დაკავშირებით არსებული თითქმის ყველა ის კითხვის ნიშანი, რომელთა იდუმალების ნიშანზე მ. მეტერლინკის თავისი არსით საკრალურმა განცვიფრებამ და მონივნებამ შვა "ფუტკრების ცხოვრების" საუკეთესო მონაკვეთები, მაგალითად, ერთგან მისტიკურ უზენაეს მიზანს დაქვემდებარებული ფუტკრების "ნეტარი" არსებობის შურით შემყურე ავტორი სვამს მარადიულ კითხვას - მსგავსად ამისა, შესაძლებელია თუ არა, ოდესმე მაინც, მთელი ადამიანური ცხოვრებაც აღარ იყოს მარტოოდენ "საწყაული ალუვსებელი" და გაქრეს ის საშინელი ძრწოლა სიკვდილის წინაშე, სულ ახალი და ახალი ძალით განმეორებდა წყევლად რომ ექცა კაცთა მოდგმას: "ჩვენ ისე ვართ შექმნილნი, რომ არაფერი გვაკმაყოფილებს, ვერაფერს ვხედავთ ისეთს, მიზანს თავისთავშივე რომ ატარებდეს... ნავალთ კი ოდესმე იმ დათმობაზე, რომ თუნდ რამდენიმე საათის მანძილზე წარმოვადგენდეთ მატერიის აქტივობის საინტერესო ფორმას, რათა მალევე, დანაწევების თუ გაკვირვების გარეშე მოვიპოვოთ მისი კიდევ ერთი ფორმა: უცნობი, გაუცნობიერებელი, მძინარე, მარადიული".


ბა? როგორც აღენიშნე, "ფუტკრების ცხოვრების" აზრობრივ-სახეობრივი წყობა მაღალი პოეზიის კანონებს ემორჩილება, ხოლო პოეზიის ადეკვატური აულერება სხვა ენაზე, ყველამ იცის, ურთულესი საქმეა. თვალსაჩინოებისთვის ვიტყვი: სიტყვიერი ქსოვილის გამჭვირვალების ის ხარისხი, რომელსაც ტექსტის ბუნება მოითხოვს, ქართულ პროზაში საერთოდ არ მეგულება, ხოლო პოეზიიდან შემოძლია დავასახელო აკაკი და გვიანი გალაკტიონი.

დავით აკრიანს სიყვარულით უმუშავია. ყოველ გვერდზე აშკარად ჩანს, რა მონდომებით ცდილობს იგი მ. მეტერლინკის სახოვანებას მიუსადაგოს ქართული ფრაზის ფერადონება და ბერძნული კეთილხმოვანება. ისლა დაგვიჩვენია, იმედი ვიქონიოთ, რომ ოდესმე ისეთ თარგმანსაც ველირსებით, სადაც ასეთი მონდომებული მცდელობის კვალს საერთოდ ვეღარ შევნიშნავთ და სადაც ენობრივი ქსოვილი დაემსგავსება თვით სინათლეს - უფორმო და უფერო სუბსტანციას, სამყაროს ყოველ საგანს, ფორმას, ფერს და... სიცოცხლეს რომ აძლევს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მოხდება საოცრება,

\*\*\*

ახლა თარგმანის შესახებ. ასეთი ნიგნის რამდენადმე მაინც დამაკმაყოფილებელი თარგმანის არსებობა მშობლიურ ენაზე ბედნიერებაა ნებისმიერი კულტურისთვის; მაგრამ რამდენად გამართლებულია, სუსტი იმედი მაინც გვექონდეს, რომ თარგმანი მთლიანად დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდეს.

# მითების სამყარო და მოხრობალი



ზურაბ ნამორაძე


"ბერძნული მითების სამყარო" (ასპარეზზე გამოდიან გმირები, შვიდბჭიანი თებე, ტროას ომი. თხრობა და კომენტარები: ნანა ტონიასი, მანანა ლარიბაშვილის, გიორგი ხომერიკის, ლაშა ბერაიასი). თბ. "ლოგოსი". 2001-2002.

ვისაც დაეება იდეა - ბერძნული მითების სამყაროში შეეყვანა ქართველი მკითხველი, დელფოს სამისნოს წარწერა: "შეიცან თავი შენი" ნამდვილად იმ იმპერატივად ექნებოდა მიჩნეული, ურომლისოდაც ადამიანის ცხოვრება წარმოუდგენელია. ამ სამყაროსთან ზიარება, რა თქმა უნდა, უზარმაზარ დახმარებას გაუწევს საკუთარი თავის შეცნობის გზაზე დამდგარ ყოველ პიროვნებას.

მე ხელთ მაქვს პროგრამა "ლოგოსის" სერიით გამოცემული სამი ნიგნი: "ასპარეზზე გამოდიან გმირები", "შვიდბჭიანი თებე" და "ტროას ომი". ნიგნების



სათაურები ცხადად მიგვანიშნებს იმ თემებს, რომელთა თხრობას და კომენტარებსაც მოჰკიდეს ხელი ამ სფეროში დაკვალიანებულმა ქართველმა სპეციალისტებმა. ყოველი ელინისტი საკმაოდ რთული ამოცანის წინაშე იდგა: ერთი მხრივ, უნდა მოეთხრო, და მეორე მხრივ, შესაბამისი კომენტარებით აღექურვა სათხრობი მასალა. სირთულეს ქმნიდა სხვა გარემოებაც: ეს ნიგნები საქართველოს განათლების სამინისტროს და მხმარე სახელმძღვანელოდ დაუმტკიცებია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთათვის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მასალა თანმიმდევრულად უნდა იყოს დალაგებული და ყმანვილთათვის გასაგები, იოლად მისაწვდომი, მკაფიო ენით გადმოცემული. ამ ვითარებასთანაც რომ არ გვექონოდა საქმე, ისედაც ცხადი გახლდათ: ბერძნული მითების მთხრობელი მხოლოდ ის ავტორი შეიძლება იყოს, ვინც გვარიანად ფლობდა ქართულ სიტყვას და



ვისაც მხატვრული თხრობის ძალაც შესწევდა. სხვაგვარად წარმოუდგენელიცაა, ვინაიდან ბერძნული მითები იმხელა ფანტაზიასა და წარმოსახვას იტევს, ისეთი უჩვეულო ხდომილებებით არის აღსავსე და ისეთი ცეცხლოვანი, მგრძობიარე მუხტითაა დამუხტული, რომ უღიმღამო თხრობა ნამდვილად არ შეუძენის. მეც ამ ნიშნით გადავწყვიტე შემეფასებინა უკვე გამოცემული ნიგნები და აღმენიშნა ის საყვარელი ხარვეზები, რომელთა გათვალისწინებაც სამომავლოდ გამოადგებოდა ავტორებს. უპირველესი მნიშვნელობა ფრაზების გამართულობას, სწორ ლექსიკურ არჩევანს, ენობრივ სიმწკრივეს და სინატივს უნდა ჰქონდეს. საერთო ღირსება გამოცემული ნიგნებისა, რაც თვალის ერთი გადავლებითაც ჩანს, ისაა, რომ თხრობაში არ არის ჩართული არქაული სტერეოტიპები, ტრაფარეტები, გაქვავებული შესიტყვებები. მართალია, სიძველის ელფერს არქაიზაცია ქმნის,

მაგრამ არქაული ლექსიკა თავის მხრივ, უხეშ სტერეოტიპებს და გაცვეთილ კლიშეებს ამკვიდრებს, რომელთა გამოყენებაც ტექსტის სიცოცხლეს კლავს. სწორად მინდა გამიგოთ, მე უგემოვნო, დამამძიმებელი არქაიზაციის წინააღმდეგი ვარ, რისი კვალიც, საბედნიეროდ, პროგრამა "ლოგოსის" სერიით გამოცემულ ბერძნულ მითებს არ ეტყობა.

ჩემს ხელთაა ნიგნი "ტროას ომი" (თხრობა და კომენტარები ლაშა ბერაიასი). აქ ერთ-ერთ თავში, რომელსაც ჰქვია "ტანტალოსი", მთხრობელი წერს: "მან თავისი ვაჟი პელოფსი დაკლა და მისი ხორცი საუცხოო კერძის სახით მიართვა ღმერთებს" (გვ. 26). ჩემი აზრით, უკეთესი იქნებოდა ყოფილიყო "საუცხოო კერძად მიართვა ღმერთებს". თავში "სინონი. ლაოკოონი. პრიამოსი ტყუევდება" ასეთი ფრაზაა: "ეს მას შემდეგ მომხდარა თითქოს, რაც ოდისევსმა და დიომედესმა პალადიონი გაიტაცეს მისი ტაძრიდან, როგორც კი მათ ქანდაკი ბანაკში მიიტანეს, ცეცხლის ალი სამჯერ მოეკიდა მას..." - ნაცვალსახელების სიჭარბე აშკარად ამძიმებს წინადადებას. იმავე თავში აბზაცი იწყება ასეთი ფრაზით: "ამ სამინელმა ნიშანმა ტროელები იმაში დაარწმუნა, რომ სინონი სიმართლეს ამბობდა" (გვ. 111). აქ სიტყვა "იმამი" კალკია და თანაც აბსოლუტურად ზედმეტია. ერთ-ერთ მომდევნო ფრაზაში ისევ ნაცვალსახელების სიჭარბეს ვაწყდებით: "მას არც კი გაუეღია აზრად, რომ მისნის დასჯის მიზეზი შეიძლება იყოს ისეურაცხყოფა ყოფილიყო, რომელიც მან აპოლონს მიაცუნა, როცა მის ნაცვლად მსხვერპლი პოსეიდონს შესწირა" (გვ. 111).

ახლა გადავფურცლოთ ნიგნი "ასპარეზზე გამოდიან გმირები" (თხრობა და კომენტარები ნანა ტონიასი და მანანა ლარიბაშვილისა). "მათ არ ისურვეს შებმა, დაბლა დაყარეს იარაღი და სამეტროდ შემართულებმა სამეგობროდ გაუწვდინეს ხელები ერთერთს" (გვ. 147). სიტყვა "დაბლა" აშკარად ზედმეტია. "გაუწვდინეს" ნაცვლად უნდა იყოს "გაუწოდეს". თავი "ჰერაკლეს თორმეტი გმირობა" ასე იწყება: "საგმირო საქმეთა აღსასრულელად ჰერაკლეს ოლიმპოსის დიდმა ღმერთებმა უბოძეს აღსაჭურველი" (გვ. 73). აქ ნამდვილად უკეთესი იქნებოდა სიტყვა "საჭურველი". იქვე არის ასეთი წინადადება: "ასე ამბობენ, როცა ჰერაკლე საბრძოლველად შეიმართებოდა ხოლმე, შუა ბალთის გარშემო არშიად შემოვლებული თორმეტი გველის თავი გრგვიწავდა და შიშის ზარს სცემდა მის პირისპირ მდგომთ". სიტყვა "ხოლო" აქ ზედმეტია. (გვ. 73)

ნატიფი სტილით და ენობრივი დახვეწილობით გამოირჩევა ნიგნი "შვიდბჭიანი თებე" (თხრობა და კომენტარები გიორგი ხომერიკისა). საერთო სიდადვის ფონზე ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ქმნის არქაიზმი "მერმე". ეს სიტყვა ბუნებრივად არ ერწყმის მთხრობელის სადა ენობრივ ქსოვილს: "ალკმეონმა შეიტყო დედის მზაკვრობა, გაიგო, როგორ განირა ერიფილემ ჯერ ამფარაოსი, მერმე კი ალკმეონისა და ამფილოქოსიც ჩააგდო საფრთხეში" (გვ. 28).

შენიშნავს ალარ გავაგრძელებთ. მე, უბრალოდ, იმის თქმა მსურს, რომ მომავალში ამ ნიშნით უნდა გამახვილდეს ყურადღება და ეს შესანიშნავი გამოცემები უფრო სრულყოფილ სახეს მიიღებს.

# დაბვიანებული, მბრამ კარბი მებობარი

დალი კუპრაძა

“საბავშვო ენციკლოპედია”. ჯეინ ელიოტი და კოლინ კინგი. ქართული გამოცემა. თბ. “ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა”, 2002 წელი.



გასული საუკუნის ბოლო ათწლეულებამდე “ენციკლოპედიური განათლება” შინაარსით დატვირთული და რეალისტური გამოთქმა იყო. დღეს კი, როგორც ამბობენ, ინფორმაციული ოკეანეს მხოლოდ კომპიუტერი თუ გადასერავს, ადამიანს მხოლოდ ცოდნის მინიმუმი და ინფორმაციის მოპოვების უნარჩვევები სჭირდება.

საქართველო ჯერ არც ისე ციფრულია და მკითხველიც ქართულენოვანი ენციკლოპედიებით არც ისე განებივრებული, რომ ორმოცწლიანი შესვენების შემდეგ ქართული საბავშვო ენციკლოპედიის გამოსვლა არ გვიხაროდეს.

“ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ” გამოსცა ჯეინ ელიოტისა და კოლინ კინგის “საბავშვო ენციკლოპედია”. წიგნის ქართული თარგმანი ანა ჭაბაშვილსა და ნოდარ ლადარიას ეკუთვნის.

ვილსა და ნოდარ ლადარიას ეკუთვნის.

საბავშვო ენციკლოპედია ფერადია და უხვად ილუსტრირებული. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ილუსტრაცია, სურათი, როგორც ცნობილია, კიდევ უფრო აძლიერებს აღქმას და ინფორმაციის სრულ ათვისებას ეხმარება.

ენციკლოპედიას წინ უძღვის შინაარსობრივი და ბოლოვდება ანბანური თუ საგნობრივი სარჩევით. თუ ბავშვი მოინდომებს ზოგადად მეცნიერების შესახებ ინფორმაციის მიღებას, მან მე-100 გვერდიდან 116-ე გვერდამდე უნდა წაიკითხოს, ხოლო თუ მას აინტერესებს უდაბნო, მაშინ სარჩევის შესაბამისად მე-2, მე-19 და 56-ე გვერდებს მიმართავს.

შინაარსი ხუთი ძირითადი ნაწილისგან შედგება: ჩვენი პლანეტა, ბუნება, ისტორია, ადამიანები და მეცნიერება. რაც შეეხება

დანართს, მასში არანაკლებ საჭირო და საინტერესო ინფორმაციაა მოთავსებული: აქ გვესაუბრებიან სრულიად ბუნებრივ ძალებზე, ახალ ტექნოლოგიებზე და ისეთ “გაბუნებრივებულ” საგნებზე, როგორცაა მტკვერ-სასრუტი, ქურები, აბაზანა თუ საკერავი მანქანა.

ენციკლოპედია ესაუბრება მკითხველს, ტექსტის ინტონაცია ქმნის განცდას, რომ წიგნი მხოლოდ “შენ” გიხსნის და განდობს ამბავს, რაც კარგი ტონია ბავშვისთვის განკუთვნილი წიგნისთვის, არა აქვს მნიშვნელობა თვითონ კითხულობს, თუ სხვა უკითხავს.

შინაარსის და ფორმის მიხედვით წიგნი რეკომენდირებულია მცირე საბავშვო ასაკიდან ადრეთინიკიჯერულამდე, როგორც ახლა მოიხსენიებენ 13-14 წლის მოზარდებს. თუმცა ეს არ

ნიშნავს, რომ უფროსმა თინეიჯერებმა არ უნდა გადაშალონ, თუ აინტერესებთ.

ენციკლოპედიიდან შეიტყობთ თუ როდის და როგორ ცეკვავენ ფუტკრები, როგორ ნადირობდნენ ადამიანები მამონტზე, ან რატომ იყიდება აუქციონზე ნივთები ძვირად...

ერთი სიტყვით, ეკვატორიდან დაწყებული ყველაფერს შეიტყობთ, მათ შორის იმასაც, რომ ცხოველთა უმეტესობა ფერებს ვერ არჩევს და კორიდაზეც ხარს წითელი ნაჭერი კი არა, მხოლოდ მისი რხევა აბრაზებს.

ერთადერთი, რაც შეიძლება უსურვო ქართველ ბავშვებს, რომ მალე ორიგინალური ქართული საბავშვო ენციკლოპედია შეადგინონ და გამოსცენ ქართველმა ავტორებმა და გამომცემლებმა.

## წარსული


# გლასტის ოჯახის ვნებანი

ჯონ ავლინი

ჯერომ სელინჯერის, მკითხველისათვის კარგად ცნობილი მწერლის შემოქმედებამ სულ ახლახან გადაინაცვლა ძველი “ნიუ-იორკერის” ფურცლებიდან მაგარყდიან გამოცემებში. “მაღლა ასწიეთ, დურგლებო, ჭერი” შარშან დაიბეჭდა კრებულში “მოთხრობები 1950-1960 წლების “ნიუ-იორკერიდან”, წელს კი მისი ორი ნაწარმოები, შედარებით მცირე ზომის “ფრენი” და საკმაოდ ვრცელი “ზუ” (ცალკე წიგნად გამოიცა. ორივე მოთხრობა ჩვენი დღეების უშუალო გამოძახილია და ერთი თემა უდევს საფუძვლად - ფრენის სულიერი კრიზისი და ემოციები.

პირველ მოთხრობაში ფრენი, ერთი ჩვეულებრივი “კოლეჯელი” გოგონა, უიქ-ენდზე ხვდება თავის მეგობარ ყმანვილს, ლეინ ქოთელს და მასთან ერთად რესტორანს მიაშურებს. იქ კი აღმოჩნდება, რომ იგი არა მარტო სულიერ დისკომფორტს განიცდის, არამედ ფიზიკურადაც იტანჯება. გოგონა ცდილობს როგორმე აუხსნას ყმანვილს თავისი სავალალო მდგომარეობა, ის კიდევ ამ დროს სამარცხვინო ნიშნების ფურცლით ტრაბახობს, მაღიანად შექცევდა ბაყაყის თათებს და არად დაგიდევთ სხვის უბედობას თუ ავადმყოფობას. ყველაფერი კი იმით მთავრდება, რომ ბოლოს გოგონას გული წაუვა. უკანასკნელად მას რესტორნის მეპატრონის ოფისში ვხედავთ, დივანზე გაშობილსა და ჭერისაკენ თვალბაკობილს.

მეორე მოთხრობაში კი, ფრენი კოლეჯიდან შინ ბრუნდება. მისი უიღბლო უიქ-ენდის მომდევნო ორშაბათია, მხოლოდ დედამისი, ბესი და უმცროსი ძმა, ზუ არიან სახლში. ძილგატყვილი გოგონა სასტუმრო ოთახის დივანზე შესჭიდებულია საკუთარ განცდებს, მშობელი დედა კი ენას



არ აჩერებს და ენერგიულად გამოხატავს ზუსადი თავის სიყვარულსა და აღტაცებას. შთამბეჭდავია ნაწარმოების დასასრული: დაძმას შორის ხანგრძლივი დიალოგის შემდეგ ზუ ახერხებს მანუგეშებელი სიტყვების პოვნას და გოგონას დაამშვიდებს, და ფრენიც თითქოს “მუჭში მოიქცევს ამქვეყნად არსებულ ყველა მცირე და უსაზღვრო სიბრძნეს”, გაღიმებული მიშტერებია ჭერს და მშვიდ ძილს ეძლევა.

ჯოისის შემდეგ ერთეულ მწერლებს თუ გაუბედავთ ამდენი სიტყვის დახარჯვა ადამიანის შინაგანი, უაღრესად გრძობიერი სამყაროს აღსაწერად. ისეთ ეპოქაში მოგვინია ცხოვრება თანამედროვე ადამიანებს, რომ არავინ იცის, რა მოჰყვება ზედმეტად გაბედულ მოქმედებას. სელინჯერს კი ეს სულ არ აშინებს და მიაჩნია, რომ უმთავრესი სწორედ შინაგანი სამყაროა. ამიტომაც ბედავს ასე თამამად უმცროსს ამერიკას, მაშინ როცა ჩვენ მხოლოდ შევიგრძობთ მას, მაგრამ განცდები სიტყვიერად ვერ გამოვითქვამს. საკუთარ სამყაროში ჩაძირვას ვერ გავუქცევით: ჩვენ თავს დაგვატყდანი-



ჯერომ სელინჯერი

უანსების და გაურკვეველ, აუხსნელ მოქმედებათა საუკუნე, მივეჩვიეთ ყოველივე პირადულისა თუ ეროვნულის განქიქებას. ამ საკითხებზე ფიქრი და თავისმტკრევა აქცევს სელინჯერს გამორჩეულ, რელიგანტურ შემოქმედად, ისეთ ხელოვანად, საგრძნობლად რომ განსხვავდება უამრავი მთხველისა თუ მეკალმისაგან. ჰემინგუეი ეძებდა სახელებს უშუალოდ საგნებისა და მოვლენებისთვის, სელინჯერი კი, სუბიექტური აღქმით გარდასახულ ცნებათა სახელებს ამჯობინებს. მის ნაწერებში იუმორსაც ნააწყობებით და ბრავადასაც, უმართებულოდ წარმოჩენილ, მაგრამ მაინც შეუპო-

ვარ და დაჟინებულ იმედს... ეს ყველაფერი საოცარი სიზუსტით ესადაგება თანამედროვე ამერიკული ცხოვრების ფორმას, შინაარსს და თუნდაც ელფერს. მაგრამ ვფიქრობ, რომ მიუხედავად ასეთი წარმატებისა, მის ნაწერებს დინამიკური საფრთხე ჩასაფრებია. ამასთან ერთად, კომპოზიციის შეგრძნებითაც ვერ დაიკვეხნის, მისთვის უცხოა სიუჟეტების შეხამება და დაკავშირება: ასე ამკარად ურთიერთშემავესებელი ორი მოთხრობა ვერა და ვერ აღვიქვი ერთი წიგნის კომპონენტებად.

“ფრენის” ფრენი და “ზუს” ფრენი სულაც არ არის ერთი და იგივე პიროვნება. “ფრენის” გმი-

რი ერთი ლამაზი კოლეჯელი გოგონაა, სულიერი კრიზისის სტადიაში რომ იმყოფება. შედარებით მოგვიანებით ხვდება მკითხველი, როგორ აწამებს მას ადამიანის “ეგოში” აღმოჩენილი სისაძაგლე და კოლეჯის დამთრგუნველი ატმოსფერო. ის მაინც ცდილობს იპოვოს რაიმე გამოსავალი და პროფესორის მიერ ბედად ნახსენებ “პილიგრიმის გზას” გამოიტანს ბიბლიოთეკიდან...

ფრენის ოჯახი, წამიერად რომ გაილეგებს მისივე წერილის პოსტსკრიპტუმში, ალბათ, სტანდარტულ საშუალო ფენას განეკუთვნება; ამ მოთხრობაში არც მათი გვარი, გლასია, სადმე ნახსენები (არც ფრენი გვიყვება რაიმეს თავისი ძმების შესახებ); მისი ყმანვილი, ლეინ ქოთელიც, ცოტა არ იყოს, ბრიყვ და თავკერძა ჯველად გვევლინება, თუმცა არც მთლად წყაღნაღებული ეთქმის, თავისებურად ცდილობს გაუგოს ფრენის, რომლის გაგებაც არც ისე ადვილია. ბოლოს კი იმაზეც მიგვანიშნებენ, თუმცა ზერელედ, რომ ეს გოგონა ფეხმძიმეა...

აი, “ზუს” ფრენი კი ნამდვილი ფრენი გლასიაა, უმრწემესი გლასების ოჯახის შვიდ სახელგანთქმულ მეგვიდრეს შორის. ყველა მათგანი იღებს მონაწილეობას რადიოვიქტორინაში, “აი, გონიერი ბავშვი” რომ რგებია სათაურად, მათი მშობლები კი, ებრაელისა და ირლანდიელის უდავოდ არასტანდარტული კომბინაცია, ძველი ვოდევილების სცენიდან გადმომხტარ წყვილს მოგვავიწყებს. ბავშვობიდანვე ჩასჩინებენ საბრალო ფრენის უფროსი ძმები, ბადი და სეიმორი, აღმოსავლურ რელიგიათა სიბრძნეს და “პილიგრიმის გზა”, რომელზეც უკვე კოლეჯშიც აღარ კამათობენ, სეიმორის ბნელი უჯრიდან ოჯახის მაგიდაზე გადაინაცვლებს. საოცარია, როგორ ეწვია სულიერი კრიზისი ასე ნაკვიანვეად ლამაზ გოგონას, რომელიც ისეთ ოჯახში აღიზარდა,

სადაც ბუდიზმი და საერთოდ აღმოსავლური რელიგია "სამაგიდო კამათის" საგნად ქცეულა... მაგრამ ამ კრიზისის სიღრმეც საოცარია... "ზუ"-ში გამოირიცხულია ფრენის ფეხმძიმობა, ასეთი რამის გაფიქრებაც კი შეურაცხყოფდა ღვთისმოსიანთაგანს. ლეინ ქოთელი, უამრავი ნაკლის მიუხედავად, ფრენის ცხოვრებაში პირველი მნიშვნელოვანი ფიგურა იყო, ამას მაინც ვერაფერს ნაარსებდა... აქ კი მილიონობით ადამიანი უხეშ და გაურანდავ არსებად გვევლინება, გლასების ოჯახს გარეთ დაბადება რომ არგუნა ბედმა.

რაც უფრო მეტს ნერს სელინჯერი გლასების შვიდივე მემკვიდრეზე, მით უფრო მეტად ინთქმებიან ეს საბრალონი სილამაზისა და ერთუდიციის გაუსაძლის ბრწყინვალეობაში. მაგალითად, ფრენი ასეა აღწერილი: "მშვენიერი კანი ჰქონდა, დახვეწილი და ნატიფი სახის ნაკვთები. ზუსტი არ იყო, მისი თვალებიც საოცარ სილურჯეს ასხივებდა... ერთი ეგ იყო, ცოტა უფრო შორი შორ ჰქონდა ჩამჯდარი, ისე რო-

გორც ეს ქალს მოეთხოვება". ზუსტად შესახებ კი იმას ვიტყვობთ, რომ ეს ყმაწვილი "ციტირების უჩვეულო ნიჭით გამოირჩევა. მას შეუძლია სიტყვა-სიტყვით, დაუფიქრებლად მოგაყაროთ ყველაფერი, რაც კი ოდესმე ნაუკითხავს ან მოუსმენია". ვფიქრობ, სელინჯერს ასეთი პასაჟები მოთხრობის გმირთა მხოლოდ ჩამოთვლა-აღწერისათვის არ შეუქმნია... ის უფრო ჩვენი შუროს ელფერიტ გაჯერებული თავყვანის(ცემის) ჩანერგვას ელტვის... ქიშპობის გრძობით შეზავებული ბრმა სიყვარულის გამონვევას.

"მაღლა ასწიეთ, დურგლებო, ჭერი" გლასების ციკლის პირველი და საუკეთესო მოთხრობაა, ცინცხალი, მხიარული, ხალისიანი. მე მას პროზად დანერგე პოემასაც კი ვუნოვებდი. ფრიად ორიგინალურად განმარტავს აქ სემორი სენტიმენტალიზმს: "ეს არის საგნებისადმი იმაზე მეტი სინაზის გამოვლენა, ვიდრე ამას თვით უფალი გამოავლენდა". საქმეც ამაშია... აი, რა უფიქრია მწერალს, თავად მასაც ხომ გლას-

სები იმაზე მეტად უყვარს, ვიდრე უფალი შეიყვარებდა! ერთგვარ თავშესაფარად იქცა სელინჯერისთვის ეს ოჯახი, მართლაც გამოჩნდებოდა უყვარს ისინი და ასეთი ბრმა გაღმერთებით ზიანს აყენებს ხელოვნებას: მას უკვე ზომიერების გრძობა ღალატობს, იგი არ იღლება საკუთარი ქმნილებების "ციტირებით", სულ ერთთავად ამხნევეს და ეფერება, იმდენად უყვარს თავისი პერსონაჟები, რომ ჩვენ უკვე ვერ ვხედავთ მათ შეყვარებას. თვით "ფრენი"-შიც კი, რომელიც ამკარად "პრე-გლასური" ნაწარმოებია, სელინჯერი გულგრილდამკვირვებლად არ გვევლინება, ის უფრო შემართულ მიჯნურს წაგავს, ნიშნის მოგებით მოზემეს ლეინ ქოთელის თითოეულ უტაქტო გამოხდომასზე. და ჩვენ გვექმნება შთაბეჭდილება, თითქოს მეორე მამაკაციც ფიგურირებს ამ მოთხრობაში და, ცოტა არ იყოს, ვიბნევით კიდეც, როცა ავტორი რესტორნის ტუალეტში "მიჰყვება" ფრენის.

"ფრენის" მოქმედება შეცნობად სამყაროში მიმდინარეობს,

"ზუ" კი, მოჩვენებით, ილუზიურ სამყოფელში გადაგვისვრის, რომლის გულმოდგინედ გაცოცხლებული დეტალებიც უფრო ამბავებს ირეალურის განცდა-შეგრძნებას. როდესაც ზუ ფრენის ეუბნება, "დიახ, წყლული მაქვს, ის ჩემშია... ასეთია, ძმაც, რკინის საუკუნე", ვფიქრობ, სრულიად ზედმეტია "ძმაც", "რკინის საუკუნის" ხსენებით კი, "ორატორი" ამ გამოთქმის უზურპაციას ახდენს... ასე მგონია, გლასები მხოლოდ იმიტომ გამოვნიან სამყაროს, რომ თავად დამდაბლდნენ სამყარომდე და რათა ამით ბევრი რამის პატივაც გაუადვილდეთ: აქ აღმოფოთებას შემწყნარებლობის ღირსეული გრძობა ამარცხებს. სელინჯერის გვიანდელი პროზა გართულებულია ექსტრავაგანტული თვითშეცნობით და ამიტომ ზემოთქმულიც, გარკვეულწილად, ძნელი გასაგებია. ისე კი, ამ რთულ პროზაში გამოთქმულია ყველა ის პროტესტი, რაც კი შეიძლება გამოთქვას ნებისმიერმა ადამიანმა.

ნიგნის გარეკანზე ავტორს

ასეთი რამ წაუნერია: "არსებობს ამკარა საფრთხე იმისა, რომ ადრე თუ გვიან ჩემსავე მეთოდებში, მხატვრულ ხერხებსა და იდიომებში შთავინთქა და ჩავიკარგო. მაგრამ იმედადანყვეტილი ნუ გვეგონებოდა". ნება მიბოძეთ, გამოვხატო ჩემი სინარული იმის გამო, რომ მწერალს იმედი არ დაუკარგავს. ახლა კი უნდა ვაღიარო, რომ ვარ ერთ-ერთი იმთავანა, ვისთვისაც აღმოჩენად იქცა სელინჯერის შემოქმედება. ისლა დაგვრჩენია, ახალ აღმოჩენებს დაველოდოთ.

გლასების საგის წინასწარი მონახაზი პოტენციურად უძლიერესი ლიტერატურის შემცველია. მას შემდეგ, რაც დიდი სიფრთხილით და შემპარავად შევაფასე სელინჯერის მიერ არჩეული მინარტულუბა, იმასლად დავძენ, რომ იგი ნამდვილად არის გარკვეული მიმართულება და რომ ხელოვანს, ანუ თავგადასავალთა მძიებელს, კონფერანსისეგან რისკიანობა და აკვირებული იდეის ერთგულება განახსავებს.

**The New York Book Review**  
17 სექტემბერი, 1961


## სწავლი კოლიტიკოსი

### პატრიცია ბლიქი

თუ კირკეგორის სიტყვებს ვერწმუნებით, დიდი ხელოვანისა და დიადი თემის ერთიანობა ის ღვთაებრივი ალიანსია, ილბლიანად რომ წარმართავს ისტორიულ პროცესს და აჩქარებს დროის ისედაც მძლავრ მდინარებას.

და მართლაც, ალექსანდრ სოლჟენიცინისა და საკონცენტრაციო ბანაკის თემის ერთიანობამ "გამოიწვია" მეოცე საუკუნის პროზის შედეგრი, "ივან დენისოვიჩის ერთი დღე". "ერთ დღესა" და მისსავე "პირველ წრეში" მიღწეულია ის, რაც კამიუს თითქმის შეუძლებლად მიაჩნია: ორივე ნაწარმოები აიძულებს ჩვენი საუკუნის მკითხველს, გაითავისოს მილიონობით ადამიანის ტანჯვა-წამება და პასუხი აგოს თითოეულ მკვლევარბაზე. სტალინიზმისა და ნაციზმის ისტორიული კატაკლიზმების შემდეგ "განმზნდელ ფუნქციას" მხოლოდ ლიტერატურა თუ შეასრულებს!

სოლჟენიცინის ბოლო რომანი "კიბოს კორპუსი" უკვე თარგმნილია ინგლისურ ენაზე და მზად არის ამერიკაში გამოსაცემად. აქ ავტორი ტრადიციას არ ღალატობს და წერს იმაზე, რაც საკუთარი თვლით იხილა და გამოსცადა; შეუბრალებლად მოგვისვრის განწირულთა სამყაროში და არც კარის გამოჯახუნება ავიწყდება. საკონცენტრაციო ბანაკისა და ონკოლოგიური განყოფილების თემებს შორის დიდი განსხვავებაა: მწერალი ვერაც არ არის დაზღვეული იმ წყეული ბანაკისაგან, სწეულებამ კი, საბედნიეროდ, გვერდით ჩაუარა. გარდა ამისა, საკონცენტრაციო ბანაკი ადამიანის ხელითა და ნებითაა შექმნილი, ჩვენი საუკუნის საზარელი პროდუქტია, სწეულება კი ღვთის ნებაა, გარდაუვალი და მარადიული. "ნეტავ ვიცოდე, როდის წავიკითხავთ რაიმეს ჩვენს შესახებ, ალბათ ასი



წლის შემდეგ, არა?" კითხულობს მწერლის ერთ-ერთი პერსონაჟი - ყოფილი პატიმარი და თანამედროვე ლიტერატურის დიდი მოძულე.

"ერთი დღით", რომელიც რუსეთში 1962 წელს გამოიცა, სოლჟენიცინმა იმის შანსი მაინც მისცა მილიონობით თანამემამულეს, თავის შესახებ რომ წაეკითხა. ეს არის ამბავი ყოვლად უდანაშაულო დურგლისა, დაუმსახურებელი ტანჯვა-წამების მსხვერპლის! "პირველ წრეში", რომელიც რუსეთში აკრძალული გახლავთ, მწერალმა დეტალურად შეგვასწავლა სტალინიზმის ანატომია; გვიჩვენა, როგორ ამახინჯებს ის სულსა და გონებას, რა საშინლად აცამტკერებს ადამიანურ ურთიერთობებს. გულუბრყვილოდ სჯერა სოლჟენიცინს, რომ ხელოვნებას სტალინიზმის განდევნა და აღმოფხვრაც შეუძლია. მართალია, ამასაც ეს იმედი, მაგრამ მან მოიმედე შემოქმედი საბედისწეროდ და სამუდამოდ მიაჯაჭვა ამ თემას.

იგივე მეთოდი მიუსადაგა სოლჟენიცინმა "კიბოს კორპუსს". აქ იგი კლინიკური სიზუსტით შეისწავლის ავადმყოფობის ყველა სიმპტომს და მიჰყვება იმ

პროცესს, რომლის წყალობითაც ავადმყოფი, ისევე როგორც პატიმარი - "განძარცული და გასარანდავად განმზადებული" - საბოლოოდ შეიცნობს საკუთარ თავს და გარკვეულ ტრანსფორმაციასაც კი განიცდის სიკვდილთან დაპირისპირების მოთემაა, თუმც არც ისე ძნელი ჩასანვდომი. აქ არ ვაწყდებით დაუწინებელ, გარდაუვალ მოთხოვნას "ბევრის ცოდნისა", როგორც ამას სოლჟენიცინის ადრეული რომანები გვიბრძანებენ. ტოლსტოიმ ერთხელ უკვე გვიჩვენა - მე ვიტყვოდი ერთხელ და სამუდამოდ - თუ როგორ სწვდება საკუთარ არსს ავადმყოფობით სანოლს მიჯაჭვული ადამიანი ("Смерть Ивана Ильича"). პირადად მე, ეს ნაწარმოები "კიბოს კორპუსის" მოდელად მიმჩნია, მის მასაზრდოებელ და წარმომშობ ლიტერატურად. იმასაც ვიტყვი, რომ სწეულება, როგორც საგანი და სიმბოლო თანამედროვე ხელოვნებისა, სოლჟენიცინზე უფრო "ღრმავაროვან" მწერალს მოითხოვს.

ავტორი სულ იმას იმეორებს, რომ ეს რომანი მხოლოდ და მხოლოდ სიმსივნეზე, ავადმყოფობაზე დაწერილი და განსაკუთრებულს არაფერს ისახავს მიზნად. 1967 წლის 22 სექტემბერს, მწერალთა კავშირის სამდივნოს სხდომაზე, ამავე კავშირის თავმჯდომარის, კონსტანტინ ფედიჩის მიერ ნაწარმოების აკრძალვამდე ოთხი თვით ადრე, კრიტიკოსებს, რომლებმაც სოლჟენიცინს სიმბოლური რომანის შექმნაში დასდეს ბრალი, მწერალმა გულწრფელად უპასუხა: "კი მაგრამ, აქ ხომ უამრავი სამედიცინო დეტალია... რომელი სიმბოლოებზეა ლაპარაკი!"

რომანის შესახებ იგი ასეთ რამესაც ამბობს: "მე ის ცნობილ ონკოლოგებს წავაკითხე, ძალიან მაინტერესებდა მათი აზრი. გამოიკვია, რომ სამედიცინო თვალსაზრისით ჩემი ქმნილება

უტყუარია და დროის მოთხოვნასაც კარგად პასუხობს. მერწმუნეთ, იგი სიმსივნის შესახებაა დაწერილი, მხოლოდ სიმსივნის. ეს არ არის გასართობი ლიტერატურა, აქ განწირულთა განცდებია ასახული".

რომანში, მართლაც, საინტერესოდ და შთაბეჭდავადაა აღწერილი, თუ რა დღეშია მედიცინა 1955 წლის ცენტრალურ აზიაში. რვა მძიმე წელი გაატარა სოლჟენიცინმა საბჭოთა ციხეებსა და ბანაკებში, და ბოლოს, სიმსივნით დაავადებული, ტაშკენტში "გადაასახლეს", 1957 წლამდე არ ღირსებია რეაბილიტაცია. ტაშკენტში იგი საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც მისი სიმსივნე, რომლის ავთვისებიანობა ჯერ კიდევ არ იყო დადასტურებული... მოულოდნელად გაქრა. ვინაიდან სოლჟენიცინი მაქსიმალურად რეალისტი მწერალია, რომლის ცხოვრების ისტორიაც მისივე შემოქმედების განუყოფელ ნაწილად ქცეულა, უნდა ვივარაუდოთ, რომ რომანში აღწერილი საავადმყოფოს პალატა არ განსხვავდება სინამდვილეში არსებულისგან.

მიუხედავად მწერლის "კლინიკური აღმავრენისა", მკითხველმა დიდი ჯაფა უნდა იტიერთოს, რათა ეს ნიგნი სიმსივნის შესახებ დაწერილ ამბად აღიქვას. გავიხსენოთ მის მიერ დასმული კითხვა: "ადამიანი თავის სხეულში აღმოაცნენ სიმსივნეს და ... კვდება. ერთი მითხარით, რა აცოცხლებს ისეთ ქვეყანას, ამდენი ბანაკი და საპურობილე რომ აღმოაცნენა?" იგი კვლავ, შეიძლება თავისდა უნებურადაც, საკუთარი შემოქმედების ძირითად თემას უბრუნდება. ვინ არიან ეს განწირული ავადმყოფები? ერთი ყოფილი პატიმარია, მეორე ბანაკის ზედამხედველი; აქვე არიან გადასახლებული "დამნაშავენი" და უშიშროების ურცხვი მუშაკი, რომლის სინდისზეც უამრავი უდანაშაულო ადამიანის სი-

ცოცხლეა! თუკი "ერთი დღე" სტალინის დროინდელი რუსეთის აგონიას წარმოაჩენს, "კიბოს კორპუსი" პოსტ-სტალინური პერიოდის ასახვაა, იმ პერიოდის, როცა ორივე, ჯალათიცა და მისი მსხვერპლიც, ერთნაირი პატიმარია, აქ ყველა თანაბრად არის დასახიჩრებული და სასჯელს "საერო ონკოლოგიურში" იხდის.

ყოფილი პატიმრის, კოსტოგლოტოვისა და სასიკვდილოდ გადადებული შულუბინის დიალოგი კიდევ ერთხელ შეახსენებს მკითხველს, თუ რა საბედისწეროა ეს სულიერი ხეიბრობა. და, აი, შულუბინი ნამოჭრის საკითხს, ნაწარმოების ამოსავალ წერტილად რომ გვევლინება: თითოეული რუსის პასუხისმგებლობა, თუნდაც მორალური, მილიონობით უდანაშაულო ადამიანის დაღუპვისათვის! გულწრფელად შურს შულუბინს კოსტოგლოტოვის, რომელმაც ბანაკის ყველა საშინელება გამოიარა: "შენ სხვებზე ნაკლებად მანაც ტყუობ, არც ჩვენისთანა ნაძირალა ხარ... და მე ვერა, რომ დაგაპატიმრეს, ჩვენ უფრო მძიმე დღეებიც გამოგვივლია, გვაიძულებდნენ ტაში დაგვეკრა მათ მიერ გამოტანილი განაჩენისთვის... ტაშს ვილა ჩივის, ჩვენ თვითონ უნდა მოგვეთხოვა ადამიანის დასჯა და გადასახლება".

შულუბინის იმის გაგონებაც არ სურს, რომ ხალხს სჯეროდ სტალინიზმის: "მოულოდნელად ყველა პროფესორი და ინჟინერი მავნებლად იქცა... და მათ ეს სჯეროდათ? ლენინის ყველა ძველი თანამებრძოლი საზიზღარი რენეგატი აღმოჩნდა ბოლოს... და მათ ეს სჯეროდათ? უცტრად მათი ნაცნობ-მეგობრები ხალხის მტრებად გამოაცხადეს... და მათ ეს სჯეროდათ? დასამშვენია, რომ მთელი ერთი იდიოტებისაგან შედგებოდეს? როდესაც ისტორია დაგვისვამს კითხვას: "ვინ იყო

# სწავლი პოლიტიკოსი

## მ-13 გვარდია

იგი?" ჩვენ, ალბათ, პუშკინის ლექსით ვუპასუხებთ: ჩვენს სამარცხვინო საუკუნეში უნდა იყო ტირანი, მოლაღატე, ანდა მლიქვნელი. სხვა არჩევანი შენ აღარა გაქვს, სხვა ვერაფერი ველარ იქნები!"

სტალინის სიკვდილის შემდეგ საკონცენტრაციო ბანაკების მძლავრი სისტემის ლიკვიდაციამ და სახალხო ტერორის შეწყვეტამ ბევრი ვერაფერი უშველა იმ შიმშის გრძნობას, ყოველ საბჭოთა მოქალაქეში რომ ჩაეზღვდა. უშიშროების მუშაკს ზარავს იმის გაფიქრება, რომ ბანაკიდან დაბრუნებული უდანაშაულო შურს იძიებს, თავად ბანაკიდან დაბრუნებულს კი თავისუფლება ბოჭავს და თრგუნავს. შესანიშნავი პასაჟია რომანის ბოლოს: ონკოლოგიური განყოფილებიდან "გათავისუფლებული" ოლეგ კოსტოგლოტოვი, გულისფანცქალით მომლოდინე ამ "სამუდამო გადასახლების" დასასრულისა, რატომღაც ტაშკენტის ზოოპარკს მიაშურებს. "მაიმუნები თავგადასხობრილ პატიმრებს წააგვადნენ. ეს საცოდავი, თავიანთ პრიმიტიულ სიხარულსა თუ სანუხარში ჩაძირული, ფართო ნარებზე ჩამომსხდარი არსებები, ისე ძალიან აგონებდნენ ყოფილ ნაცნობებს, რომ... ზოგიერთი მათგანის ცნობაც კი არ გასჭირვებია. იმ ადამიანთა უმეტესობა ჯერ ხომ კიდევ იხდიდა სასჯელს... მთელი უბედურება კი იმაში იყო, რომ ოლეგს



ალექსანდრ სოლჟენიცინი

არ შეეძლო დატყვევებული ცხოველების გათავისუფლება... მიუხედავად დიდი სურვილისა, ვერ შეამტვრევდა გალის კარებს... გინდაც შეემტვრია, მაინც ვერაფერს გახდებოდა. ამ მაიმუნებს თავიანთი სამშობლო აღარ ახსოვდათ, თავისუფლების შეგრძნებაც უცხო იყო მათთვის! მოულოდნელი თავისუფლება უფრო საზარელ შედეგს გამოიღებდა".

მსგავსი პასაჟებით სოლჟენიცინი სავსებით ამართლებს იმ მოლოდინს, მისი ორი ადრეული რომანი და შესანიშნავი მოთხრობა "მატრონას სახლი" რომ აღძრავს. მაგრამ ზოგიერთი ის ხარვეზი, რომელიც "პირველ წრეში" შეიმჩნევა - ზომიერების გრძნობის ლაღატი, მასალაზე კონტროლის შესუსტება, მიდრეკილება არაფრისმომცემი დამოძღვრისაკენ - კვლავ იჩენს თავს "კიბოს კორპუსში". არც ამ ნაწარმოებს და არც "პირველ წრეს" ცოტაოდენი დახვეწა არ აწყენდა. აი, "ერთი დღე" კი სულ სხვაა! იგი სამჯერ გადაწერა სოლჟენიცინმა და ბოლოს ისეთ ლაკონიურობას მიაღწია, მხოლოდ ბაბელი და კამიუ თუ გაუწყვენ მეტოქეობას.

როგორც კრიტიკოსმა, "კიბოს კორპუსი" გაორებული და მღელვარე გრძნობით ჩავიკითხე. ერთი მხრივ, მადლიერი ვარ, რომ გავცვიანი ნაწარმოებს, რომელიც მიუხედავად ბევრი ნაკლისა, გაცილებით სჯობს იმ რომანებს, ჩვენი წიგნის ბაზარს წაღვეკით რომ ემუქრებიან, მეორე მხრივ კი, მომბეზრდა იმის მოსმენა, რომ ამ წიგნს რუსეთში ვერ წაიკითხავენ და თავით ნაწარმოებთა აკრძალვაზე სოლჟენიცინის


ნაადრევი პროგნოზი მაღიზიანებს. მწერალმა რამდენჯერმე აღნიშნა "საფრთხე" თავისი აკრძალული ნაწარმოების უცხოეთში გამოჩენისა და მათ ფართო გავრცელებაში საბჭოთა აგენტურა დაადანაშაულა, ეს ყველაფერი ჩემი დისკრედიტაციისათვის კეთდება... გასული წლის 21 აპრილს მან განაცხადა, რომ არც ერთ უცხოელ გამომცემელს არ მიუღია მისგან "კიბოს კორპუსის" ხელნაწერი და არც ნებართვა მისი გამოქვეყნებისა. გარდა ამისა, მან გამოთქვა შეშფოთება, რომ მოქიშპე გამომცემლობებს შორის ატეხილი დავა ამ წიგნის გამო და უცხო ენაზე მისი ნაჩქარევი გამოცემა თარგმანს კარგდღეს არ დააყრიდა. "ლიტერატურა ფულზე მეტია", შეგვახსენა სოლჟენიცინმა.

უნდა აღვნიშნო, რომ ევროპაში უკვე რამდენჯერმე გამოაქვეყნეს ეს რომანი, ამიტომ ვეჭვობ, ამერიკაში "დაილ პრესის" მიერ მისმა გამოცემამ რაიმე საფრთხე შეუქმნას ავტორს, მით უმეტეს, რომ თავად მას ეს არ უთხოვია. გარდა ამისა, ყოველად გაუმართლებლად მიმჩნია მწერლის ნუხილი ნაწარმოების თარგმანის ხარისხთან დაკავშირებით. რებეკა ფრანკმა შესანიშნავად გაართვა თავი ამ სამუშაოს, ბრწყინვალედ გადაიტანა სხვა ენაზე სოლჟენიცინის არაორდინარული სიტყვები თუ გამოთქმები, მისი ინტონაციისა და დეტაის მოულოდნელი ვარიანტი.

**The New York Times**  
Book Review  
**27 ოქტომბერი, 1968**  
ინგლისურიდან თარგმნა  
ასმათ ლეკიაშვილმა

## ორი სიტყვით

**მილან კუნდერა,**  
**"უმეცრება"**  
**Ignorance**  
By Milan Kundera  
Translated from the French by Linda Asher  
HarperCollins, pp.195, October 2002.



"უმეცრება" - გაფრთხილება სასაზღვრო გაიფლერა მილან კუნდერას ახალი რომანის სახელწოდებამ. რომანი ორი ჩეხი ემიგრანტის ცხოვრებაზე მოგვითხრობს: ირენა პარიზში ცხოვრობს, ის თავისი მეგობრის - გუსტავის შესახებ დრად მიდის; აეროპორტში თავის ძველ სიყვარულს, ჟოზეფს შეხვდება, რომელიც ვეტერინარად მუშაობს დანიაში და პრალაში მხოლოდ პოსტსაბჭოური სამ-

შობლოს სანახავად ჩამოდის. ეროსის ძალა კიდევ უფრო ამსხვრევს ისედაც მყიფე ადამიანურ ურთიერთობებს. ირენა გუსტავს მიატოვებს. ის კაფეში ზის და თავის თავგადასავალს იხსენებს. ამასობაში ჟოზეფი ძმასთანაა სტუმრად და თავის სიყვარულზე უამბობს. კუნდერას გმირებს თავგზას უზნევს ბრძოლა მახსოვრობისა და დავინყებას შორის, აუსრულებელი სურვილები, დაკარგული წარსული და ნოსტალგია - შინ დაბრუნების ტკივილი.

არ არის აუცილებელი, იყო ჩეხი ემიგრანტი, რომ გაიგო კუნდერას პერსონაჟების ტანჯვა - წარსულისა და აწმყოს გაუცხოება, დაუსრულებელი წინააღმდეგობა მყუდრო ცხოვრებასა და ამურის მღელვარებას შორის. არის რაღაცეები, რაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავინწყით და არის რაღაცეები, რისი დავინყებაც აუცილებელია.

ისევე როგორც ადრეულ რომანებში ("სიცლისა და და დავინყების წიგნი" და "ყოფიერების აუტანელი სიმსუბუქე"), კუნდერას აქაც შემოაქვს მაცდური და, ამავე დროს, გონივრული თავშესაქცევი ელემენტები. "უმეცრებაში" კუნდერა კიდევ ერთხელ ამუშავებს არაერთხელ დამუშავებულ თემას.


საკუთარი თავის გამეორება მწერლისთვის მკითხველთან თამაშის ერთგვარი ხერხია.

მილან კუნდერას რომანი მისი ერთი წინადადების კომენტარად შეიძლება მოვიზროთ: "შენ ძალიან შორს ხარ და მე არ ვიცი, რა გჭირს." ეს "შენ" შეიძლება იყოს ოჯახი ან სადღაც დარჩენილი მეგობრები, ან თავად ემიგრანტი, ყველაგან დავინყებული, შეიძლება ის ახალგაზრდა კაცი, ირენამ დიდი ხნის წინ რომ მიატოვა, გაფრენილი სიყვარული ან დაკარგული გზა, ან ის გარდაცვლილი ადამიანები, რომელთა ამქვეყნიდან წასვლას ვერასოდეს შევეგუებით, ანდა სულაც გაუცხოება, ის უცნაურობა, რაც სუფევს ამ სამყაროში.

მილან კუნდერას რომანი მკითხველს უტოვებს შეკითხვას, და საფიქრალსაც - სად უნდა ვეძებოთ "უმეცრების" სათავე?

**უმბერტო ეკო,**  
**"ბაუდოლინო"**  
Baudolino  
By Umberto Eco  
Translated by William Weaver  
Secker and Warburg, pp. 522, October 2002

უმბერტო ეკოს სახელს მკითხველის წინაშე წარდგენა არ სჭირდება. მწერლის ახალი



რომანი "ბაუდოლინო" პირველივე სტრიქონიდან აღძრავს "ვარდის სახელის" ასოციაციებს, რომანისა, სადაც ერთმანეთში იყო შერწყმული შუა საუკუნეების ხიბლი და მკვლელთა იდუმალება და რომელსაც თავის დროზე უჩვეულო წარმატება ხვდა წილად.

"ბაუდოლინო" (სხვათა შორის, ეკოს ბოლო რომანის ერთი თავი, "ბაუდოლინო აფხაზეთის ბნელეთში", წელს კრებულ "ქართულად ნათარგმანებში" დაიბეჭდა), ერთის მხრივ, ტრადიციული რომანია, მეორეს მხრივ, კი - პოსტმოდერნისტული. მისი ჟანრის განსაზღვრა ფაქტობრივად შეუძლებელია.

რომანი შუალედური საფეხურია მსუბუქ ავანტიურისტულ კომედიასა და მძაფრსიუჟეტთან ნაწარმოებს შორის. მთავარი გმირი, სახელად ბაუდოლინო ოდისესის შთამომავალ გმირთა პლეადის ნევრად აღიქმება. რომანის სქემა თანხვედრა ბოკაჩოს "დეკამერონის" სქემას - გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი გმირები თავიანთ თავგადასავალს უამბობენ ერთმანეთს. "ბაუდოლინოს" საფუძვლად უდევს 1204 წელს კონსტანტინოპოლის დანგრევის ფაქტი.

ბაუდოლინოს ამბავი დიალოგის ფორმით არის წარმოდგენილი. გმირი ესაუბრება ბიზანტიელ ჟამთააღმწერელს - ნიკეტასს, რომელიც ბაუდოლინომ დაიხსნა. რომანში უამრავი პერსონაჟია, ისტორიული პირი თუ მითოლოგიური სატირები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, წმინდა ლიტერატურული თვალსაზრისით, ნაწარმოებს ერთი გმირი ჰყავს - ეს არის ბაუდოლინო. დანარჩენი პერსონაჟები სქემატური ფიგურებია და მხოლოდ მიმართების ობიექტებად ან კონკრეტული იდეის მატარებლად მოიაზრებიან, უბრალოდ ეხმარებიან ერთადერთ მთავარ გმირს სათქმელის გამოხატვაში. ამ სქემატურ ფიგურებთან ურთიერთობის პროცესში ქმნის


ბაუდოლინო - ადამიანური გონი თავის სამყაროს.

ეკოს ტექსტი სავსეა ლათინური და, საერთოდ, უცხოენოვანი ფრაზებით, რაც ხშირად ნაწარმოებში უთარგმნელი რჩება. რომანს, რომელშიც ჭარბადაა თეოლოგიური გადახვევები, რელიგიური შინაარსი თითქოს დაკარგული აქვს. კრიტიკოსები "ბაუდოლინოში" კალვინოს ეპიზოდების ინტერპრეტაციას, კაფკას ეგზოტიკურ ვარიაციებსა და ბორხესის ილუზიურ რეალობას ხედავენ. მათი თქმით, განსხვავება ისაა, რომ აქ ჩამოთვლილი მწერლები მეტი ლიტერატურული გემოვნებით გამოირჩევიან და საკუთარი სათქმელის ლაკონურად გამომხატვისა თუ შენიღბვის უნარი შესწევთ.

ნიგნის პირველი ნაწილის ფორმულა ასეთი სახისაა: ისტორია + მხატვრული გამოხატვა; მეორე ნაწილი კი ძალიან ემსგავსება ჯ.ქ. როულინგის "ჰარი პოტერის" სერიებს, - ამბობენ ლიტერატორები და იქვე დასძენენ, შესაძლოა რომანი შუა საუკუნეებისა თუ რენესანსის ეპოქის მოგზაურობების პაროდია ნარმოადგენდეს, მაგრამ ეკოს რომანი ცოტა არ იყოს, მომქანცველია და უფრო მეტად მოსაწყენი ჩანს, ვიდრე თავშესაქცევი. ასეთია კრიტიკოსების აზრი, რომლებიც თითქმის ერთხმად აღნიშნავენ, რომ ახალი რომანი "ვარდის სახელს" ვერ გაუტოლდება.

მიუხედავად ამისა, "ბაუდოლინოში" არის რაღაც, რაც მკითხველს ამ ნაწარმოებზე მიაჯაჭვავს - ეს არის მისტერია, რომელიც კეთილად იწყება და კეთილად ბოლოვდება.

სემ შეპარდი, "დიდი ზეციური ოცნება" Great Dream of Heaven By Sam Shepard, Knopf Alfred A, October 2002.



ნიუ-იორკში ჩასული სემ შეპარდი ქალაქში მოხვედრილ კოვბოის ჰგავდა, კოვბოის, რომელსაც ალბათ მინესოტაში, თავის ფერმაში ყოფნა ყველაფერს ერჩივნა. თუმცა ის ჩვეულებისამებრ აღარ შფოთავდა, რადგან ამჯერად განსხვავებულ ამპლუაში მოევიწიება საზოგადოებას, არა როგორც სცენარისტი ან მსახიობი, არამედ როგორც მწერალი, - წერდა ამერიკული პრესა შეპარდის შესახებ.

"დიდი ზეციური ოცნება"

(Great Dream of Heaven) ასე ჰქვია ცნობილი დრამატურგის, სცენარისტისა და მსახიობის, სემ შეპარდის ახალ ნიგნს, მცირე ზომის მოთხრობათა კრებულს. ეს მოთხრობები მის სცენარებს ნააგავს, ლიტერატურული გმირებიც - არამზადები, მოღალატეები, სხვადასხვა ჯურის ადამიანები, კინოგმირებს ჰგვანან.

ავილოთ თუნდაც შეპარდის ორი გმირი - ქვრივები, რომლებიც სამხრეთ დაკოტაში ერთ ბუნგალოში ცხოვრობენ. ორივეს ერთი და იგივე ოფიციალტი მოსწონს. ერთს გაუმართლებს, მეორეს - არა; და ეს მეორე გულგატეხილია, მეგობარს მოღალატედ მიიჩნევს. როგორც შეპარდი ამბობს, ის ამ გმირებზე დიდხანს ფიქრობდა, მაგრამ წერა 1996 წლამდე არ დაუწყია, სანამ ლონდონში არ ჩავიდა ჯესიკა ლანჟთან ერთად, რომელსაც იღებდნენ ფილმში A Streetcar Named Desire. "იყო უყმური, წვიმიანი ლონდონური ამინდი, - წერდა შეპარდი, - ლონდონი შესანიშნავი ადგილია ლიტერატურის შესაქმნელად." შეპარდი ჩანაწერებს აკეთებს, როცა გადადებებს შორის თავისუფალი დრო აქვს, მერე კი თავის ფერმაში განმარტოვდება და სერიოზულ მუშაობას იწყებს. ასე დაიწერა "დიდი ზეციური ოცნება".

სემ შეპარდი ერთ თვეში 59 წლის ხდება.

"როცა ის 40 წლის იყო, ამბობდა, ეს ასაკი გამძლეობააო, ახლახანს კი ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: წლები ისე მოულოდნელად წამოგწევიან კაცს, ვერც კი ხვდება. ძალიან უცნაურია, რა ემართება სხეულს, იცით, ცხენზე ჯდომა უკვე ისეთი ადვილი აღარაა." თუმცა, შეპარდი, ასაკის მიუხედავად, ყოველდღე დააჭენებს ცხენს, თუ, რა თქმა უნდა, ნიუ-იორკში არ არის.

"წლები გადის და ხვდება, რომ არის რაღაც ღირებულებები, რასაც პატივი უნდა სცე, ისევე როგორც ცხენზე ჯდომისას, ცხენს ხომ პირდაპირ ვერ მოახტები," - ამბობს შეპარდი. მისი მოთხრობები ამ ცხოვრებისეული გამოცდილების შედეგია.

პიტერ აკროიდი, "ალბიონი": ინგლისური წარმოსახვის წარმოშობა Albion: The Origin of the English Imagination By Peter Ackroyd Chatto and Windus, pp.527, October 2002.

რა არის ინგლისი? ინგლისი კონტრასტების ქვეყანაა, სადაც ერთადაა თავმოყრილი სიმდიდრე და სიღარიბე, დანაშაული და უმანკობა, - წერდა დიკენსი. ასეთია აკროიდის ლონდონიც - ცინიკური, აგრესიული, ჭორიკანა, მოდას აყოლილი, სენსაციური, სასაცილო, მაგრამ, ამავე დროს, ის მილტონის, ბლეიკის, ტერნერის სამშობლოცაა.


რატომ აირჩია მწერალმა ეს თემატიკა? - ალბათ დასვამს ამ შეკითხვას მკითხველი, პიტერ აკროიდის რომანს "ალბიონს" რომ გაეცნობა. როგორც ამბო-

ბენ, ცნობილი ბრიტანელი ლიტერატორისთვის პატრიოტიზმი უკანასკნელი თავშესაფარია.

ეს ნიგნი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შენაძენია იმ ადამიანებისათვის, ვისაც აინტერესებს ბრიტანული ლიტერატურა, ტრადიციები და, საერთოდ, ბრიტანული ფენომენი.

პიტერ აკროიდი დიდ ადგილს უთმობს ინგლისელი ხალხის სპირიტუალისტური ფენომენის განხილვას, მოგვითხრობს ძველ მითებზე, ლეგენდებზე, მოჩვენებებზე, როგორც ეროვნული ენერჯის გამოვლენის საშუალებაზე: "მიუხედავად ჩვენი პრაქტიკულობისა, ინგლისელები მეოცნებები ვართ (ინგლისური ხედვის, ჭყვრტის ენაა), გვაქვს წინანარმებელებების ტრადიცია, გვყავს ფერიები და ჯუჯები, შესაძლოა ეს კელტების გავლენაა, ან ნისლიანი კლიმატის, ან ადგილმდებარეობის, როგორც მე-12 საუკუნეში ერთი ფრანგი მღვდელი წერდა, ინგლისი წყლითაა გარშემორტყმული და ეს მათ გონებაში ფანტაზიის უშრეტ წყაროს წარმოქმნისო," - წერს აკროიდი.


საინტერესოა აკროიდის მოსაზრებები ინგლისურ ენაზე. რაც შეეხება ხელოვნებასა და ლიტერატურაზე მსჯელობას, აკროიდი იმონებს კრისტოფერ ვრენის ციტატას: "ჩვენი - ინგლისელი ხელოვნები მრავალფეროვნებით არ გამოვიჩვეით, მაგრამ როდესაც უცხოური ნი-



მუში არსებობს, მიბადვის საოცარი ნიჭი გვაქვს, ჩვენი ქმნილება ბევრად სჯობს ორიგინალსო". სწორედ აქედან გამომდინარეობს ინგლისური ფენომენის აკროიდისეული შეფასება: ინგლისური ფენომენის საფუძველი იმიგრაციაა. ადამიანების, იდეების, სტილების იმიგრაცია, ეს ფენომენი სწორედ ამით ცოცხლობს." როგორც კრიტიკოსები აღნიშნავენ, პიტერ აკროიდი აპოლიტიკური პიროვნებაა, მაგრამ მართო ამ მოსაზრების გამო "ალბიონი" პოლიტიკურ ნიგნთა რიცხვს მიეკუთვნება.

ჰაროლდ ბლუმი, "გენიოსი": ასი სამაგალითო შემოქმედი გონის მოზაიკა Genius A Mosaic of One Hundred Exemplary Creative Minds By Harold Bloom 814 pp., New York, October 2002

ცნობილ ამერიკელ ლიტერატურათმცოდნეს, იელის სკოლის ერთ-ერთი დამფუძნებელს, ჰაროლდ ბლუმს რომ ეს თემატიკა კომერციული მიზნით არ აურჩევია, ამაში ნიგნის ნაკითხვისთანავე დარწმუნდებით. გენიოსის ბლუმისეური თეორიის არსი არის ის წინააღმდეგობა, რომელიც გამუდმებით არსებობს ძველ, ძლიერ პოეტებსა და დამწყებ ხელოვნებს შორის, ნაწარმოებში ასახულია, თუ როგორ მუშაობს თავდაცვის ინსტიქტი, როგორ ტკივილს განიცდის გენიოსი და როგორ ებრძვის ერთმანეთს ძალა და ნიჭი. ბლუმი ლიტერატურას გნოსტიკური ტერმინოლოგია-




ზე დაყრდნობით განიხილავს, მსჯელობს პრომეთეს "ცოდებაზე" და იმ რწმენაზე, რომლის საფუძველზეც ქმნის მწერალი თავის გმირებს. მას ხელოვანის პიროვნებაზე მეტად სწორედ მისი ფანტაზიის ნაყოფი - მისი პერსონაჟები აინტერესებს, ის ისეთი დამაჯერებლობით მოგვითხრობს დონ კიხოტზე, ფალსტაფსა თუ ჰამლეტზე, თითქოს ეს გმირები ოდესღაც მართლაც დააბიჯებდნენ დედამიწაზე: იაგო ნიჰილიზმის მამაა, დონ კიხოტი - ზნეობრივი და წარმოსახვითი გამბედაობის პროტოტიპი, ღმერთიც გმირია, ის რომ არ არსებულებოდა, მას ადამიანები გამოიგონებდნენ...

ამერიკაში ყველაზე ცნობილი ლიტერატურის კრიტიკოსისა და თეორეტიკოსის, 71 წლის ჰაროლდ ბლუმის ახალი სქელტანიანი ნაშრომი ენციკლოპედიური და კრიტიკული ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენაძენია.

მარტინ ემისი, "კობა სასტიკი" Koba the Dread Laughter and the Twenty Million By Martin Amis Talk Miramax. 306 pp., July 2002

თანამედროვე ბრიტანული პროზის ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი წარმომადგენლის, მარტინ ემისის "კობა სასტიკი" ლამის ყველაზე უცნაური და გახმაურებული ნიგნია, რაც კი ოდესმე სტალინზე დაწერილა. რომანის დაწერამდე ავტორი დიდძალ ლიტერატურას გაეცნო, წაიკითხა უამრავი ნიგნი საბჭოური ექსპერიმენტის შესახებ: სოლჟენიცინი, გროსმანი, ვოლკოვონოვი... ამის შემდეგ დაიწყო ხანგრძლივი გააზრების



პროცესია... რომანში ყველაფერი: საბჭოური რეპრესიები, სოციალისტური სიცრუე, ციხის სისტემა, სასამართლოები და სხვა და სხვა. "გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკების შესახებ ყველას სმენია, მაგრამ ცოტამ თუ იცის ვორკუტა და სოლოვეციკი," - წერს მწერალი.

მწერალი სტალინს კინობოთი სახელით - კობათი მოიხსენიებს. ეპითეტი "სასტიკი" ავტორის გამოგონილია, ივანე მრისხანესა და მისთანების ანალოგიით.

ამ რომანში მარტინ ემისი კომუნიზმის დაუძინებელ მტრად გვევლინება. თუ მწერლის ბიოგრაფიას გადავხედავთ, მისი მოსაზრებები განსაკუთრებით საყურადღებოდ მოგვეჩვენება. ემისი ხომ კომუნისტურ ოჯახში გაიზარდა. მისი მამა კინგსლი 1942 წლიდან 1956 წლამდე ინგლისის კომუნისტური პარტიის ერთგული წევრი იყო. მარტინ ემისმა სტუდენტობის წლებშიც კომუნისტურ გარემოცვაში გაატარა... ასე რომ, რომანი რუსეთის ისტორიული მოვლენებისა და ოჯახური ისტორიების ნაზავს წარმოადგენს.

რომანში პაროდირებულია კომუნისტური ტეტრალიგია: შიმშილი, ტერორი, მონობა და კრახი. "პროლეტარიატის დიქტატურა ტყუილი იყო, საბჭოთა კავშირი - სიცრუე, ყველაფერი საბჭოური ყალბ ფასეულობას წარმოადგენდა, ყალბი იყო ცნებები: სოციალიზმი, რესპუბლიკა, ამხანაგი, რევოლუცია," - ვკითხულობთ რომანში.

აი, ემისის ერთი საინტერესო დაკვირვება საბჭოთა კავშირის შესახებ (ისე კი, ეს დაკვირვება ახალი არ უნდა იყოს) - საბჭოთა კავშირზე ხუმრობა ყოველთვის შესაძლებელი იყო, ფაშისტური გერმანიისაგან განსხვავებით. თუმცა აქ მკითხველი აუცილებლად დაეჭვდება: განა არ დასცინოდა ხალხი ჩარლი ჩაპლინის "დიქტატორს"?

იუმორს მწერალი გარდუვალ ზნეობრივ დილემამდე მიჰყავს, რაც რომანის ქვესათაურშიც არის გამოხატული: "სიცილი და ოცი მილიონი" - სტალინის, "უაღრესად პოპულარული ლიდერის" (ასე მოიხსენიებს სტალინს მწერალი) გენიას ოცი მილიონი ადამიანი შეენირა, ეს კი მსოფლიო ტრაგედიაა.

მოამზადა თამარ სუხივილიძე

# ზაზა ბერიშვილი: საქართველოში ნიგნის ფასი ბაუმართლებლად მაღალია

ნანა კობახიძე

ჩვენი რუბრიკის დღევანდელი სტუმარი ბატონი ზაზა ბერიშვილია, გამომცემელი, რომლის საქმიანობის შესახებ არცთუ დიდი ხნის წინათ მხოლოდ მისმა მეგობრებმა და პარტნიორთა ვინაობა ვიცოდით. ბოლო პერიოდში განხორციელებული რამდენიმე პროექტის შემდეგ კი იგი ფართო საზოგადოების სერიოზული ინტერესის ობიექტად იქცა. რატომ, ქვემოთ შეიტყობთ.

ზაზა ბერიშვილს გამომცემლობაზე ბავშვობიდან არ უოცნებია. არც ირგვლივ ჰყოლია ვინმე, ვისი მაგალითიც ამ საქმიანობისკენ უბიძგებდა. პროფესიით ექიმი და მის ოჯახშიც ძირითადად ამ სფეროს წარმომადგენლები ჭარბობენ. თუმცა, როგორც ხუმრობით იხსენებს, ყოფილა ვინმე თავადი ნიჟარაძე, რომელიც მას დედის მხრიდან ენათესავება და 1800 წელს პირველი ქართული სტამბის ზედამხედველად დაუნიშნავთ. ეს იყო და ეს. თავად მისი საექიმო კარიერა თავიდანვე მკვეთრად იყო განსაზღვრული. 1983 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი თერაპევტიკის სპეციალობით. 1989 წელს კიევში საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა, თუმცა, შემდგომი საქმიანობა სრულად სხვა მიმართულებით წარმართა. მოგეხსენებათ, დღესდღეობით ექიმებს უჭირთ და ოჯახში ვიღაცას პურის ფულიც ხომ უნდა შემოეტანაო - "განმარტა" საკუთარი არჩევანი. თუმცა, მისი გადამწყვეტილება კიდევ ერთმა, საკმაოდ მნიშვნელოვანმა ფაქტორმა განაპირობა - ზაზა ბერიშვილს ძალიან უყვარს კითხვა. სანამ საკუთარ გამომცემლობას დააარსებდა, ბევრი ეტაპი გაიარა, ისწავლა და საბოლოოდ დაასკვნა, რომ ისეთ ადამიანს, როგორც ის არის, აუცილებლად უნდა ჰქონოდა საკუთარი გამომცემლობა, თავად განესაზღვრა, რას გამოსცემდა და როგორ. 1998 წელს ჩანაფიქრი რეალურად განახორციელა. ასე შეიქმნა გამომცემლობა "სანი," რომელიც თავდაპირველად სხვის შეკვეთებს ასრულებდა. ისევე, როგორც ბევრი სხვა გამომცემლობა, ბეჭდვადენ ყველაფერს, რასაც შესთავაზებდნენ - ლია ბარათებსაც და მხატვრულ ლიტერატურასაც. გარკვეული პერიოდები გაიცვალა. დღესდღეობით ზაზა ბერიშვილი "სანი" საქმიანობას წარმატებულად მიიჩნევს, იმიტომ, რომ შეუძლია გამოსცეს იმ მწერლების შემოქმედება, რომლებიც ძალიან უყვარს.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ "სანი" რამდენიმე საინტერესო პროექტმა გაუთქვა სახელი, ეს პროექტები სამომავლოდ გამომცემლობის ერთ-ერთი ძირითადი

მიმართულება გახდება. ყველაფერი გურამ დოჩანაშვილთან ნაცნობობით დაიწყო, რომელიც ზაზა ბერიშვილის საყვარელი მწერალია. გაცნობისთანავე შესთავაზა, რომ გამოსცემდა ნებისმიერ ნაწარმოებს, რომელსაც ბატონი გურამი ისურვებდა. არჩევანი ძმები კეჟერაძეების ამბებზე შეჩერდა და ასე გამოიკა პირველი პროექტი, რომელშიც დოჩანაშვილის 5 მოთხრობა შევიდა. ამას მოჰყვა "ვატერპოლო," ამის შემდეგ კი ბატონმა ზაზამ გარისკა და "სამოსელი პირველიც" გამოსცა. ნიგნის პრეზენტაცია რამდენიმე დღის წინათ გაიმართა. ეს გამომცემა რიგით მეოთხეა. მესამე გამოცემიდან 10 წელზე მეტი გავიდა. ზაზა ბერიშვილი გაკვირვებულია, რატომ არავის მოუვიდა აზრად მისი ხელახალი დასტამბვა. ეს ნიგნი ხომ იმ ნაწარმოებთა რიცხვში შედის, რომელიც ძალიან უყვარს მკითხველს. "სხვათა შორის, "სამოსელი პირველის" გამომცემა ძალიან გამიოხლდა, რადგან ნიგნზე მომუშავე პერსონალი უანგაროდ აკეთებდა საქმეს, ისინი ბედნიერნი იყვნენ ამ პროექტის განხორციელებით. ერთადერთი პრობლემა ქალაქის შექმნა იყო" - მითხრა ბატონმა ზაზამ. მისივე თქმით, ყველა პროექტი, რომელიც გურამ დოჩანაშვილს უკავშირდება, მინიმალურ საგამომცემლო ხარჯებს მოითხოვდა. "5 მოთხრობის" პრეზენტაციისთვის დარბაზს ვეძებდი. ჩვეულებრივ, მისი დაქირავება საკმაოდ ძვირია. დაერეკე საჯარო ბიბლიოთეკაში. დარბაზის ფასი რომ ვიკითხე, შეიცხადეს, რას ამბობთ, გურამ დოჩანაშვილის ნიგნის პრეზენტაციაში ფულს როგორ გამოგართმევთ - იხსენებს ზაზა ბერიშვილი.

არცთუ დიდი ხნის წინათ, კერძოდ, სექტემბრის შუა რიცხვებში, საზოგადოების ყურადღების ცენტრში მისი კიდევ ერთი პროექტი მოექცა. ეს გახლდათ რეზო გაბრიადის ახალი რომანის - "ქუთაისი ქალაქია" - პრეზენტაცია და უკვე ცნობილი - "შერეკილები" ხელახალი გამოცემა. ამ გამომცემათა ისტორია ასეთია: დაახლოებით ერთი წლის წინათ საფრანგეთის საელჩოს მიერ გამართულ ერთ-ერთ მიღებაზე ფრანგებმა რეზო გაბრიადის წარუდგინეს გამომცემელი ზაზა ბერიშვილი, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს მათთან. ამ შეხვედრისას გაირკვა, რომ ბატონ რეზოს ჰქონდა გარკვეული იდეები, მაგრამ ვერ იპოვა გამომცემელი, რომელიც მათ ზუსტად განახორციელებდა. ისინი რამდენჯერმე შეხვედნენ ერთმანეთს, ისაუბრეს და გადაწყვიტეს, რომ გაბრიადის ახალ რომანს სწორედ ზაზა ბერიშვილი გამოსცემდა. "ბატონი რეზოს ნიგნის გამოცემა ნებისმიერი გამომცემლობისთვის დიდი პატივი იქნებოდა. როგორც ჩანს, მას ჩვენი გამომცემლობის



ზაზა ბერიშვილი

მუშაობის მთავარი პრინციპი მოეწონა - ჩვენ არ ვცდილობთ ჩვენი პროექტებიდან მივიღოთ მაქსიმალური მოგება. ისინი ორ მთავარ მიზანს ემსახურება - ავტორის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას და მკითხველისთვის ხელმისაწვდომ ფასს" - მითხრა ზაზა ბერიშვილმა. სხვათა შორის, ჩემს რესპოდენტთაგან იგი პირველია, რომელიც ამბობს, რომ საქართველოში ნიგნის ფასები გაუმართლებლად მაღალია. "რეალურად ნიგნის გამომცემა არ ჯდება ისე ძვირი, რომ ამხელა ფასი დაევალოთ - ეს ჩემი სუბიექტური აზრია და შესაძლოა, ვინმე არ დამეთანხმოს. მსოფლიოში ნიგნი არსად არის იაფი, მაგრამ იქ მოსახლეობას იმხელა ანაზღაურება აქვს, რომ მაღალი ფასი გადამწყვეტ როლს არ თამაშობს. დღესდღეობით საქართველოს მოსახლეობა ნიგნში ძალიან ძვირს ვერ გადაიხდის. ზოგჯერ მათი ფასი გაუმართლებლად მაღალიც კი არის. ეს თბილისელი ტაქსის მძღოლების ამბავს მაგონებს: მოგეხსენებათ, თბილისში ორნაირი მძღოლები არიან - ერთნი მთელ დღეს სადგურთან დგანან და 50-ლარიან კლიენტს ელიან, მეორე კატეგორია განუწყვეტილად დარბაზს ქალაქში და სამლარიანი მგზავრიც მიჰყავს და ლარიანიც. ერთი სიტყვით, ოჯახს ორივე არჩენს, ოღონდ სხვადასხვაგვარად. ჩვენი გამომცემლებიც დაახლოებით ასე იქცევიან, ზოგს ურჩევნია 500 ნიგნი გამოსცეს და 10 ლარად გაყიდოს. ჩემთვის ასეთი რამ მიუღებელია, მივჩვენია 1000 ეგზემპლარი გამოვცე და 2-3 ლარი დავადო, რადგან მინდა, რომ ჩემი გამომცემლობის მიერ დასტამბული ნიგნი, რაც შეიძლება, ბევრმა ადამიანმა იყიდოს," - ამბობს ზაზა ბერიშვილი და ძნელია, არ დაეთანხმო. სამომავლოდ იგი კიდევ რამდენიმე საინტერესო ნიგნის გამომცემას აპირებს. სულ მალე მკითხველი იხილავს ოთარ ჭლადის პოემე-

ბისა და ლექსების კრებულს, რომელიც ასევე დიდი ხანია, არ დასტამბულა და გოდერიძე ჩოხელის კრებულს, რომელშიც მისი ახალი ნაწარმოებები შევა. "სანი" ახალგაზრდა საინტერესო ავტორებთანაც აპირებს თანამშრომლობას, შერჩეული ჰყავს რამდენიმე კანდიდატურაც, მაგრამ ბატონმა ზაზამ მათი დასახელებისგან ჯერჯერობით თავი შეიკავა. სამაგიეროდ, ერთი ახალი პროექტის შესახებ პირველი განცხადება ჩვენთვის გააკეთა. მისი თქმით, გაზაფხულზე პატარა მკითხველები ეგზიშუპერის უკვდავ ქმნილებას, "პატარა უფლისწულს" იხილავენ, რომელსაც "სანი" ცივილიზებული გზით, ანუ საავტორო უფლებების სრული დაცვით გამოსცემს. საქმე ის გახლავთ, რომ ეს ნიგნი საქართველოში რამდენჯერმე გამოიცა, თუმცა, პირატულად. "სანიმ" ამ ნიგნის საავტორო უფლებების მქონე ფრანგულ გამომცემლობა "გალიმარს" მითხრობს. საფრანგეთში ამ ქმნილებას ეროვნულ განძთან აიგივებენ და მის საავტორო უფლებებსაც სიფრთხილით ეკიდებიან. "ჩვენი არსებობის შესახებ არაფერი იცოდნენ და პასუხიც კი არ გაგვცეს" - იხსენებს გამომცემელი. შემდეგ საგარეო საქმეთა სამინისტროს დაუკავშირდნენ, რომელმაც თავის მხრივ რჩევისთვის საქართველოში საფრანგეთის საელჩოს მიმართა. საბედნიეროდ, იქ უკვე იცნობდნენ ზაზა ბერიშვილს, რეკომენდაციაც გაუწიეს და საავტორო უფლებების შექმნაშიც დაეხმარნენ. ამ გამომცემლობის მინვერით ოქტომბრის დასაწყისში ბატონი ზაზა საფრანგეთში იმყოფებოდა, სადაც ბევრ სამომავლო პროექტს ჩაეყარა საფუძველი. "გალიმარი" დაინტერესებულია, რომ მისი გამომცემლობის მიერ დასტამბული ნიგნები ისეთ პატარა ქვეყანაში გამოვიდეს, როგორც საქართველოა. ისინი თანამედროვე ქართული მწერლობითაც

დაინტერესდნენ. ზაზა ბერიშვილი იმედოვნებს, რომ მომავალში მათი ურთიერთობა ორივე მხარისთვის საკმაოდ საინტერესო იქნება. ფრანგული შთაბეჭდილებებიდან ბატონმა ზაზამ ერთი საინტერესო ფაქტი გვიამბო. თურმე, ბოლო დროს საფრანგეთში ძალზე დაეცა მოსახლეობის დაინტერესება პოეზიით. იმისათვის, რომ ხალხი გახდეს უფრო ემოციური და ნაკლებ პრაგმატული, საფრანგეთის მთავრობამ ასეთ ხერხს მიმართა - მეტროს ვაგონებში გამოაკრა ნაწყვეტები პოეზიიდან, რომელსაც ყოველ კვირა ცვლიან. ერთ დღეს ვაგონში შესულმა ქართველმა გამომცემელმა მისდა გასაოცრად კედელზე ნიკოლოზ ბარათაშვილის "ბედი ქართლისას" ნაწყვეტები აღმოაჩინა - ქართულ და ფრანგულ ენებზე. საფრანგეთის მთავრობა ზრუნავს არა მხოლოდ ფრანგული, არამედ უცხოური პოეზიის პოპულარიზაციისთვისაც. "რა თქმა უნდა, იმის წარმოდგენა, რომ დღეს საქართველოში ვინმე ლიტერატურის პოპულარიზაციით დაინტერესდება, ილუზიაა, უბრალოდ, ეს არის შესანიშნავი მაგალითი, რა შეიძლება გავაკეთოთ, როცა კარგად ვიცხოვრებთ" - მითხრა ზაზა ბერიშვილმა.

გამომცემლობა "სანი" სამომავლო საქმიანობა კიდევ ერთ მიმართულებას ითვალისწინებს. ეს არის უცხოური ბესტსელერების გამომცემა ქართულად. უახლოეს მომავალში გამოსცემენ ფრანგი ავტორის, ვენსან რავალეკის ბესტსელერს, რომელსაც მთელი საფრანგეთი კითხულობს. ბატონ ზაზას ეს პროექტი, ცოტა არ იყოს, აშინებს, რადგან ფიქრობს, რომ ამ ნიგნს საზოგადოებაში ისეთივე ეფექტი ექნება, როგორც თავის დროზე გადაცემა "ფსიქოს," თუმცა, გადაწყვეტილება მაინც მიიღო. მისი თქმით, ეს ნაწარმოები არ არის განკუთვნილი ფართო მასისთვის, იგი იმ კატეგორიის მკითხველს დაინტერესებს, რომელსაც უნდა გაიგოს, რას კითხულობენ დღეს საფრანგეთში. "დაგვემილია კიდევ ერთი საინტერესო გამომცემა. ეს არის ასევე ფრანგი ავტორის, შოლბეკის ბესტსელერი "ელემენტარული ნაწილაკები," რომელსაც გიორგი ეიზაშვილი თარგმნის. საქართველოში მომავალ საფრანგეთის კულტურის ატამეს ეს ნიგნი პრეზენტაციიდან სამი კვირის შემდეგ თურქეთის აეროპორტში თურქულად ნათარგმნი უნახავს, იგი რუსულადაც თარგმნეს. ჩვენ ცოტა დავაგვიანეთ, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო" - გვითხრა ბატონმა ზაზამ. ერთი სიტყვით, გვემბე ბევრია, ისეა დაგვრჩენია, ჩვენს რესპოდენტს წარმატება ვუსურვოთ, რადგან მისი წარმატება ქართველი მკითხველის ბევრი ახალი ნიგნით მომარაგებას ნიშნავს.